



1

,

7

2

2

|                  |                     |    |
|------------------|---------------------|----|
| 3. ଲୋକିଳା —      | ମେସାଦିଶ୍ଵରଙ୍ଗେ      |    |
| ମନୋକ୍ଷରକବା       | .                   | 3  |
| ୫୩. ଶହାରିଳା —    | ସାଧାରଣପତ୍ରଙ୍ଗମ      |    |
| ଲେଖ୍ୟେବ୍ଦି       | .                   | 17 |
| ୭. କୋଷତା —       | ମେସାଦିଶ୍ଵର ଧିକ୍ଷି   |    |
| ମନୋକ୍ଷରକବା       | .                   | 20 |
| ୮. ବାରଶାନିପତ୍ର — | ଲେଖ୍ୟେବ୍ଦି          |    |
|                  | .                   | 29 |
| ୯. କାତାରାପତ୍ର —  | ଲେଖ୍ୟେବ୍ଦି          |    |
|                  | .                   | 32 |
| ୧୦. କୋଷତାରିଳା —  | ମେସାଦିଶ୍ଵର ଲେଖନ     |    |
| ମନୋକ୍ଷରକବା       | .                   | 35 |
| ୧୧. ପେଣ୍ଡିଳା —   | ଲେଖ୍ୟେବ୍ଦି          |    |
|                  | .                   | 54 |
| ୧୨. କାତାରାପତ୍ର — | ବ୍ୟାପିକାର ବ୍ୟାପିକାର |    |
|                  | .                   | 57 |

## ԲԵՇԱՌՈՒԹԵԱՅ ԵՐԿՐՈՋՆ

გ. სალურვაძე — ლექსიგი . . . 65

Ճ Ր Ո Ւ Ժ Ո Յ Ե Վ Ճ  
Ճ Շ Ճ Ը Ջ Ո Յ Ե Վ Ճ Ե

პ. გორა — მთელი ვარე სიმი 68

## Բ Ե Ր Ո Ը Յ Ե Ց Ո

|    |  |    |
|----|--|----|
| 3. | ნაცილიფლი — ლირიკული<br>ლექსის შესახებ               | 78 |
| 4. | ჯაფარიძე — ილია ჭავჭავაძე<br>და სუბტროპიკული მთელნო- |    |
|    | ბის განვითარების საპირობი                            | 83 |
| 5. | ნოლაიდელი — გარეული                                  | 92 |

ଲ୍ଲିଟେରାଟୁରଶ୍ରୀ-ମେଡିକଲ୍ ଏବଂ  
ସାଂଗ୍ରହିତାଙ୍କଳୀତାରେ-କମଲାନ୍ତିକାର  
ଚିତ୍ରକାଳୀ

სამართველოს საგვირო  
მდერლების ყავშირისა და  
აპარის განყოფილების  
ორგანი

૮૧૦૩૮૦ - 1972

ମାର୍ଗତିବ-୧୫୮୦୯୦



ଶ୍ରୀଦାଶତମନଙ୍କ ନା. ପାଠେରୀ

ସାରୀଦାଶତମନ ପାଠେରୀ:

୧. ପାଠେରୀଙ୍କପଥ (୩/୯୫. ମେଡିକଲ)
୨. ଆବଲମ୍ବନକାରୀ
୩. ପାଠେରୀ
୪. ଶିଖିତାକାରୀଙ୍କପଥ
୫. ବାଲକାରୀଙ୍କପଥ

პეტერ ღორგი

## მ ე ს ი დ უ ძ ე

I

შემოდგომის სუსხიანი სალამოა. მატარებელი კარგა ხანია ჩამოდგა სადგურში. მგზავრები ვაგონებისაკენ მიიჩქარიან, გამცილებლებს ემზვი-ლობებიან.

მე არც გამომცილებელი მახლავს, არც ხელბარგი მომაქვს და ამი-ტომაც ყველაზე აღრე მოვხვდი ვაგონში.

ჯერჯერობით ვაგონი ნახევრად ცარიელია. ჩემს კუპეში მარტო მე ვარ. კარგია, როცა თავისუფლად მგზავრობ, არავინ გაწუხებს, მაგრამ სიმარტოვეც არ ვარგა. ხმის გამცემი უნდა გყავდეს, მხიარული და კეთილშობილი აღამიანი. კუპეში ოთხი მგზავრის ადგილია. ოთხივე ერთ-ნაირი ბუნებისა და ხასიათის არ გამოდგება. ზოგს დუმილი უყვარს, ზოგი სულ ლაპარაკადაა გადაქცეული. ვინ ლოთია და პირიდან ღვინის სუნი ამოსდის, ზოგი მთელი ლამე ხვრინავს და თვალებს არ მოგახუჭ-ვინებს. კარგია თანამგზავრთ შორის ლამაზი ქალბატონი თუა, მაგრამ აუ-ტანელია თუ ამ ქალბატონს ჭირვეული პატარა ახლავს.

მრავალჯერ მიმგზავრია ამ გზით, სხვა გზითაც, მაგრამ ორჯერაც არ ვყოფილვარ მადლიერი ხვედრით. ბევრჯერ მთელი ლამეები არ მიძინია შოუსევნარი თანამგზავრების გამო, მანდილოსნების მორიდების მიზეზით ზომ ნახევარჯერ დერეფანში ვყოფილვარ ატუზული.

გამიძლია, ამიტანია. ან რა უნდა იყოს აქ ისე ძნელი და აუტანელი? რო-სამ დღე-დღეს თავქვე დაკიდებული გაძლებს აღამიანი.

ეჭ, იყო დრო როცა ბევრად უარესად მიმგზავრია, ვაგონის საფეხუ-რზე შემოდგარს, სახელურზე ჩამოკიდებულს, მაგრამ... ახლა სადღად იმდენი გამძლეობა!

ორმოცდათს რომ ფეხი გადავადგი და წინ წავიწიე, თანდათან და-  
მეტყო მოსვენებისაკენ მისწრაფება. ის რაც ადრე ნორმალურად მეჩვენე-  
ბოდა, ღლეს შეუფერებლად მიმაჩნია.

ალბათ აძიტომ უფრო ვფიქრობ ახლა მშვიდობიან და წესიერ თანა-  
მგზავრებზე. ორი ღლე-ღამე უნდა ვიმგზავროთ ერთად და არც ისე ცო-  
ტაა ნერვების მოსაშლელად.

ფანჯარასთან მიმდგარი გადავცემი ბაქანზე მოფუსფუს ხალხს,  
ხელიხელ ჩაკიდებულ ქალ-ვაჟებს, მოურიამულე ახალგაზრდობას, გა-  
ვყურებ ქალაქში აღმართულ ცათაბჯენებს, აბულიალებულ ქუჩებს, გადა-  
ნათებულ მოედნებს და ჩემს უნებლიერ წარსულის მოგონებები მეუფ-  
ლება.

პო, მაშინაც ასეთ სუსტიან საღამოს მივემგზავრებოდი ამ ქალაქიდან.  
დიახ, სუსტიან საღამოს. მაშინ ერთი ნათურაც არ ჩანდა არსად. არც ერ-  
თი ქუჩა და მოედანი არ იყო შეუიარაღებელი, არც ერთი სახლი შეუ-  
ნიღბავი და ჩაუბნელებელი.

ეს იყო ათას ცხრას ორმოცდაორი წლის მიწურულს. ხუთი დღე და-  
ვყავი მაშინ მე ამ ქალაქში და ერთი წუთითაც არ დამისვენია. დამისვე-  
ნია-მეთქი, ვამბობ, ვინ იყო მაშინ მოსვენებისა და განცხრომის განწყო-  
ბილებაზე.

თუ ვინმე გაჭირვებაზე დაიწყებდა წუწუნს და უიმედობა დაეტყო-  
ბოდა, მაშინვე გვერდოთ დაუდგებოდნენ: „ნუ დაეცემი სულიერად და  
ნუ შიშობ ძმავ, ჩვენს ქუჩაზედაც დადგება ღლესასწაულიო“.

მას შემდეგ დიღი ხანი გავიდა. იმ დიად გამარჯვებას ბევრი გამოჩე-  
ნილი სარდალი და რიგითი მებრძოლი შეეწირა, ბევრს ასაკმაც უმტყუ-  
ნა და მშობლიურ მიწას მიებარა, ბევრმა ღლევანდლამდე მოიტანა იმ  
ქარიშხლიანი ღლეების ხსოვნა, მაგრამ უფრო მეტი ნაწილი მას შემდეგ  
მოვიდა ქვეყნად და საერთო საქმეში შევვეზიარა.

ამ ფიქრებიდან ერთმა ეშხიანმა ქალმა გამომიყვანა. იგი სწრაფად შე-  
მოიჭრა კარებში, საწოლებს შეავლო თვალი, ხელჩანთა თაროზე შემოდ-  
გა და მე გადმომხედა.

— თვალყური გეჭიროთ, გეთაყვა. — მანიშნა ხელჩანთაზე. — ახ-  
ლავე მოვალთ. — და სწრაფად გავიდა.

ეჰ, საქმე ცუდადაა, გავიფიქრე მე. ალბათ ორს კიდევ თავისიანს  
შემოიყვანს და მშვიდობით მოსვენებავ. ებოდიშე, ეკრძალე, ერიდე. სამი  
ქალის ხელში ჩემი მტერი ჩავარდა.

მაგრამ ამ ღროს ქალთან ერთად ორი მამაკაცი შემოვიდა და ოდნავ  
დავმშვიდდი. ეტყობა ერთი ოჯახია, ცოლ-ქმარი და მათი ვაჟი.

ბარგი დააწყვეს, მოსასხამები მოიხადეს და ჩამოსხდნენ.

შევათვალიერე. არ უნდა იყონ ურიგო ადამიანები. შესახედავადაც  
კარგები არიან, ტანადი და ეშხიანი ქალი, უფრო ახოვანი მისი მეუღლე  
და ისეთივე ტანადობის ვაჟი, რომელიც გაჭრილ ვაშლივით ჰგავს მასში.

მატარებლის გასვლამდე არ მოგვეცა გასაუბრების საბაბი, ისინი ფან-  
ჯარაზე მიმდგარნი გამცილებლებს ესაუბრებოლნენ, ხან ხელით ანიშნე-  
ბდნენ რაღაცებს, იცინოლნენ, მხიარულობდნენ.

მატარებლის გასვლის შემდეგ უფრო ბეჭითად შევათვალიერეთ ერთ-  
მანეთი. მამაკაცმა ახალი უურნალი შემომთავაზა, გადაათვალიერეთ, შე-  
სანიშნავად გაფორმებულიაო, მე მადლობა გადავუხადე და გამოვართვი.  
ქალმა რაღაც უცნაურად გადმომხედა და უნებლიერ გაიღიმა. გაიღიმა,  
მაგრამ ეს ღიმილი, როგორც მე მომეჩვენა, უფრო შემქრთალისა თუ  
დამნაშავის გაღიმებას გვდა.

— წავიდეთ, ჩაი დავლიოთ! — შესთავაზა ცოლ-შვილს მამაკაცმა. —  
თქვენც წამობრძანდით.

— გმადლობთ. ახლახან გეახელით. — მოვახსენე მე.

— შენ და ბორისი წადით. მეც არა ეარ ჩაის გუნებაზე. — უთხრა  
ქალმა და რაღაც ხელსაწმე გაიჩინა, ვითომც მეტად საჭირო და აუცილე-  
ბელი. — მოვათვებ ბარემ. ღილისოვის დამჭირდება. — მოიმიზეზა მან.

მამაკაცი აღარ მოგვძალებია, ვაჟი გაიყოლია და გავიდა.

— ჩემი ქმარ-შვილია. — თქვა მოკლე პაუზის შემდეგ ქალმა და  
უფრო დაკვირვებით მომაჩერდა.

— ასეც წარმოვიდგინე, — დავუდასტურე მე.

— გვანან ერთმანეთს? — კვლავ ისეთივე დამნაშავის ღიმილით შე-  
მეკითხა ქალი.

— გაჭრილ ვაშლივით.

ქალმა ახლა უფრო კმაყოფილი ღიმილი მესროლა.

— მართლა? ზოგს ძები ჰგონია. ასაკითაც არ ჩანან ერთმანეთს ისე  
დაშორებულნი.

— ყოველ შემთხვევაში ოცი-ოცდახუთი წლით უფროს-უმცროსო-  
ბა შეინიშნება.

— დიახ, ჩემი ვაჟი ოცდახუთი წლით უმცროსია მამაზე... მართლა,  
ხომ ძალიან გვანან ერთმანეთს?

— ძალიან!

— ცხვირიც ერთნაირი, ნიკაპიც, შუბლიც, ტუჩებიც. წარმოიდგინეთ  
თქვენ, ზოგიერთი მამა-შვილი როდი გვნან ასე ერთმანეთს.

— მართალს ბრძანებთ. მაგალითად, ჩემსა და მამაჩემს შორის ძალი-  
ან ცოტა მსგავსებაა.

— ცოცხალია?



— სამწუხაროდ არა.

— დიდი ხანია გარდაიცვალა? — თითქოს ძალიან აინტერესებს შემდეგ მაჩერის გარდაცვალების თარიღი და ბედიო, ისე ჩამეძია.

— ათიოდე წელი იქნება.

— მართლა? ეჭ, რა მოკლეა ადამიანის სიცოცხლე! ფიქრობ, ესაა ავიდგი ფეხი, ამოვიდგი ენა, ვიწყებ ცხოვრებასთ და უკვე სიბერე მოგდგომია კარს. შემდეგ ყველაფერი წასულია. რამდენიმე დღე და...

— რა გაეწყობა, ასეთია ბუნების კანონი. — ვუთხარი მე და გამეღობა.

— ალბათ ჩემს ფილოსოფიაზე გელიმებათ. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მუდამ აწუხებდა ადამიანის მოღვარის. მაშ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩემი ქმარი და ვაჟი გვანან ერთმანეთს?

რა გადამეკიდა ეს დედაკაცი, ნუთუ მის ქმარსა და შვილზე მეტი ვერავინ იპოვა ამ ქვეყანაზე შესადარებელი?

— განა გასაკვირია, მამა-შვილი ერთმანეთს გავდნენ? — და უნდა მეთქვა, სხვა რამეზე ვისაუბროთ, სხვა რამე თქვით-მეთქი, მაგრამ დამასწრო:

— უმცროსი ქალიშვილიც მყავს. — წამოიწყო ისევ. — ბორისზე ოთხი წლით უმცროსია მაგრამ...

— იგი თქვენი ასლი იქნება. — შევაწყვეტინე მე და გამეღობა.

— არა, წარმოიდგინეთ, რომ არა. არც მე მგავს, არც მამას. მე რომ მისი ხამდვილი დედა არ ვიყო. ვერ ვიტყოდი, ჩემი შვილია-თქო. ჩემი მეუღლე ისეთი ეჭვირი კაცია, პირადად რომ მშობიარობას არ დასწრებოდა, არ დაიჯერებდა. იტყოდა, ვინმემ გამოვიცვალა სამშობიარო სახლშიო. ხომ არის ასეთი შემთხვევები?

— შესაძლებლობა გამორიცხული არაა. შეუხედავია თქვენი ქალიშვილი? — იძულებული გავხდი დავინტერესებულიყავი ვინმე უცნობის მდგომარეობით.

— შეუხედავი კი არა, ნამდვილი ანგელოზია, მაგრამ ჩვენი არაფერი სცხია. ისეთი ლამაზი და ეშხიანია, რომ...

— თქვენზე ლამაზი?

— აჭ, ქათინაურებიც გცოდნიათ. სად მე და სად სილამაზე. — ლოყები შეუფერადდა ჩემს თანამოსაუბრეს. — ჭაბუკობაში ალბათ ქალთა სქესის დიდი ყურადღებით სარგებლობდით, თუმცა, რას ვამბობ, ახლაც არ იქნებით გულნაკლული წარმატებებით.

„მეარშიყება“ გავიფიქრე მე და ამ საქმეში გამოუცდელ ყმაწვილი ვით ამიწითლდა ლოყები. უხერხულობა ვიგრძენი, მაგიდაზე დადებული უურნალი ორივე ხელით ავიღე და გავშალე. მან ჩემი მარცხენა ხელის ორ დაზიანებულ თითს მოპრა თვალი და შეკრთა.

— ვლადიმერ სტეპანოვიჩ! — შესძახა მან უეცრად. ხელებზე დამწერა აიტაცა, გულში ჩაიკრა და აცახცახდა.

— როგორ, თქვენ მე მიცნობთ? — გავირვებისაგან თვალები გამიფართოვდა და ცნობისმოყვარეობით შევაჩერდი.

— გიცნობთ, ვლადიმერ სტეპანოვიჩ! გიცნობთ, თქვენ ჩემი...

მაგრამ ამ დროს კარი გაიღო, მამა-შვილი შემოვიდა და ჩვენი საუბარი შეწყდა.

— რახან ჩვენთან არ იგახშეთ, ამ ტკბილეულს მაინც შეექეცით. --- თქვა ქმარმა და მაგიდაზე ტკბილეული დაალაგა.

ვის უნდა ახლა ტკბილეული, ვინ არის ჭამის გუნებაზე? რამდენიმე წუთი შაინც ედროვებინათ, არ შეეწყვიტათ ჩვენი ეგზომ საინტერესო საუბარი. კარგად გამეგო მაინც ამ ქალის ვინაობა. შემეტყო საიდან მიცნობდა? მოვიწადინე საუბრის გაგრძელება, ჩვენი ნაცნობობის ისტორიის გაგება, მაგრამ ქალმა პირზე ხელის დადებით მანიშნა შეწყვეტილ საუბარს არ დავბრუნებოდი, და მეც ენა ჩავიგდე.

ვინ არის ეს ქალი? საიდან მიცნობს? რატომ არ სურს მისმა ქმარმა იცოდეს ჩვენი გაცნობის ამბავი? რა საიდუმლოებას ინახავს? — სულ ამის გარშემო ტრიალებს ჩემი ფიქრი და გონება.

როცა დაწოლის დრო მოახლოვდა, ქალმა გაშალა ლოგინები. დაბლა ადგილი, რომელიც მე მექუთვნოდა, იმ ქალის ქმარს დავუთმე და მე მაღლა ავედი. მართალია, ამან ძალიან უხერხულობაში ჩააყენა ყველა, მაგრამ ჩემს დაუინებით მოთხოვნას ანგარიში გაუწიეს და დათანხმდნენ.

ცოტა ხნით მამაკაცებმა ქალი მარტო დავტოვეთ, საშუალება მივეცით საღამური ტანსაცმელი ჩაეცვა და ჩაწოლილიყო.

რომ დავბრუნდით, ყველაფერი რიგზე იყო, ქალი ჩაწოლილი დაგვხვდა, მისმა მეუღლემ გვერდით დაიკავა ადგილი, მე და მათი ვაჟი მაღლა ავედით, შუქი ჩავაჭრეთ, ტანზე გავიხადეთ და ჩაწერით.

ჩავწერით. დაიძინეს. მამაკაცმა ხერინვა ამოუშვა, ვაჟის სუნთქვაც მესმის, ეტყობა ქალსაც დაეძინა, მაგრამ მე თვალიც ვერ მოვხუჭე. მაწვალებს ამაღმდელი შეხვედრის ასეთი უცნაურობა. ვფიქრობ და ვფიქრობ:

ვინ არის ეს ქალი? სად შემხვედრია იგი?

ახალგაზრდობაში მქონია ხოლმე შეხვედრა უცნობ ქალთან, შეიძლება შემიცოდავს კიდეც. ზოგ მათგანს შემდეგშიაც შევხვედრივარ, გვიცვნია ერთმანეთი, წარსული გაგვიხსენებია, დროებითი სიყვარულიც გაგვიახლებია, მაგრამ ის სულ სხვანარი და სხვაგვარი ყოფილა.

მაგრამ ვინ არის ეს ქალი? ვფიქრობ ამაზე და არ მეძინება.

ბოლოს როგორც იქნა თვალები დავხუჭე, მაგრამ ახლა ჩემი ცხოვეუ-  
ბის გასულ დღეებს ავედევნე, და დღევანდელობა რამდენიმე წლით უკან-  
ჩამოვიტოვე...

და აი...

## II

სამსახურში დილით ადრე მივედი. და მაინც კაბინეტის კართან, მო-  
საცდელი ოთახი მთხოვნელებით სავსე დამხვდა. მეტი ნაწილი ქალები იყ-  
ვნენ, სამი-ოთხი ხანდაზმული მამაკაცი ერთა მხოლოდ. ვიცოდი მათი შე-  
წუხების მიზეზი და არ გამკვირვებია.

ერთ ახალგაზრდა ქალს ორი წლის გოგონა ახლავს. ბავშვი ჭირვეუ-  
ლობს, შინ წასვლას ითხოვს, შია, პური უნდა, რე მონატრებია. გამხდა-  
რია, მაგრამ ჯანიანი. წავიდეთ დედიკ სახლში — ეხვეწება იგი ქალს და  
კაბის კალთას ექახება. ახლავე შვილო, ახლავე. — ამშვიდებს დედა და  
ჩემთან შემოსვლის რიგს ელოდება.

— შემოდით. — კაბინეტში შესვლისთანავე ვუთხარი მას. ქალმა  
ბავშვი ხელში აყვანილი შემოიყენა.

დახმარებისათვის მოვიდა, შველას მთხოვს. ერთი ბავშვი სკოლაში  
დაუდის, მეორე ესაა თან რომ ახლავს. თვითონ მსახურობს, ქმარი მეორე  
წელია ომშია. შინ არავინ ყავს ბავშვის მიმხედავი.

გასაგებია. ასეთებით სავსეა ქალაქი. ყველას უნდა შველა და დახმა-  
რება. ყველა საწარმოსა და სავაჭრო ორგანიზაციას დავალებული აქვთ  
მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ მებრძოლთა ოჯახებს, მაგრამ ყვე-  
ლაზე რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა განათლების ორგანოებს  
აკისრიათ. მათ მოვალეობას შეადგენს მოსწავლე ახალგაზრდობაზე ზრუ-  
ნვა, მცირეწლოვნებისა და უპატრონო ბავშვებისათვის თავშესაფრის გა-  
მონახვა, მოვლა-მიხედვა, მარტოხელა მასწავლებლების მიშველება, სასუ-  
რსათო ბარათების განაწილება და სხვა მრავალი რამ.

სწორედ ასეთ დროს მხვდა წილად ვყოფილიყავი ამ დარგის ხელმი-  
ღვანელი და მთელი ქალაქის სკოლების, საბავშვო ბაგებისა და ბალების  
მზრუნველი და მიმხედავი. ამიტომ იყო ჩემი სამუშაო კაბინეტი მუდა  
სავსე მთხოვნელებით. ამიტომ იყო დილა ადრიან მისული გვიან ღამით  
ვბრუნდებოდი შინ. ხშირად მაშინაც არ მეძლეოდა საშუალება ძილისა  
და მოსვენების. ან გამანადგურებელ ბატალიონში უნდა წავსულიყავი სა-  
მორიგეოდ, ან განგაშის დროს გამომეყვანა ცოლ-შვილი სახლიდან და  
თავშესაფარში შემეყვანა, მე კი გამანადგურებელი ბატალიონის შტაბისა-  
კენ გავჭეულიყავი.

ჩემი პირადი მდივანი ქალი, რომელიც ამავე დროს მემანქანის მოკალური ბაზაც ასრულებდა, მეტისმეტად გადატვირთული იყო. მომსვლელების ბის მიღებასა და პასუხის გაცემსა ვერ ასწრებდა, მასალებს ლამით ბეჭდავდა. ქმარი სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდა და იმის დარღი არ ასვენებდა საწყალ ქალს. ოთხი წლის ვაჟი თან დაყავდა სამსახურში. კუთხეში სკამზე დასვამდა, ხელში ფანჯარსა და ქალალდს მისცემდა და საბრალო ბავშვი სამუშაო დროის გასვლამდე თავს იქცევდა. ხანდახან საჭმელს თუ მოითხოვდა, დედა პურის ნატეხსა და ყველის ნაჭერს მისცემდა და ამშვიდებდა.

უკვე დიდი ხანია გათავდა სამუშაო საათი. მომშივდა კიდეც, მაგრამ მთხოვნელებს მიღებაზე უარს ვერ ვეუბნები.

— როგორაა ტაო საქმე, კიდევ ბევრია? — შევეკითხე მდივან ქალს, როცა კარი შემოაღო და შემოიხედა.

— არიან, ბატონოვ ვლადიმერ, მაგრამ ნება მომეცით რამდენიმე წუთით დავტოვო ისინი. ბავშვს მივიყვან მეზობლისას, დავაძინებ. აქ წესიერი ადამიანები დგანან, რიგს არ დაარღვევენ, არც იხმაურებენ. მე მალე დავბრუნდები.

— თუ კი ასეა, წაბრძანდით, აქაურობას მოვუკლი როგორმე. — ვეუბნები და ახალშემოსულს ვთხოვ დაბრძანდეს.

ის ჯდება. ხანდაზმული პედაგოგი ქალია. მთელ ქალაქში ცნობილი, საპატიო ადამიანი. მისი დაზრდილი ვაჟკაცები ღლეს სამამულო ოში იბრძვიან.

— ქალბატონო მარო, თქვენ რამ შეგაწუხათ?

— ქვეყნის დარღმა და გასაჭიროა, შვილო. — მიპასუხა მოხუცმა და თვალები მოიწინდა. — გუშინ შალვას დაღუპვის ცნობა მოვიდა. საწყალი ბიჭი სევასტოპოლის მისადგომებთან დაცემულა. მისმა ოჯახმა ჯერ არაფერი იცის. საბრალო დაროს ვინ უნდა აუწყოს ეს საშინელი ამბავი. ვინ უნდა გაუმნილოს ქმრის დაღუპვა. რა ვქნა, ვერაფერი მოვიფიქრე... ოთხი ბავშვი ყავს, რა უნდა უშველოს უბედურმა დედამ.

მე ვიცოდი რომელ შალვაზედაც ამბობდა მარო და მისი დალუპვის ამბავმა თავზარი დამცა. შალვა თობაძე ჩემი კარგი მეგობარი იყო. ღიდან ხანს ერთადაც ვმსახურობდით. სიყვარულით გავაცილეთ ფრონტზე, მშვიდობით დაბრუნება ვუსურვეთ. მის მეუღლეს, რომელიც ჩვენს სისტემაში დაბალხელფასიან თანამდებობაზე მუშაობდა, საათები მივუმატეთ, უკეთესი პირობები შევუქმენით და კმაყოფილი გვყავდა, მაგრამ ახლა...

— მოდი, ჯერჯერობით ნუ გავუმხელთ. — მცირე ღუმილის შემდეგ ვუთხარი მე. — ვინც ეს ცნობა მოიტანა ისიც გავაფრთხილოთ, ენა არ დასძრას ამის შესახებ.

- მაგრამ წერილებს რომ ვერ მიიღებს საცოდავი, ხომ დაეჭვდება?  
— შემომექამათა მარო.  
— სჯობს ეჭვობდეს, ვიღრე... ვერ გეტყვით ასეთ დროს როგორ აჯობდებს. გავუმხელთ — უბედურებაა, არ გავუმხელთ — უარესი. თქვენ როგორ ფიქრობთ?  
— მე? მე თქვენს პირველ მოსაზრებას ვემხრობი. — მიპასუხა მან.  
— რომ ჯერჯერობით ნუ გავუმხელთ?  
— საქმისთვის აჯობდებს... და ერთხანს მაინც გვყავდეს იმედიანად.

— და მაროს გული უჩუყდა.

— კარგი, ეგრე იყოს, თუმცა... ეჭ, რა ძნელია აღამიანს უმალავდე ასეთ საშინელ ამბავს და თვალებში შესცემოდე.

ჩვენი საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მოსაცდელში მყოფ მთხოვნელებს საყველური არ დაცდენიათ. მოთმინებით ისხლნენ და თავიანთ რიგს ელოდნენ.

მარო ჯერ წასული არ იყო, რომ ტასომ შემოიხედა.

— მოვედი პატივცემულო ვლადიმერ. ცოტაოდენი საჭმელიც მოგიტანეთ. მთელი დღე არაფერი გიჭიმით. იქნებ შეისვენოთ. — მაროს შეხედა. — ქალბატონ მაროსთან ბოლიშს ვიხდი, ურიკოდ უნდა შემომეშვა, მაგრამ არ ისურვა.

— არა. შვილო, საბოდიშო რა არის. რიგის დარღვევით უველაშე დიდ შეურაცხყოფას მიაყენებთ აღამიანებს, რომლებიც წუთებს ითვლიან აქ ლოდინით. — წამოდგა. — მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ. როგორც ვთქვით, ჯერჯერობით ასე აჯობდებს. — თვალები კვლავ უცრებმლიანდა. ცხვირსახოცი მოიშველია, ცრემლი მოიწმინდა, შემდეგ ხელი ჩამომართვა და გავიდა.

— რამ შეაწუხა? — დაინტერესდა ტასო.

— არაფერი. ცოტაოდენი საქმე ჰქონდა... საჭმელისთვის მაღლობელი ვარ. რაღა დაგიმალო, მომშივდა. — ქაღალდში გახვეული ნამცხვარი გამოვართვი და გვტეხე.

— ერთი-ორი წუთი და მოვრჩები. ბევრი მელოდება კიდევ?

— არა. ორი ქალი დარჩა მხოლოდ. თქვენი განკარგულება რომ არ მქონდეს, სამუშაო საათი დიდი ხანია გასულია, დავითხოვდი უველას.

— არა, ჩემო ტასო, არა. არა გვაქვს ამის უფლება. ჩვენი ძმები იქომის ქარცეცხლში ტრიალებენ და ჩვენ აქ მათი ოჯახის წევრებს მიღებაზე და დახმარების აღმოჩენაზე ვუთხრათ უარი? არა, ეს არ შეიძლება! — ამასობაში ნამცხვრის ჭამასაც მოვრჩი და ტასოს მივუბრუნდი. — შემოუშვი.

ტასო გვიდა. შებრძანდითო, ეუბნება იქ მყოფ ქალს, მაგრამ, გვეკვება  
უარზეა. ბარემ სულ ბოლოს შევალ, რომ უფრო დაწვრილებით მოვუ-  
თხრო ჩემი ამბავიო, პასუხობს და რიგს მეორეს უთმობს.

შემოღის ახალგაზრდა პედაგოგი. მე იგი ერთხელ მყავს ნახული და  
ცნობა გამიჭირდა, მაგრამ როცა თავისი სათქმელი თქვა, მივცვლი ვინც  
იყო და ვთხოვე დამჯდარიყო. მან უარი თქვა. მოკლედ მიამბო რისთვი-  
საც იყო მოსული და დახმარება აღვუთქვი. ძალიან კმაყოფილი გამო-  
მეთხოვა.

უკანასკნელი მთხოვნელი ქალი სრულიად უცნობი ვინმე აღმოჩნ-  
და. იგი ჩემს პატარა ქალაქში არასოდეს მენახა. ლამაზი, კარგად ჩა-  
ცმულ-დახურული, მაღალი, წერწეტია, საქმაოდ ეშხიანი და სანდომიანი.

— მაბატიეთ. — შემოსვლისთანავე მითხრა მან. ბოლიში მოიხადა და  
ჩემი კაბინეტი შეათვალიერა.

— დაბრძანდით. — სავარძელზე ვანიშნე.

მან კიდევ მიიხედ-მოიხედა და დაჯდა.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — შევათვალიერე ეს უცნობი  
სტუმარი.

— თქვენ ალბათ შინ მიგეჩეარებათ. მეტად დატვირთული სამუშაო  
დღე გქინდათ და... თუ შემპირდებით, ხვალ შემოვივლი უფრო თვი-  
სუფალ სათებში.

— არა მგონია ხვალ უფრო თვისუფალი აღმოვჩნდე. ბრძანეთ რაზე  
შეწუხებულხართ?

ქალი შეიშმუშნა.

— ჩვენი საუბარი, — კარებისაკენ გაიხედა, — პატიოსანი სიტყვა-  
უნდა მომცეთ, რომ საიდუმლოდ დარჩება.

— საიდუმლოდ?

— ჩვენს მეტს არავის ეცოდინება.

— თუ ასეა სცჰირო... — ცოტა არ იყოს ჩამაფიქრა ამ უცხო ქალის  
მოთხოვნამ. „მოგზავნილი გაშუში ხომ არ არის?“ გავივლე გულში. —  
მაინც რა არის ასეთი საიდუმლო, რომ თქმას ვერ ბედავთ? — ცოტა არ  
იყოს ნაწყენი კილოთი მივმართე მე.

— მაპატიეთ. — კვლავ ბოლიში მოიხადა ქალმა. — მე მითხრეს, რომ  
თქვენ კეთილი და გულისხმიერი ადამიანი ბრძანდებით, თორემ ამდენს  
ვერ გავტედავდი. აბა უცნობ პიროვნებას როგორ გავნდობდი ასეთ სა-  
იდუმლოს, ან კი როგორ შევკადრებდი... მაპატიეთ. უკეთესი იქნება წა-  
ვიდე, სხვა გზით ვეძებო შველა. — ასადგომად წამოიწია, მაგრამ შევა-  
ჩერე.

— რახან მობრძანდით და ჩემთან საუბარი მოისურვეთ, ბარემ დააშ-  
თავრეთ რა სათქმელიცა გაქვთ. თუ მოშველებაა საჭირო, ნუ დაგერიდე-

შათ. ბრძანეთ. რაც შეეხება საიდუმლოს შენახვას, გააჩინია, თუ ასეთი  
არა კეთილ საქმეს ემსახურება... — გამახსენდა მხცოვან პედაგოგ მართლა  
თან საუბარი ფრონტზე დაღუპული მებრძოლის ოჯახისათვის მოსული  
ცნობის გაუმხელელობისა და დროებით საიდუმლოდ შენახვის შესახებ.

— უთუოდ კეთილსა და სასარგებლო საქმეს, ჩემი ოჯახის გაბედნი-  
ერებისა და მომავლის საქმეს. — მომხიარულდა ქალი. — მაპატიეთ. ალ-  
ბათ გულში გელიმებათ კიდეც. რა დროს პირადი ბედნიერებისა და საკუ-  
თარი ოჯახის საჭითხის წამოყენებაა წინა პლანზე, როცა ასეთი ქარიშხ-  
ლიანი დღეები გვიდგასო, იტყვით, მაგრამ მაღლობა ღმერთს გამარჯვების  
სასწორი ჩვენს მხარეზე იხრება და მალე დიდ ზეიმსაც გადავიხდით.  
ქარიშხალი ჩადგება, ადამიანები თავიანთ კერას დაუბრუნდებიან, ოჯახსა  
და შეილებზე იფიქრებენ და საერთო ფერხულში ჩაებმებიან.

მაინც ვერ მივაღწიე მიზანს. ვერ ვათქმევინე რა სურდა და რისთ-  
ვის სჭიროდა ამხელა შესაგალი. უნებლივთ საათს დავხედე და ეს მან შე-  
ნიშნა.

— კიდევ პატიებას გთხოვთ, ჩემი პირადი საქმისათვის ამდენ დროს  
რომ გართმევთ, მაგრამ თუ გამიმართლა და სურვილი შემისრულდა...  
ადამიანები ყოველთვის შეხვდებიან ერთმანეთს...

— გიბრძანეთ, რაშია საქმე, რა გაწუხებთ? — ვატყობ მოთმინება  
მელევა ამდენ უმიზნო საუბარში.

— რა მაწუხებს? — ახლა უფრო ბეჭითად შემათვალიერა — ძალიან  
შრცევინა, მაგრამ... — შეჩერდა, კარებისაკენ მიიხედა, ხომ არავინ უნდა  
შემოვიდეს, ან ჩვენს საუბარს ხომ არავინ ისმენსო.

— ბრძანეთ, ჩვენს გარდა აქ არავინაა. — დავარწმუნე მე.

სტუმარმა ცოტა ხანს იყუჩა. შემდეგ შემომხედა და დაიწყო.

— თქვენს ქალაქში დროებითი სტუმარი ვარ. თუ მშვიდობა დარჩი-  
და ჩები სურვილის შესრულების იმედი მექნება, რამდენიმე თვე დაურ-  
ჩები. ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს შვიდი-რვა თვისია. ამ ხანში უნდა  
მოვაგვარო ჩემი საქმე, რაშიც მთავარი დახმარება თქვენ უნდა გამიწიოთ...

— მე?

— დიახ, თქვენი იმედი მაქვს. მე პედაგოგი ქალი ვარ. ჩემი მეულ-  
ლე სამხედრო ინჟინერია. ლენინგრადის დაცვაში დიდი ღვაწლი მიუძღ-  
ვის. მძიმედ დაჭრილი რამდენიმე თვე პოსტიტალში იმყოფებოდა. ახლა,  
მაღლობა ღმერთს, მოკეთებულია, ჯან-ლონე აქვს, უკრაინის ფრონტზე  
ზურგის ნაწილში იმყოფება, თავის მოვალეობას იხდის სამშობლოს წინა-  
შე, მაგრამ... ძალიან ვწუხვარ, ასეთ დროს მის გვერდით რომ არ ვიმყო-  
დები. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვიძნელდა ერთმანეთის დაშორება.  
ნეტა მაინც მისი ოცნების ასრულებას შევძლებდე... თქვენზე ბევრი კა-  
რგი გამიგონია. პატიოსან და სანდო პიროვნებად, გულისხმიერ ადამიანად

გამაცნეს თქვენი თავი. თანამდებობაც ღირსეული გაქვთ, მოვალეობაც საპატიო და კეთილშობილური. ასეთ პირობებში მყოფი თქვენგან უკერძო შველასა და დახმარებას. დროებით სამუშაო უნდა მომცეთ. რუსულო ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ვარ.

„მაღლობა ღმერთს, გავიგე რისთვისაც მოსულა“ — გავიფიქრე მე და მესიამოვნა კიდეც, რომ ასეთი იდამიანისათვის დახმარების აღმოჩენის საშუალება მაქვს.

— ძალიან კარგი. მე შემიძლია ხვალიდანვე მოგცეთ თქვენ სამუშაო. — გულდამშვიდებით ვუთხარი და პირდაპირ შევხედე.

— თავშესაფარის შოვნაშიაც უნდა მიშველოთ. — ახლა მეორე მოთხოვნილებაც წამომიყენა. — ქმარი დარწმუნებულია, რომ მე ამ ქალაქში ნათესავთან ვარ წამოსული. სინამდვილეში კი სრულიად უცნობისას ვარ დროებით შეყუდრებული.

— ბინის შესახებ რა მოგახსენოთ. — გამოვუტყდი მე. — ბინის მოცემის საშუალება არა გვაქვს, ქალაქი ზედმეტად გადატვირთულია, მაგრამ უიმედობას ნუ მიეცემით. გვყავს მარტოხელა მოხუცი პედაგოგი ქალები, რომლებსაც შეუძლიათ დაგითმონ კუთხე. თან ხომ არავინ გახლავთ?

— არა. ჯერჯერობით მარტო ვარ, მაგრამ... აქედან კი არ უნდა დავბრუნდე მარტო. — გამილიმა მან. — ეს ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

— ჩემზე? მე რა შემიძლია, გარდა იმისა რაც შეგპირდით?

— ამისთვის მაღლობელი ვარ. რაც შეეხება ჩემს მთავარ სათხოვარს, იმის შესრულებას თქვენ არ გავალებთ არც თანამდებობა და არც მორალი. ყველაფერი თქვენს სინდისზე და გულისხმიერებაზეა დამოკიდებული.

შეგონა გადავრჩი, ამოიხსნა ამოცანა, მაგრამ ახლა უფრო ძნელად ასახსნელი ამოცანის წინაშე ლომოებნდი.

— ვერაფერი გამიგია, არაფერი მესმის. — უნებლიერ ჩავილაპარაკე მე. — მიბრძანეთ კიდევ რა მევალება? რაში გჭირდებათ ჩემი დახმარება?

ქალმა თავი დაპხარა, ლოყები წამოუწითლდა და ჩაილაპარაკა:

— რა ბრიყვი და სულელი ვარ. — შემდეგ თავი ასწია და შემომხედა: — ვერ გამიბეღნია, მრცხვენია... — და უცებ წამოცდა. — მე ფეხიმიმედ ვარ.

— ფეხმიმედ? მერე, რა არის აქ საძრახი? ჯერ იმსახურებთ, შემდეგ დეკრეტულში გახვალო და... ქალის მოვალეობა დედობა არის, შვილები, კარგი ვაჟკაცები და ქალიშვილები უნდა ვუმრავლოთ სამშობლოს. — გავუღიმე მე.

— მაღლობელი ვარ. — პირდაპირ შემომხედა. — რომ ამბობდნენ.

ისეთი კეთილი და გულისხმიერი ყოფილხართ. შეიძლება ძმასავით მოექნდოთ და ჩემი საიდუმლო გაგიმხილოთ?

— ისეთი საიდუმლო რა უნდა გქონდეთ, რომ ამდენი ხევწნა გჭირდეთ. მე ჩემულებრივი ადამიანი ვარ. შეიძლება ზოგისათვის უკეთესი, სანდო და კეთილი, ზოგისათვის კი პირტკით. რაც შეეხება ჩემს თანამდებობას, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, იგი მე მავალებს კიყო კეთილი, გულისხმიერი, თავმდაბალი და თუ გნებავთ მესაიდუმლეც. ჩემთვის უკვე გასაგებია თქვენი მდგომარეობა, დროებითი სტუმარი ხართ ჩვენი, დახმარება გჭირდებათ, სამუშაო, თავშესაფარი, გულთბილი მოპყრობა. შეძლებისდავარად ყველაფერს მოვაგვარებთ. აღბათ მალე ომიცდამთავრდება და ახალშეძენილი ვაჟიშვილით კმაყოფილს გაისტუმრებთ... როდისთვის ელოდებით?

— როდისთვის? — თავი დახარა ქალმა. — არაუადრეს ექვსი თვისა. ეს თქვენზეა დამოკიდებული.

— ჩემზე?! — გაკვირვებისაგან თვალები გამიფართოვდა.

— დიახ, საიდუმლოებაც ამაშია.

— აქ რა საიდუმლოება უნდა იყოს? — უფრო გავიკვირვე მე. — ყველა ქალი დედა უნდა გახდეს თავის დროზე.

— მაგრამ მე მშობელი ვერ გავხდები, დედა და ოღმზრდელი კი უნდა შევიქნე. ეს თქვენი დახმარებით უნდა მოხდეს. თქვენ უნდა მალირსოთ მე შვილი და გამხადოთ მისი პატრონი. ეს ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, რომ ჩემმა მეუღლემ არ იცოდეს. გასაგებია?

და ის საიდუმლო საქმე გამანდო, რომლის მოგვარებას ჩემი დახმარებით აპირებდა.

— ქალაქში ბევრი ახალშობილი რჩება უდედმამოდ. მრავალი საჭიროებს პატრონსა და მომვლელს. იმათი მიშველება და პატრონობა თქვენ გაქვთ მინდობილი. თქვენ კი ერთ-ერთ მათგანს მე ჩამაბარებთ. უთუოდვაუს, უთუოდ ხუთი-ექვსი თვის შემდეგ. ასე მაქვს ნათქვამი, ასე ელოდება ჩემი მეუღლე. როგორც კი ვაცნობებ, მაშინვე გამოეშურება. მანადე კი ჩემს ნათესავ ქალთან ვგონივარ შეფარებული. ასეთი ნათესავი ქალიც თქვენ უნდა მაპოვნინოთ. გასაგებია თქვენთვის ჩემი დარღი?

— დიახ, გასაგებია. — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ვუთხარი მე — დაგეხმარებით ბავშვის შერჩევაში.

— მაგრამ ძალიან გთხოვთ, ჩვენს გარდა არავინ იცოდეს ეს საიდუმლო. — ხელზე ხელი მომკიდა და შემომხედა.

— პატიოსან სიტყვას. გაძლევთ. — და ხელი ჩამოვართვი.

— აჲ, ვიპოვნე! — წამოვიძახე უნებლიერ მთელი ღამის უძინარმა და საწოლზე გადავბრუნდი. — ის არის, ნამდვილად ის, მაშინაც ასე სიყვარულით დამიკოცნა ხელები, როცა ახალშობილი ვაჟი ჩავაბარე. საინტერესო შეხვედრაა. ეს მამაკაცი მისი ქმარია, ის ვაჟი კი, ის პატარა ბიჭუქელა, რომლის დაბადებას გადაყვა ახალგაზრდა მარტოხელა დედა. რატომ აქამდე არ მომავრნდა ეს ამბავი? რატომ მაშინვე ვერ ვიცანი ეს უცნაური ქალი, როცა სახელითა და მამის სახელით მომმართა? ახლა კი უთუოდ უნდა გავეცნო, მაგრამ საიდუმლო რომ გამომჟღავნდეს? ვინ იცის, იქნებ ქმარმა დღემდე არ იცის რომ ვაჟი, რომელიც გაჭრილ ვაშლივით გავს მას, მისი შვილი არ არის? რადგან ამ ქალისაგან მალე ვოგონაც შეძენია, ეჭვი არ შეეპარებოდა გულში. როცა იგი ცოლისა და ახალშეძენილი ვაჟის წასაყვანად ჩამოფრინდა, ყველაფერი მოწესრიგებული გვქონდა. ქალს მოწმობა ჰქონდა, რომ იგი სამშობიარო სახლში მოლოგინდა (აღნიშნული იყო თვე და რიცხვი), შეეძინა ვაჟი, გაეშერა სამშობიარო სახლიდან და ცხოვრობდა „ნათესავ“ მოხუც ქალთან.

ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმეს წყალიც არ გადინდებოდა.

მაშინ ამ ქალის ქმარი მე არ გამიცნია. საიდუმლოს უფრო საიმედოდ შენახვის მიზნით ჩაიდინა „ახალმოლოგინებულმა“ ეს. პირადად კი გამოცხადდა ჩემთან სამსახურში, დიდი მაღლობა გადამიხადა, სამსახურიდან განთავისუფლების საბუთი მიიღო და წავიდა.

ის იყო და ის, მას შემდეგ მისგან არავითარი ცნობა არ მქონია. არც არასდროს შემხვედრია. წარმოიდგინეთ, რომ მეხსიერებაშიც თანდათან გამიქრა ეს ამბავი. ეს შემთხვევა რომ არა, აღბათ მალე დავიწყებას მიეცემოდა ყველაფერი.

მთელი ღამით ამ მოგონებებში გართულს გათენების ხანს მიმეძინა, ხოლო როცა გამეღვიძა და თვალი გავახილე, კუპეში მხოლოდ მამა-შვილი ისხდნენ და გაზეოს ათვალიერებდნენ.

— ძილის მოყვარული ბრძანებულხართ. — ღიმილით შემომხედა მამამ. — მთელი ღამე არ განძრეულხართ. კარგია ადამიანს რომ ასე მშვიდად სძინავს ხოლმე.

— დიახ, ძალიან მიყვარს ძილი. — ვიცრუე მე.

— სად მიბრძანდებით?

ჩვენი ქალაქი დავუსახელე.

— იქაური ბრძანდებით?

— დიახ, იქაური.

— ჩემი ვაჟიც იქაურია... — ვავისაჭენ გაიხედა მამამ. — იქ დაბა-  
დებულია.

— მართლა?

— დიახ. ომიანობის დრო იყო. ჰოსპიტლიიდან რამდენიმე თვის გა-  
მოწერილი ვიყავი, მალე ისევ ფრონტზე მიწევდა წასვლა. სწორედ ამ  
დროს ჩემი მეუღლე ფეხმძიმედ აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ თქვენ, რო-  
გორ გამახარებდა დიდი ხნის ნატვრის შესრულება. მოვითათბირეთ  
ოჯახში და გადავწყვიტეთ, ჩვენი პირველი შვილის დაბადების აღგილი  
სწორედ თქვენი მშვიდობიანი ქალაქი ყოფილიყო.

— და ყველაფერი რიგზე ჩატარდა? — შევეკითხე მე, ჩემი ვარაუ-  
დის სინამდვილეში დარწმუნებულმა.

— დიახ, ყველაფერი რიგზე. რამდენიმე თვის შემდეგ ჩემმა მეუღ-  
ლებ ვაჟის შეძენა მაცნობა და მეც მაშინვე გამოვეშურე, თუმცა არც  
ისე აღვილი იყო იმ დროს მგზავრობა.

ცოტა ხანი კიდევ წავისაუბრეთ და ქალიც შემოვიდა. მას პირი დაე-  
ბანა და თმას ივარცხნილა.

— ახლა კი ერთად წავიდეთ და რესტორანში წავისაუზმოთ. — შე-  
მოგვთავაზა მამაკაცმა და წამოლგა.

— თქვენ მიბრძანდით და მე ახლავე გეახლებით. — თქვა ქალმა და  
სარკესთან მიმღვარმა თმის სწორება დაიწყო.

მამა-შვილი გავიდნენ.

მეც მოვრჩი საქმეს და წასასვლელად ავხაზირდი.

— წამობრძანდით, მარია პეტროვნა — თითქოს წამომცდა მე და პი-  
რი ვიბრუნე.

ქალი სწრაფად შემოტრიალდა.

— მიცანით? მოგაგონდით? — უცებ გაფითრდა. — არ დამღუპოთ! —  
ორივე ხელი მომხვია, გულში ჩამიკრა და აქვითინდა. — თქვენით ფარ ბე-  
დნიერი და შემინარჩუნეთ ეს ბედნიერება.

— სიტყვისათვის არასოდეს მიღალატნია და არც არასოდეს ვუღალა-  
ტებ! — მტკიცედ ვუთხარი მე და ხელზე ვეამბორე.

## ს პ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო

\* \* \*

სეები შლიან დაბამბულ თათებს  
და ბრაზიანი ქარები ყეფენ...  
დღეს თოვლის მეფე ასულა ტახტზე,  
უიწულის მეფე.

ჩიტებს მობეზრდათ სველი ქუჩები  
და მაშურეს უცებ მავთულებს;  
მათ ფაფუკ ფრტებ ქვეშ  
რძიან ტუჩებით  
თვლემს გაზაფხული.

იძინოს მშვიდად, ჩიტო ნიბლიავ,  
მან მხოლოდ წუთით დახარა თავი;  
იძინოს მშვიდად,  
ის დაღლილია  
ქარბუქთან დავით.

ყინვის არტახო, რაღად აწვალებ  
მის პაწაწინა მხრებსა და ხელებს?  
თვლემს გაზაფხული — ნორჩი  
ყმაწვილი  
და ძილში ხედავს უთვალავ ფერებს.

\* \* \*

ეზოში მარტის ქარი თამაშობს  
და ასუფთავებს მტვრიან ბილიკებს,  
ცვრიან ბალახებს ამბორს სთავაზობს;  
მინდვრის ყვავილებს ჩაუჭილიკებს;

მერე მოხვეტავს კენჭებს პაწიებს,  
მოემატება ძალა ხელებში,  
ააშრიალებს თეთრ აკაციებს,  
საჟღარუნებს ეჟვანს თხმელებში...

ასე მხვდებოდა დიდი ხნის წინაც —  
დაუდგრომელი და ონავარი,  
ტყემლის ყვავილებს მაყრიდა წვიმად,  
ანცობა იყო მისოვის მთავარი.

დღეს სხვა ქარები მყვანან მეგობრად,  
ის დრო წაილო უამთა დინებამ,  
ქარო, ცელქობა უჯევ გეყოფა,  
დღეს იქნებ არც კი მეღიმილება

\* \* \*

იები თვალებს აფახულებენ  
და მიცქერიან ჩუმი ნაღველით.  
ჩემი ბავშვობის ნაფეხურებო,  
ჩემო ფიქრებო, საით წახველით?

სად გაგიმართავთ გზებზე მარულა,  
მთებს შეფენიხართ, თუ ტყეს უსიერს?  
ჩაგძინებიათ მოლზე მალულად,  
თუ ლამაზ განცდებს ლამე უთიეთ?

ისევ ჩურჩული მესმის თელების,  
ისევ შრიალებს ალვა და ნუში,  
დამციმციმებენ ციცნათელები  
და ძველ იმედებს მინთებენ გულში.

\* \* \*

მთა-მთა იარე,  
 ტყე-ტყე იარე,  
 თუ ფრთები გესხა უცხო ფრინველის?  
 მე შემეჩებე, როგორც მდინარე,  
 მჩქეფარე, ლალი და მიმზიდველი.

გზა-გზა მაყრიდი ვარდების  
 ფურცლებს,  
 ქარი მოგვდევდა ფრთების შრიალით...  
 ახლა შენს გამშრალ კალაპოტს ვუცქერ,  
 გაქვირვებული და ნაღვლიანი.

---

## შოთა როვერი

### გეურმე პიჟი

ჩაის ფაბრიკას ორსართულიანი, გრძელი შენობა უკავია. პირველ სა-  
რთულზე მიმღები პუნქტია.

მამუკას ახსოვს, როგორ შენდებოდა სოფელ განთიადის ჩაის ფაბ-  
რიკა.

ურმებით, გოდრებით, კალათებითაც კი მოპერნდათ ქვები ამ მშენებ-  
ლობაზე.

მისი მშობლებისა და მეზობლების ოფლი იღვრებოდა ამ სახალხო  
საქმეზე და ის ზეიმიც კარგად ახსოვს, როცა სოფელში ჩაის ფაბრიკის  
პირველი დუღუკი გაისმა!

ახლა სამი კოლმეურნეობიდან მოზიდულ ფოთოლს ამუშავებდა გან-  
თიადის ჩაის ფაბრიკა და სოფლის ცენტრში ასვლა ყველას უხაროდა: სო-  
ფლის სიმწვანეში, როგორც ზღვაში, შეჭრილიყო უზარმაზარი თეთრი ხო-  
მალდი. გადამუშავებული ჩაის მძაფრი სურნელი მთელ სოფელს გულ-  
ზე ეფინა.

კოლმეურნეობის თხოვნით, ერთ წელიწადს, მამუკას მამა — გრიშაც  
ფაბრიკაში მუშაობდა. მაშინ ფაბრიკას მუშახელი არ ჰყოფნიდა. კირილუ  
რუსის ოჯახი და სხვა მუშები სოფელში შემდეგ მოვიდნენ.

მამუკა სულ ნატრობდა ფაბრიკაში ემუშავნა, რადგან ჩაის ფაბრიკა  
უყვარდა და აი, თითქოს კიდეც აუსრულდა ნატვრა: ფაბრიკას ურმით  
ყოველდღე ჩაის ფოთოლს უზიდავდა და მთელ ღამეს იქ ათენებდა.

იმ საღამოს რიგში თერთმეტი ურემი დახვდა, მისი ურემი მეთორ-  
მეტე იყო.

ურმის დაცლის, ჩაის მოწონვას და ტარის გადაწონვას ნახევარი ცაა-  
თი მაინც მიჰქონდა და ბევრ მეურმეს ღამის გათენება უხდებოდა. კადეგი და  
სამ ისინი ხნეშესული კაცები იყვნენ, მათში მხოლოდ ერთი მამუკა ერია.

— გამარჯობა, მამუკა, როგორაა შენი საქმე? — ცენტრალური პუნ-  
ქტის გამგემ, გიორგიმ, მეურმეებში მამუკა შენიშნა.

— დიდებულად, აი, ასე! — ბიჭმა გამართული ცერი უჩვენა, — მე-  
რე მოქაყვა, — რიგში მეთორმეტე ვარ, ხვალ დილით მოვაყენებ შენთან  
ურემს და ხელახლა მოგესალმები.

— ძალიან დიდებულად ყოფილხარ! — გაელიმა გიორგის, — მო-  
ცადე, იქნებ მოვახერხო რამე.

რაიმეს მოხერხება კი იმას ნიშნავდა, რომ შეიძლებოდა მამუკა რო-  
გორმე რიგგარეშე გაეშვა, ანდა, თუ საშუალება იყო, მისი ჩაი გადაუ-  
წონავად მიეღო.

— ოთხას ორმოცდახუთი კილო და რვაასი გრამი! — დაიძახა გიორ-  
გიმ და სასწორი გადაკეტა, — რომელი ბრიგადაა?

— მეცხრე! — გასცა პასუხი მეურმემ.

გიორგი წამოდგა, ცალი ხელით შეჭალარავებული წვერი მოიქექა,  
მეორეთი ნავთის ფარანი ასწია და ოთახის სილრმეში მიანათა.

— აი, იმ კუთხეში დაყარეთ. აბა, სწრაფად, სასწორს ნუ გამიც-  
დენთ!

ზეაწეული ფარნის შუქზე, ჩაის ყუთებს იქით ხელახლა გამოჩნდა  
ნაბდიანი მამუკა.

გიორგის გაელიმა.

— მამუკა, ქვითარი მომეცი — უთხრა მწონავმა და დაჯდა.

მამუკამ ქვითრები გაუწოდა.

— ახლა რიგი ვისია სასწორთან?

— ჩემია! — დაიძახა ვიღაცამ ჩაის ყუთებს უკან.

— შენ რომელი ხარ?

— მეშვიდე ბრიგადა.

— დაუთმე რიგი მამუკას, ბავშვია.

— ვერა, ძმაო, ვერა — იყვირა მეშვიდე ბრიგადამ, — მეჩქარება.

ბავშვი ლოგინში უნდა ახლა!

— ტფუ! — ხელი ჩაიქნია მწონავმა, — კაცური კაცი მეგონე! —  
მერე მამუკას მიუბრუნდა, — ხომ ხედავ, რა ხალხია?

— არ მინდა, ბატონო! — იუკადრისა ბიჭმა, — როგორ გეკადრებათ  
რად მინდა. მოვიცდი!

გიორგი ისევ წამოლგა, ფარანი ისევ შემართა და დარბაზის კუთხე-  
ებს სათითაოდ მიანათა.

— რას შვრები, კაცო, რას? — იყვირა მან, — ჩაიზე ფეხით დადრ-  
ხარ? სინდისი სად დაკარგე შენ?

— აგრე, ჩაიში დაკარგე და ვეძებ! — გამოსძახა იქიდან ვიღაცამ.

— როგორ გეკადრება, კაცო, ხომ იცი, რა სიმწრით მოკრეფილია-  
ხალხმა უნდა დალიოს მაგი!

— გაუსალებელი არ დარჩება, ნუ გეშინია! — დაიძახა ისევ ვიღაცამ  
და განზე გავიდა.

— ტფუ! გამოიწი, კაცო, გზა მიეცი, ხომ ხედავ, ყუთები შემო-  
აქვთ. თუ შეგიძლია, მოდი, ხელი მოუკიდე, რომ დგახარ სარგადანაყლა-  
პივით! — შეაფიცხინა ვიღაცა და თავის ადგილას დაჭდა. მერე გაზეთის  
ქალალდში თუთუნი გაახვია და ფარნის თავზე მოუკიდა.

— აბა, ჩქარა, დააწყვეთ ყუთები, სასწორს ნუ გამიცივებთ! — ისევ  
დაიძახა გიორგიმ, — მამუკა სადა ხარ?

— ურემთან წავიდა, — დაიძახა ვიღაცამ.

— იაგორა, უთმობ რიგს მამუკას თუ არა?

— რავა ვუთმობ, კაცო? — იყვირა იაგორამ, -- ჩაი უსაშველოდ  
დატენილი მაქვს, ცეცხლი მექიდება!

— ქალიან კარგია, თუ გეკიდება, — ჩაილაპარაკა მწონავმა, — დამწ-  
ვარი მენახო!

მერე ისევ წამოლგა და ფარანი დარბაზს მიანათა.

— რას შობი, კაცო, რას? ჩაია, ძმაო, მაგი! ფეხით რომ დადიხარ,  
სათივეში ხომ არა ხარ, არ გაფუჭდება?

— ბოდიში, ბატონო გიორგი!

— მამუკა, მოდი ჩემთან.

— რა იყო, გიორგი ბიძია? — გამოეხმაურა ბიჭი, — ნუ შეწუხდები,  
არა უშავს, მეც სხვებსავით მოვიცდი.

— რაღას მოიცდი, კაცო, უკვე ორი საათია, შენ რომ შინ ჩახვალ,  
კიდეც გათენდება!

— რა უყყოთ მერე.

— ჰო, რამდენია შენი ჩაი? — ისევ იკითხა გიორგიმ და უჯრაში მა-  
მუკას მოტანილი ქვითარი მონახა.

— ოთხას ოცდაერთი კილო.

— რა ჰქენი, იცი? წაიყვანე ურემი, შემოუარე ფაბრიკას და მეორე  
შემოსასვლელში მაკარიასთან მიღი. დაუძახე, გასცალეთ შენი ყუთები და  
წადი... ქვითარს ხვალ დაგახვედრებ. გაიგე?

— მესმის, გიორგი ბიძია.

— ჰო, მაგას ურიგოდ უშვებ და მეათე ბრიგადამ რიგში უნდა გაა-  
თენოს, ხომ? — დაიძახა ვიღაცამ.

— შენ მაგხელობას ზარმლობაზე დაძინებული იყავი. გავუშვი და  
იყვირე ახლა. აბა, წადი, მამუკა!

— გმადლობთ, გიორგი ბიძია. — უთხრა ბიჭმა და გამოვიდა, — ნახ-  
ვამდის, ჭირვეულო მეათე ბრიგადავ!

— ჭირვეულს მოგცემ მე შენ! — იყვირა ვიღაცამ, — უყურე, რას  
იგინება!

მამუკამ ურემი გაიყვანა და მაკარია მონახა.

— მმმარტო ხხარ, ბბიჭო კიდევ, ხხომ? — ჰკითხა მაკარიამ.

— ჰო, ჩემო მაკარო, მარტო ვარ, მომეხმარე.

— ახხლოს მმოიყვანე უურრემი, შშე საწწყყალო!

— ურემი აქა მყავს, მაკარია ბატონო.

— ორი, შშენს დღეს უუბედუურს!

— რატომ ვარ უბედური, მაკარია? ნუ მეტყვი მასე და არ მინდა შე-  
ნი დახმარება. — შეეხვეწა ბიჭი.

— მმაამმა შშენის წწერილი თთუ მმოვიდა? — სიმწრით იკითხა  
მაკარიამ.

— ერთი თვეა, არ მოსულა.

— აარც შშენი ძძმის?

— აარც ძძის! — უთხრა ბიჭმა, — კიდევ არ მკითხო, რამე, თორემ  
ამასობაში გათენდება!

— გიგიტტლერის დდდ ვვატირე მმეე!

— ნუ იზამ მაგას, მაკარია!

რამდენ ყუთსაც ჩამოიღებდნენ ურმიდან, იმდენ რამეს ჰკითხავდა ან  
ეტყოდა მაკარია.

მაკარია უცოლშვილო კაცი იყო. ძირითადად ფაბრიკაში მუშაობდა,  
მაგრამ სოფელში ყველასთან მიღიოდა და ყველა რაღაც საქმეს ავალე-  
ბდა. მუშაობა არ ეზარებოდა და არავის არაფერზე არ გააწბილებდა. სა-  
მაგიეროდ არაყი უყვარდა და რომელ ოჯახსაც ამოიჩემებდა, სადილად  
და გახშმად იქ იყო.

სოფელში ანეკდოტები დადიოდა მაკარიაზე.

მაკარია მენშევიკების ჯარში მსახურობდა და ერთ დღეს, როცა მო-  
რიგობდა, სამზარეულოში ხანდარი გაჩნდა.

მაკარია უფროსთან გაიქცა მოსახსენებლად. მაგრამ უფროსმა ვერა-  
ვერი ვერ გაიგო და, რადგან იცოდა, როცა მღეროდა, მაკარიას ენა არ  
ებორკებოდა, უყვირა:

— იმღერე, იმღერე და ისე მომახსენეო!

— ვვაი ჩჩემო დდლეო! — თავში ხელი მოირტყა მაკარიამ და ამოე-  
რდა:

საქართველოს  
მთავრობის

აამხანაგორო მეთაუროო,  
ქუხნაა იწობააოო...  
ოი, დილა, რაშოვ დილა,  
კუხნა იწობაო...

გაიქცნენ სამზარეულოსაკენ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. დასაწვავი  
უძვე დამწვარიყო.

გულკეთილი იყო მაკარია. ყველას რაღაცას გაუგონებდა, მაგრამ მე-  
ტად თავმოყვარე იყო, და თუ ვინმე დაჯაბნას და გაქილიკებას მოუნდო-  
მებდა, მისი საქმე ცუდად წაგიდოდა.

— მმამმაშენი რრომელ ფფრონტზეა? — ჰეთხა მაკარიამ, როცა  
ბოლო ყუთი ჩამოიღეს.

— მოსკოვის მისადგომებთან იბრძვის. — უთხრა მამუკამ. და რომ  
იცოდა, ძმის ოდგილსამყოფელსაც ჰეთხავდა, დაუმატა:

— ჩემი ძმაც იქაა.

— მმოსკოვთან? — გაიკვირვა მაკარიამ, — მმოოსკოვთან დიდი  
ბბრძოლაა, მმარა ნნუ გეგშინია...

— ჰო, დიდი ბრძოლაა მაკარია, — ნაღვლიანად თქვა ბიჭმა. ურემზე  
ყუთები რომ დააწყო, მაკარიას მადლობა მოახსენა და ნახევარ ლიტრა  
არაყს შეკვირდა.

მაკარიამ გაიხარა.

შუალამე გადასულია. შარაგზაზე ურემი მიდის.

მამუკა წინა ყუთში ზის. ხელში სახრე უჭირავს. ხარები ზანტად  
მიაბიჯებენ.

— აბა, ცოტა იჩქარეთ, ჩემო ლომგულებო, — ელაპარაკება მამუკა  
ხარებს, — თქვენც ხომ არ გეძინებათ? რა გიყოთ, ძმებო, რა? ვიცი,  
დალლილები ხართ, ნახევრად უჭმელ-უსმელი, მარა რა ვქნა, თქვენც კი  
იცით ჩემი ბრალი არ არის... ომია, ძმებო, ომი! ასე არაა, ლომაია? ხომ  
მართალს ვაბობ, შანგულა? ჰო, რატომ გააქინი თავი, ვტყუი თუ? რა  
ვქნათ, ბიჭებო... ერთი ეს ომი დამთავრდეს, ჩვენებმა გაიმარჯვონ, და მე-  
რე ვჭამოთ ბალახი, რამდენიც გვინდა. აბა, მოუჩქარეთ, მოუჩქარეთ და  
შინ მალე მივალთ. — ელაპარაკება ხარებს ბიჭი და თვლემს, ძილს თავს  
ვერარ ართმევს.

— ჰო, ერთი დამთავრდეს ეს ომი და მერე ვჭამოთ პური და ბალახი  
და ვიძძნოთ, — განაგრძობს ბიჭი თავის გასამხნევებლად, — მაშინ ამდე-  
ნი შრომაზე არ მოგვიწევს. მამაჩემი დაბრუნდება, ბიჭიკო დაბრუნდება.  
თქვენ არ გენატრებათ ისინი? ხომ გახსოვთ, როგორ უყვარდით თქვენს  
გრიშას? ხომ გახსოვთ, როგორ გიზიდავდა თივას ბიჭიკო? რა თქმა უნდა.



გახსოვთ. მერე, იცით ახლა სად იბრძვიან ისინი? მოსკოვის მისაღლებებისა  
თან. იქ ებრძვიან იმ არამზადებს და შერილის გამოსაგზავნადაც არ სცა-  
ლიათ. გესმით ოქვენ რანაირი ბრძოლაა ახლა იმ არემარეში? ჰო, ასეა  
და რა ვქნათ. მოუჩქარეთ, მოუჩქარეთ.

ურემი ნელა მიდის. მამუკას სძინავს. მოვარე ხან გამოიხედავს ღრუ-  
ბლებიდან, ხან ღრუბლის საბანს წაიხურავს, თითქოს მასაც სცივა და ქი-  
ლი უნდა.

მამუკა უკვე ფრონტზეა. აგერ ხედავს — მამამისი და მისი ძმა მტერს  
ებრძვიან. სასტიკი, ხელჩართული ბრძოლაა. გრიშამ დასძლია ოთხი ფრი-  
ცის წინააღმდეგობა. ოთხივე მიწასთან გაასწორა. მაგრამ ახლა მეხუთე  
გამოჩნდა.

მეხუთეც სძლია.

აგერ, ბიჭიყოც! დიდ განსაცდელშია. მტერი შემოსევია. ერთი დასცა,  
მეორესაც გაუმკლავდა, მაგრამ მესამესთან ვეღარაფერი გააწყო. სადაცა  
დასძლევს მესამე. ბიჭიყო ყვირის:

— მამუკაა, მამუკაა! სადა ხარ, ძმაო, მომეხმარე, მიშველე!

მამუკა გადაეშვა ბრძოლაში, — დასცა ერთი გერმანელი, მეორე, მე-  
სამე... მეოთხე და მეხუთე უკუაქცია.

— ყოჩალ, მამუკა, ვაშა! — იგრიალა ჭარმა.

გრიშამ და ბიჭიყომ მოიხედეს, მამუკა დაინახეს.

— მამუკა, შვილო! შენა ხარ, რომ გვიშველე? — იყვირა გრიშამ  
და მამუკასაკენ გაექანა.

— ძმაო! — აღმოხდა ბიჭიყოს.

მამუკას ეხევევიან, ჰყოცნიან.

მამუკა ძმას ეფერება, თავზე ხელს უსვამს.

— როგორა ხარ, როგორ? ხომ არ დაგჭრეს, ბიჭო?

— ნუ გეშინია, ჩვენ კარგად ვართ, შვილო! — უთხრა მამამ.

ამ დროს, თითქოს დრო იხელთესო, კვლავ წინ გამოიჭრნენ ფაშისტე-  
ბი, ავტომატები ააქაკანეს.

— ურჯულოებო!..

მამუკას გამოელვიძა. თვალები მოიფშვნიტა. ურემი ზანტად მიდის.

ტრახ, ტრახ, ტრახ! — ისევ გაისმა ჩაის ყუთებზე.

მამუკა შეშინდა. ნუთუ ეს სინამდვილეა?

ტრახ, ტრახ, ტრახ!

ერთი ქვა ფეხებთან ჩამოვარდა.

შარაგზა ფერდობზე გადის. გზას ქვევით მანდარინის ბალია, ზევით  
სასაფლაო.

ქვებს ზევიდან ისროღნენ.

იქ ახლო-მახლო მოსახლეც არავინაა. მოვარეც კი დამალულა.

ბიჭეს თმა ყალყზე დაუდგა. შეეშინდა. ნაბადი ასწია და თავზე ჩამოი-  
ფარა.

ზევიდან კვლავ ისვრიან ქვას, მაგრამ სულიერი არავინ ჩანს.  
ხეს თუ ეფარება ვიღაცა.

— ვიცი, ვინცა ხარ, ვიცი! — იყვირა ბიჭმა, — დედას გიტირებ. ფა-  
შისტო! — იყვირა, მაგრამ ხმაში ბზარი გაუჩნდა.

ხარების იმედი ჰქონდა, ისინი მასთან იყვნენ.

ქვის სროლა ალარ განმეორებულა.

ასე იარეს ნახევარ საათს.

ჩაის მიმღებ პუნქტთან ურემი შეაჩერა მამუკამ და ხარები გამოუშვა.  
აქ, გზისპირას, გვიმრებია, გვიმრებს იქით — პატარა მინდორი, — შეიძ-  
ლება ხარმა იბალახოს. ხარები იმ მინდორისაკენ გაიდენა და შინ წასასვ-  
ლელ გზას დაადგა. მაგრამ მობრუნდა. ახლა გაახსენდა: ურმის ორკაპი  
მიწაზე იდო. ასე დატოვება არ შეიძლებოდა. ასე იცოდა მამამისმა: ურმის  
ორკაპს ღამით მიწაზე არ დატოვებდა, რადგან შეიძლება ღორმა, ძალ-  
ლმა, ან ტურმ გაიაროს, ხარის უღელი დასუნთქოს და ხარს რაიმე ავალ-  
მყოფობა გაუჩნდესო.

ორკაპი ასწია და ურემი ღობესთან მიაგორა. უღლით ღობეზე შეა-  
ყენა. მერე ბორბლები დაუბორეა და წავიდა.

მიღის და უცება... მოსახვევში სამი ნაბდიანი კაცი ჩამომჯდარა.

მთვარე კიდევ არ გამოსულა ღრუბლებიდან, რომ კარგად გაანათოს  
და დაინახოს, თუ ვინ არიან ეს ნაბდიანები.

ბიჭი შედგა. თავში ათასმა ახრმა გაურბინა.

ნუთუ ყაჩალები, ომის დეჭერტირები, ახლა აქ ჩამოვიდნენ?

მაშ სხვა ვინ უნდა იყვნენ ესენი?

მაგრამ, ვითომ, ახლა თავისი ფეხით გამოვიდნენ ქვეყნის შარაზე?  
ისევ ხარებთან დაბრუნდა. ხარებთან არ ეშინია.

ხარები გვიმრებს მოფარებოდნენ.

ერთი ხარი უკვე იწვა. ჯაფით დაღლილს ბალახობაც დაზარებოდა.  
მეორე ფეხზე იდგა და გრძლად შარდავდა. ბიჭის დაბრუნება არ გაევირ-  
ვებიათ, თითქოს ელოდნენ კიდეც. ისე, ერთი შეხედეს, რაიმე საჭმელი  
ხომ არ მოგვიტანაო. არც კი განძრეულან.

მთვარემაც გამოიხედა და ყველაფერი გაანათა.

ხარი ისევ შარდავდა. ბოთლიდან გაღმოღვრილი ზეთივით გაბმუ-  
ლად მოდიოდა შარდი მიწაზე და ქაფს აყენებდა.

— ამინდი შეიცვლება! — გაიფიქრა ბიჭმა, — ხარი რომ ასე შარ-  
დავს, ფეხზე დგას და არ იცოხნის, წვიმა მოვა.

ასე ჰქონდა გაგონილი.

შინ წასკლა მაინც ვეღარ გაბედა, — გზაზე ყაჩალები იღვნენ. საღაფუ  
იყო გათენდებოდა და იფიქრა, ერთხანს ხარებთან დავრჩები, მერე, ალ-  
ბათ ყაჩალებიც წავლენო.

ნაბადი დაწოლილ ხართან დააგო და ზედ წამოგორდა. ნაბდის კალ-  
თა გადაიხურა და დააუყრადა: ფეხის ხმა ხომ არ ისმისო.  
ფიქრებს მიეცა.

ნუთუ ქვებს ის ნაბდიანები უშენდნენ. და ახლა გზაც გადაუღობეს? მერე, რა უნდათ, რას გაიტანენ მისგან?

მთვარემ ერთხანს ანათა, მერე, — შენზე ნაკლები ნაბადი არც მჯ  
მაქვსო, — უთხრა ბიჭს და შავი ლრუბელი გადაიხურა.

— ალბათ დედაჩემს არ სძინავს და მელთდება. — ფიქრობდა ბიჭი-  
ფეხზე მდგარი ხარი მიუახლოვდა, ჭირისუფალივით თავზე დაადგა.  
ბიჭს უკვე ეძინა.

მერე ხარსაც მოსწყინდა ფეხზე ღგომა და ნელ-ნელა, მოზომილად...  
თითქოს ფრთხილობდა, ბიჭი არ შევაწუხოო, გვერდით მიუწვა.

ახლა სამი იწვა ერთად: ორი ხარი და ერთი მოზვერი.

— წიო, წიო, წიო, ფშიტ, ფშიტ, ფშიტ! — ტკბილად უგალობდა...  
მძინარეთ ბულბული...

— ხიჭი, ხიჭი, ბიჭი, ბიჭი! — სადღაც სულ ახლოს იჯდა ჭრიჭინობელი.

— კრუა, კრუა, კრუა! — ხანგამოშვებით ისმოდა ტყიდან.

პატარა მინდორზე მშვიდი ძილით ეძინათ დიღი ჭაფით დაღლილ-და-  
ქანცულებს. ვინ იცის, ახლა რა სიზმრებს ხედავდნენ!

ბიჭს დილით იდრე გამოეღვიძა. უცებ შეეშინდა: ის ნაბდიანები თა-  
ვზე ადგნენ! მერე აზრზე მოვიდა და თვალებს არ დაუჭერა: ორივე ხარი  
ამდგარიყო და, თუმცა მშივრები იყვნენ, საბალახოდ არ წასულან, ბიჭს  
არ სტოვებდნენ.

თვალები მოიფშვნიტა. მშვენივრად ეძინა, მაგრამ ტანში მაინც რა-  
ღაცნაირი ცივი ჟრუანტელი უვლიდა.

ეს იყო უძილობა!

— ესე იგი არ მიმატოვეთ, ხომ? — გამოელაპარაკა ხარებს.

ხარმა თავი გააქნია, თითქოს მართლა გაიგოო ბიჭის ნათქვამი.

ბუზებსაც გალვიძებოდათ და უკვე შესდგომოდნენ თავიანთ საქმეს.  
ბიჭს გაეღიმა და წამოდგა.

— არა, საბალახოდ უნდა გასულიყავით, ბიჭებო. ასე როგორ იქნე-  
ბა! გათენებულა, უჭმელ-უსმელი ხართ. ჰაიდა!

ხარებმა თავი გააქნიეს და ზანტად დაიძრნენ, მინდვრის მწვანე მო-  
ლი აქა-იქ დაყნოსეს, მაგრამ ბალას პირი არ დააკარეს.

— მამუკა! — მოქმედა ხმა.

— დედაჩემი მექებს. — გაიფიქრა ბიჭმა.



— მამუკა! — ახლა უფრო ხმამაღლა განმეორდა.  
— აქა ვარ, დედა, აქ! — გასძიხა ბიჭმა და ხარები ადგილიდან უკვე გადასახლდა. — ურემი რომ დაინახე, შეშინდი, ხომ? — დაამშვიდა დედა, — აი, ახლა მოვედით სწორედ, — იცრუა ბიჭმა, — უზარმაზარი რიგი იღვა და...

— რა გიყო, შენც მოგეალი, შვილო! — ჩაილაპარაკა მარინემ, — უჭმელი, უძინარი, ერთ დღეს წაიქცევი!

— მუხას რა წააქცევს, დედა? — თქვა სხვათა შორის, რადგან უკვე თავებრუ ეხვეოდა. ატყობდა, რაღაც ვერ იყო კარგად, ნაცემივით არაქათგაცლილი მიღიოდა.

— სახუმროა ეს? — ამბობდა მარინე და ხარებს წინ მიიღენიდა, — რაღაც უნდა მოვითიქროთ.

— აი, რა ყოფილა, თურმე! — გაიკვირვა მამუკამ და შედგა, როცა „ყაჩალების“ ადგილას დაწოლილი სამი შავი ძროხა დაინახა, — ოჰ, თქვენ შეგვამათ მგლებმა! ახლაც არ დგებით ზედ?! ესენი არ ყოფილან?!

მაგრამ მაინც არ იყო უკმაყოფილო: ერთ ღამეს ხომ მაინც ეძინა თვის თანამებრძოლ „ძმებთან“, მიწაზე, ნაბაღში გახვეულს!

მაგრამ ყურები, ყურები უწიოდა, ტანში ურუანტელი უვლიდა.

---

## სიცოცხლე და მამული

ხან ფშვინავს, ხან ოუღუნებს  
მიწა — ჩემი სავანე,  
ჩემი დიდი სიცოცხლე,  
ჩემი თბილი სამარე,  
ჰაუ, საოცრებაა  
ეს ცა — ნაზი ბისონი,  
მაქს ელამი თვალები  
მისი გამოისობით.  
წუთისოფლის გრძელ გზაზე  
განძი, ვით შეშფოთების,  
გაცრეცილი, ყვითელი,  
გროვად ჰყრია ფოთლები,  
თლილი ოთხი ფიცარი,  
მწუხარება, წყვდიადი,  
ყოვლი დასაფიცარი,  
ახლობელი, დიალი,  
ნელა, ჩუმად გშორდება  
ისე ვით განთიადი.  
რაა წუთისოფელი,  
ვერ გაძლები ცქერითა;  
რომ იცინო, სულ გინდა,  
განარიდო ცრემლი თვალს.  
არ გიყვარდეს იქნება  
შენი ზღვა და შენი მთა?!  
შემოდგომა დაღება,  
რთველი მოვა, რა რთველი!  
თაფლი სულში დაღნება,  
დაგესევა მართვები,

ადუღდება მაჭარი  
და პატარძლის ჰკოცნის თვალს,  
ვერ წაუხვალ მასპინძელს  
თუ არ დალევ ლოცვითა,  
ითრგუნება ბოროტი,  
ილიმება ამური,  
და ჰქუხს აღზევებული  
სიცოცხლე და მამული.

ვინ ხარ შორის საფლავთა  
შენ მეუფევ ფიფქების?!  
„ჰო, ეს მე ვარ... და ხვალ კი  
ეს ლანდი შენ იქნები!“

რაა წუთისოფელი,  
წამით გადასარბენი,  
ვით დატოვო სამზეო  
და ირჩიო გზა ბნელი.  
რაა წუთისოფელი,  
ტკბილში შხამის გარევა;  
რომ გწყურია სიცოცხლე,  
ცივი წყაროს დალევა;  
რომ გწყურია ჩიტები, —  
დილით ფრთაგაშლილები,  
შენი ანგელოზები,  
შენი შვილთაშვილები;  
რომ გწყურია ქირწილში  
შენი ღვინის დალევა...  
უცებ თვალთა ამღვრევა,

უცებ არევდარევა...  
გული მაინც იძახის:  
— ყვავილობას ნუ მოშლი!  
და გვჯეროდეს, სულთ ლევა  
არის თითქოს რიოში.

ვინ ხარ შორის საფლავთა  
შენ მეუფევ ფიფქების?!  
„ჰო, ეს მე ვარ... და ხვალ კი  
ეს ლანდი შენ იქნები!“

არის ყოვლთა ფურცლობა,  
სუსხით აღარ შევღონდეთ.  
ო, წერიალა წუთები  
მარტო მიწას შვენოდეს,  
დიდ აღმართში ფერგაცლილს  
კაცს არ უნდა შველოდეს?!

აფხულში ვართ გვგონია  
რამთრისაკენ წავედით...  
ვაი, წუთისოფელო,  
მოზომილო წამებით!

ფეთქავს ჩემი სიცოცხლე,  
ფეთქავს გული ალალი,  
და მეხვევა ალერსით  
ფერთა ნაზი ალამი,  
გაგრძელდეს და გაგრძელდეს  
ჩემი მწვანე სავალი,  
ყვავილებში ფეთქავდეს  
ჩემი წმინდა სავანე.  
დაითრგუნოს ბოროტი,  
მოვევახლოს ამური,  
აღზევდეს და აღზევდეს  
სიცოცხლე და მამული.

## ყვავილები, ჩონგური, ფერიები...

დავუკარი ჩონგური და შურით თვრება ლერწამი,  
დავუკარი ჩონგური და ტორილები გალობენ...  
მე რომ ბალში შემიტყუეს, ყვავილებში მაწამეს,  
დაიცადე, იმ ბალიდან ფერიები გამოვლენ.  
დაიცადე, არ გწყურია?! მოვლენ სავსე სურებით,  
დაიცადე, არ გწყურია თვალთა ნაზთა ციალი?!  
მოვლენ, ბიჭო, დაგათრობენ ყვავილების სურნელით,  
ვერსად ნახო გვირილები ასე ნაზი, ცვრიანი!  
ოჳ, რა იყო ტკბილი წუთი, როცა სული დაღვინდა,  
ოჳ, რა იყო ტკბილი წამი, როს გავცემდი მიმოზებს!  
ბილიკებზე დავბარბაცდი, ნუთუ მგზავრი დავლლილვარ,  
აპა, ჩემი ცხელი გული, გულს არავინ მიბოძებს?!  
ჩემივ გული მესათუთა, ვერარ მოვწყვეტ ზამბახებს,  
ვერც დავაგდებ ობლად საღმე, ვიკვნესებ და

ვიდარდე...

გულო, განა გააგონებ, გინდა ასჯერ გასძახე;

ზამბახებთან, გვირილებთან განა ისევ ვიდავებ?!  
ვინ წამართვა ასე მალე ყვავილების მინდორი,  
ისევ ის ვარ ცხელი გულით, წუთისოფლის ნაღარა.  
რა ვძნა, ბიჭო, შენზე ადრე ამ გზებზე თუ ვიდოდი,  
ცოტა ფიფქი შემეპარა, გული ჯერ რამ დაღალა.  
წუთისოფელს მივყიუინებ, რომ მიფრინავს მალი-მალ,  
ღვინოც, წყალიც, ყვავილებიც ასე როგორ გატქბილდა!  
ახლა ვიცი რაა რთველი, ახლა უფრო ბრალი ვარ,  
შველაფერი გამინაზდა, სული შფოთავს ნატვრითა.  
დავუკარი ჩონგური და შურით თვრება ლერწამი,  
დავუკარი ჩონგური და ტოროლები გალობენ...  
მე რომ ბალში შემიტყუეს, ყვავილებში მაწამეს,  
იმ ბალიდან ფერიები, ბიჭო, შენთვის გამოვლენ!

---

### Ժ Ա Վ Ճ Ր Ո

Մենո լամանի ტուբենտ  
մե սովորուլո զոքովը.  
Մենո ցամակուլո տուբենտ  
ծավաշոն ցամուղլովը.

Մենո հյուրիստուլուս վյալոննուտ  
ծեղնուրեն ցոքովը.  
ծեղնուրեն դաշտովը մաժլոննուտ  
մաշրամ ցեր համոցուրովը.

Տաջ ար զոյսազո, Տաջ արա,  
սպալուն տան մաելուն ալալո,  
հյուր մամուլուս ձաբարա  
տուբենտիրուալա ჭաճարո.

Երտմանցուտ մռացուրենենտ  
սպալուն Տամուս մոտազո,  
որտազո ծեղնուրենենտ,  
Մեպարենենտուլո որտազո.

\* \* \*

Իսկանդար մոխաչութ  
ու գասենու տալուն մշակութ,  
ու հոգորու վյեսո  
ցեղաշոն յարութելուն եզակութ...

შენ უნდა იყო  
ძალზე დიდი, საოცრად დიდი,  
რომ სხვებმა შენით  
გადაზომონ განვლილი წლები.

## ზ ღ ვ ა

შენი ცისფერი ტალღების გამო,  
შენი ლივლივა ტალღების გამო,  
შენი ძლიერი ხმაურის გამო,  
შენი მაღალი სურვილის გამო,  
მიყვარხარ ზღვაო.

## ბ პ ჭ ა ფ ჩ უ ლ ი

ამოიშვერა ისევ სამყურა  
და გაახილა იამ თვალები,  
იამ ცერისტოლა წვიმა მასხურა  
და წვიმას მაინც არ ვემალები.

ვით ქალიშვილი წითელ კაბაში  
გამოცქრიალდა მოლზე ატამი.  
კრელი მკლავების თამაშ-თამაშით  
ტყემალს მიაფრენს ქარი თამამი.

დაუჭარგია აპრილს მთაბარი  
გარდუვავილებით, როგორც საბანი,  
და გაზაფხულის ეშით დამტკბარი  
ბულბულს ეძახის იასამანი.

ფოთლებში წვიმა ჩუმად საუბრობს,  
წვიმის წვეთები თეთრად ანათებს...  
ამ უშენობას ნეტავ რა ვუყო  
და ასე კენტად ვიყო სანამდე.

## გ ა ღ შ ი

ბაღში ტრიალებს სურნელი ვარდთა  
 და მესმის ლალი შრიალი ღელის,  
 შზე სანაბიროს სხივებით ქარგავს,  
 მიმოზებს არხევს ნიავი ნელი.

და ბილიქ-ბილიქ ჩაირბენ დაბლა  
 და აღმოჩნდები პირისპირ ზღვასთან.  
 სად გაგონილა სიბერე, დაღლა  
 ამ უბერებელ ბუნების კართან.

---

## ჯემარ ხოვერია

# მ ი ს ხ ა დ ი ს ე ს ხ ი

დავიბადე მთებში მიყუჟულ პატარა, ოცემლიან სოფელში. მზრდი-  
ნენ წვიმის მომლოდინე მთასავით პირქუში, ლოდივით ჩუმი მამა და  
უამთასვლისაგან წელში მოხრილი, ქარში გამომშრალი ჩამიჩივით სახედამ-  
ჭკნარი ბებია. დედა რომ მომკვდარა, ორი წლისა ვყოფილვარ. მისი სახე  
იმ ერთადერთი სურათიდან შემორჩა ჩემს მეხსიერებას, რომელსაც ბე-  
ბის ზანდუქში, სიძველისაგან გაყითლებულ სურათების აღმომში წუ-  
ვაწყდი. შემოდგომის წვიმასავით ნაღვლიანი თვალები ჰქონდა სურათში  
დედას და მიღიმოდა წყნარად, კეთილად, ჩუმად.

— რამ მოკლა? — ვკითხე ერთხელ ბებიას.

— გვარი აქაურობას, ნენა, ცუდი ივადმყოფობა შეეყარა რაცხა, მა-  
შენს სად არ ყავდა, რომელ ექიმს არ აჩვენა, მაინც არაფერმა უშვე-  
ლა და ტანგვაში ამოხდა სული... რა ქალი იყო დალოცვილი: ტკბილი,  
წყნარი, ბუბუნა, ანაგებათ რომ ერთ საწყენს არ იტყოდა. ღმერთმა გაა-  
ნათლოს მისი სული სადაც არის. სიკვდილის წინ ლოგინთან დაგისვა,  
ნენა, ლაპარაკის თავიც არ ქონდა, გიყურებდა და ტიროდა. მერე ცრემ-  
ლით სავსე თვალები მომაპყრო ნენა და შენი თავი მე ჩამაბარა. ღმერ-  
თმა გაანათლოს მისი სული სადაც არის...

მე ვიცი სადაც არის დედა. იგი ჩვენი სოფლის სასაფლაოზე მარტია  
ზაბუაჩემსა და ჩემს ოთხ ბიძას შორის. წევს დედა წყნარად და ახლა  
ისიც კი სულერთია მისთვის, მე რომ ვარსებობ ამ ქვეყანაზე.

... მამა აღრე დილით რომ გავიდოდა სახლიდან, მზის ჩასვლის შემ-  
დეგ, ბინდბუნდში ბრუნდებოდა, ჭრიალით შემოაღებდა კარს, შემოვი-  
დოდა უხეში, ქუსლებმოქცეული ჩექმების ბრახუნით, დაღლილი და და-  
ქანცული, თმაგაჩეჩილი, მოშვებული წვერით, რომელიც ცხენის მოთ-

ლილ ფაფარს მიაგავდა. შემოვიდოდა და მოიტანდა მიწისა და ოფლის  
სუნს, დაჯდებოდა სკამჩე, დააწყობდა მაგიდაზე ხელებს და პირქუში  
მზერით მიაშტერდებოდა ერთ ამოჩემებულ წერტილს. ბოლოს მეტომაცა  
ყრობდა მზერას, დაამთქნარებდა და ცალყბად, უგემურად მკითხავდა:

— ძროხები აბალახე?

— კი, მამა.

— წყალი დაალევინე? ახორში შედენე?

— კი, კი, მამა.

— წიგნი ისწავლე?

— ვისწავლე.

— კი აბა.

ასე მთავრდებოდა ჩვენი საუბარი, ღიღხანს იჯდა მამა მდუმარედ,  
მერე აუტყდებოდა მთქნარება, აღებდა პირს, ამთქნარებდა ხმამალლა,  
ბოლოს მოერეოდა თვლემა და მოყვებოდა თავის კანტურს. საქმეში ვარ-  
თული, აფუსფუსებული ბებია შემოცუხცუხდებოდა ოთახში, აღვიძებდა  
ნახევრად მძინარეს და ტებილად ეტყოდა:

— ადექი ნენა, წყალი გადაისხი ტანზე, ივახშემე და დაწექი, რატომ  
იმწარებ თავს?

უქმაყოფილო ბუზლუნით, ბანცალით წამოდგებოდა მამა, დაიბანდა,  
ჩაიცვამდა და მაგიდას მიუჭდებოდა, ძილგატეხილი მადიანად მიაძლებოდა  
ვახშამს, ძალუმად იქნევდა ყბებს, აყოლებდა ღვინოს და სურდოშეჩრი-  
ლივით ქსიტინებდა დროგამოშვებით. ბებია მისი ხათრით იჯდა მაგიდას-  
თან, მლოცველივით აცმაცუნებდა ტუჩებს და ჩიტის ასაკენკს კმარობდა.

— შენ არ გინდა ჭამა, ბიჭო? — მკითხავდა მამა და დააბოყინებდა.

— მეე? ვჭამე უკვე.

— აბა რას აქანდურებ მაგ გაბურძგვნილ თავს მიმავალ აბრეშუმი-  
ვით. თუ ჭამე, მოუსვი ლოგინში.

უსიტყვოდ ვდგებოდი, ვიხდიდი ტანზე და ვწვებოდი.

ამ ბოლო დროს მამამ რატომლაც გული აიყარა სოფელზე, ამრეზილი  
იყო, ბარისაკენ ეჭირა თვალი.

— მეტი არ შემიძლია დედა, — თქვა ერთხელ სამუშაოდან დაბრუ-  
ნებულმა, — აქ ვერაფერს ვაკეთებ, ხომ ხედავ, ხელზე ტყავი მაქვს გა-  
დამშპარი, რაც მე ვმუშაობ, იმაზე მეტი არ შეიძლება, მაინც არაფერი  
გამოდის. იცლება სოფელი, იცლება, ორმოცდათი კომლი იყო უწინ, ახ-  
ლა კი ხედავ რაც დარჩა, იყრებიან, იჭირვებენ, ბედავენ, მიდიან და ბა-  
რში სახლდებიან... მიწა მწირია. თოვლს დადებს და ორაზ აიღებს. დათ-  
ვებივით ვართ ჩაკეტილი ამ ცივ მთებში და ყველაფერი ზურგით უნდა  
ამოზიდო რაიონიდან მეკურტნის ჭორივით. სხვები თუ ბედავენ, ჩვენც  
გავბედოთ, დედა, სხვები თუ იჭირვებენ, ჩვენც გავიჟირვოთ, ავიყაროთ

დაგსახლდეთ ბარში. დავრგავთ მანდარინს, მოვაშენებთ ჩაის... სამოსახლების უკვე არჩეული მაქვს, ამას წინებზე რომ ვიყავი წასული, მაშინ შევიარე ერთ კოლმეურნეობაში და...

— სადაა ნენა მაი სოფელი? — იკითხა ბებიამ.  
მამამ დაუსახელა.

ბებია დიღხანს დუმდა, დანაოჭებულ სახეზე ისვამდა გალეულ, დაძარლვულ ხელს და პირმოკუმული დუმდა, თუ ფიქრობდა ვერ მიხვდებოდა კაცი.

— რაც შენ თქვი, ყველაფერი კაია ნენა, მარა საფლავებს რა ვუყოთ?  
— რომელ საფლავებს? — გაუკვირდა მამას.  
— მამაშენის, შენი ძმების, ცოლის, ჩვენი ნათესავების... ვინც იქ მარხია, იქ, — ბებიამ ხელი სასაფლაოს მიმართულებით გაიშვირა და დაუმატა: — ვინც იქ მარხია, იმათ საფლავებს, ნენა.

ეტყობა, მამა მიუხვდა, რასაც ფიქრობდა ბებია, ქეჩო მოიფხანა და მიუგო:

— საფლავებს რა უნდა ვუყოთ, დედა, თან ხომ არ წავიღებთ, სა-დაც არის იქ დარჩება.

— ამბობ, იქ დარჩებაო, მერე? — ჰკითხა ბებიამ გოროზად.  
— რა, მერე?

— რა მერე და ვინ მოუვლის იმათ, ვინ?

— ვისაც უნდა მოუკაროს, — გაცხარდა მამა, — საფიქრალი და სა-დარდელი მაკლია და მკვდარიც მადარდე ახლა.

— მკვდრებს ცოცხლებზე უფრო ჭირდება დაფასება და ყურადღება, ნენა, აბა რაფერ გვონია შენ?

მამას არაფერი უთქვამს, ბოლმიანად ჩაადუქა ბუხარში და მუგუზ-ლების ტკაცა-ტკაცს მიუგდო ყური.

— მე უკვე ბებერი ვარ შვილო, — დაიწყო ბებიამ, — ორი დღის სიცოცხლე თუ დამრჩენია და ერთი მითხარი როგორ უნდა მოვესწრო მეორე მოსახლობას? — შენ ახალგაზრდა ხარ ნენა და არ იცი ამდენი, როდის დაგსახლდებით, როდის დავკარდებით, იმ სოფელში როგორ ჩა-ვაღწევთ. უდღეურ ხბოსავით ვბანდალობ, გზაში მოვკვდები ნენა, უპატ-რონიდ მოვკვდები გზაში, შენი სირცხვილი იქნება. აქაურობის დარღი მომკლავს. რაფერ მივატოვო ნაკვდავ-ნაჯახირალი და რაფერ წავიდე. — მხრები აუთროთოლდა და სატირლად მოემზადა.

— დამიწყე ახლა შენებურად, — გაბრაზდა მამა, — რაფერ მივატოვო, რაფერ წავიდე, რაფერ და კაი ლამაზად, სხვები თუ ტოვებენ, ჩვენც დავტოვოთ და ის იქნება, არ უნდა ახლა ამას ბევრი ლაპარაკი.

დიღხანს იდავეს იმ სალამოს ბებიამ და მამამ. ბევრი იჭოჭმანა ბები-

ამ. ბოლოს მაინც თავისი გაიტანა მამამ და გადაწყვდა: ჩევნ ვტოვებდათ  
სოფელს, ამ მთებს, ჩავიდოდით ბარში და იქ დაესახლდებოდით.

მეორე დღეს ბებია უკანასკნელად წავიდა სასაფლაოზე მახლობლების  
გამოსამშვიდობებლად, ყველა საფლავი მოილოცა, ყველას საფლავზე  
იტირა, დააწვეთა ცრემლი, სახლში მობრუნებულმა აანთო ხატთან სანთე-  
ლი, მუხლი მოიყარა, ხელები აღაპყრო და მკვდრებიცა და ცოცხლებიც  
შეავედრა უფალს.

ბებია ყოველ დილა-საღამოს ანთებდა სანთელს, იჩოქებდა, აღაპყრო-  
ბდა ხატთან ხელებს და შეჰვალადებდა ღმერთს, რომელიც ერთხელაც არ  
უნახავს, მაგრამ მისი ღრმა რწმენით, ფარიც იყო და მახვილიც. საცოდავი  
სანახავი იყო გამხდარი, გალეული, სიბერისაგან წელში მოხრილი და ია-  
დონის ბუმბულივით სახეგაყვითლებული ბებია ანთებული სანთლისა და  
ლამპის მბუუტავ შეუქმდა.

— ღმერთი არ არის! — გვეუბნებოდა მასწავლებელი სკოლაში.

— ღმერთი არ არის! — მარწმუნებდა მამა.

— ღმერთი არის, ბებია, ღაილოცა მისი სამართალი, — ჩამჩიჩინებ-  
და ბებია.

მამა ხშირად საყვედურობდა მას: — ნუ ლოცულობ, დედა, გადააგ-  
დე მაგ ეშვაკის მოგონილი ხატია თუ ჯანდაბა. რას იტყვის ხალხი —  
ჯიბეში მანდატი უდევს, კომუნისტია, დედამისს კი ღმერთი წაშს და ხა-  
ტთან ლოცულობსო.

ბებია აინუნშიაც არ იგდებდა მის შეგონებას, მაინც თავისას აკეთე-  
ბდა, კერპობდა და დაუინებით იდგა ოთახში თაფლის სანთლისა და საკ-  
მევლის გამაბრუებელი სურნელი. თავი ტაძარში ეგონებოდა კაცს.

— მე არ მიდევს ნენა ჯიბეში მანდატი, — იტყოდა იგი, — არ მი-  
დევს და ვლოცულობ, შენ გწამს და გიდევს, მეც მწამს ღმერთი და  
ვლოცულობ.

მამა გაბრაზებული მოკუმავდა ტუჩებს და გამოსცრიდა პირჭუშად:

— არ იქნება შენი გაზრდა, არა!

— ხი-ხი, — ჩაიცინებდა ბებია, — რაღა ღროს ჩემი გაზრდაა ნენა,  
სამარეში მიდგას ცალი ფეხი.

\* \* \*

მამამ შეზობლები დაიხმარა. ოდა და სამზადი დაშალეს, ფიცრები,  
კრამიტები და საოჯახო ნივთები ურემზე დაგტვირთეთ, პირუტყვი ურმის  
კოფოზე გამოვაბით და დავადექით გრძელ და კლაკნილ გზას  
ბარისაკენ. წამოსვლისას ჩაშავებული თითებით მოპოტნა ეზოში ერთი მუ-  
ჭა მიწა ბებიამ, ხურდა ფულივით გამოსკვნა ცხვირსახოცის ყურში და  
უბეში ჩაიდო.

— რად გინდა მაგი მიწა, ბებია? — ვკითხე მე.  
 — რომ მოვკვდები ნენა, ჩემი ეზოს მიწა დამაყარეთ გულზე. ჩამო-  
 მთელმა სოფელმა გამოგვაცილა: — დასახლდით, დაკარდით, ჩამო-

ვალთ და გნახავთო. — გვეუბნებოდნენ და გვამხნევებდნენ. სოფლის  
 ბოლოს რომ გავაღწიეთ, ბებია შეჩერდა, ერთ ადგილზე გახევდა, დიდხანს,  
 დიდხანს გასცეროდა სოფელს თვალებმიშტერებული და ღაპალუბით ჩა-  
 მოსდიოდა ცრემლი დამშენარ ლოყებზე. ბოლოს უხმოდ შემობრუნდა და  
 ცუხცუხით დაგვეწია.

ჩავიარეთ უკანასკნელი მოსახვევიც და თვალს მიეფარა სოფელი. ნე-  
 ლა, მონოტონური ჭრიალით მიიზღაუნებოდნენ ურმები მტერიან გზაზე  
 და დინჯად ადგამდნენ ნაბიჯებს ჩალისფერი, თვალებბრიალა ხარები.

სამი ღამე გზაში გავათიერ, მეოთხე დღეს შიმშილით შეწუხებული  
 დათვებივით ჩამოვიხვეწეთ ბარში. იმ დღეს პირველად დავინახე ზღვა.  
 მშვიდად, ტბასავით მდორედ იდგა და ჩვენი სოფლის სათიბივით ბიბი-  
 ნებდა. იმ დღეს პირველად დავინახე მანდარინი, ჩაის ბუჩქები, პალმა და  
 ბაგნოლია. შევედით ზღვის პირას, ფერდობზე შეფენილ სოფელში, მამა  
 ორლობებში შეუძლვა ურემს, შეუყვა აღმართს, აივაკა და ბოლოს, მელო-  
 ტის თავივით მოტიტვლებულ ადგილს შევჩერდით.

— ესეც ჩვენი სამოსახლო, — თქვა მამამ, — აქ ვიცხოვრებთ.  
 ბებიამ ნაღვლიანი მზერა მიმოავლო იქაურობას და ჩაიჩურჩულა:  
 — აქანე რა გვაცხოვრებს ნენა, ამ ცარიელ ადგილზე რაფერ ვიც-  
 ხოვრებთ?

— ნუ გეშინია დედა, — მიუგო არხეინად მამამ, — დღეს არ არის,  
 ხვალ ყველაფერი იქნება, ყველაფერი.

მეურმეებმაც დაწყნარეს ბებია — იმდენი აქ რომ იმუშაოს კაცმა,  
 იქ რომ მუშაობდა, ჩემო ბიცოლა, ქარგასლას ამოასხამს, ქარგასლას.  
 დალოცვილი მიწა ყოფილა, დალოცვილი, გასათხოვარი გოგოს ლოყები-  
 ვით ღაუღაუებს ყველაფერი.

— ღმერთმა გისმინოს, ნენა, ღმერთმა, — ჩაილაპარაკა ბებიამ და  
 კვლავ მოყვა ტუჩების ცმაცუნს, ვერ მივხვდი: ისევ ლოცულობდა თუ ჩუ-  
 რჩულით გამოთქვამდა უკაყოფილებას.

ურმები დასცალეს, ხარები გამოხსნეს, ბებიამ საუზმე გაშალა და  
 ყველანი სახელდახელო სუფრას მივუსხედით.

— გამარჯობა თქვენი! — მოგვესმა ამ დროს ვიღაცის ომახიანი  
 დაძახილი. გავიხედეთ და აღმართში, ჩვენსკენ მომავალი უზარმაზარი  
 ჩაცი დავინახეთ. თავზე ყაბალახი მოეხვია, ხელში გრძელტარიანი წალ-  
 დი ეჭირა და ნელი, ოდნავი რწევით გვიახლოვდებოდა.

— გაგიმარჯოს! — გავეპასუხეთ ჩვენ.

ყაბალახიანი მოგვიახლოვდა, დაკვირვებით მოგვაპყრო დიდრონი, თა  
ფლისფერი თვალები, კოტიტა საჩვენებელი თითოთ მოიქექა გრძელიკურა  
ხიანი ცხვირი და იკითხა:

— თქვენ ხართ ახალი მეზობლები, ხომ?

— მე ვარ, ბიძია, — გაეპასუხა მამა, წამოდგა, ხელი ჩამოართვა  
და მიიპატიეა: — ღარიბული სუფრაა მარა კეთილი გულით....

უცნობმა ხელისგული წალდის ტარს დააბჯინა — კეთილი იყოს შენი  
შემომატება ჩვენს კუთხეში ბიძია, კეთილი. მე ეგერ ვცხოვრობ ე! — ხე-  
ლი გაიშვირა და მოშორებით მდგარი, კრამიტით დახურული ოდა დაგვა-  
ნახა.

— კარის მეზობლები ვყოფილვართ, — გაუხარდა მამას.

— აბა არაა?! — აროხროხდა უცნობი, გაიცინა და ოქრო-ბოკრო კბი-  
ლები გამოიჩინა: — მეზობლებიც ვიქნებით, უველაფერი ვიქნებით,  
ყველაფერი...

უცებ შეჩერდა, ზემოდან დააცქერდა ჩვენს ცარიელ სუფრას, წამით  
რალაცაზე ჩაფიქრდა, მერე თვალები აუციმციმდა, დიდი ტორი ფოცხი-  
ვით ჩამოისვა სახეზე და ჰკითხა მამას:

— დღეინან მეზობლებად ვითვლებით, არა?

— აბა არა? — დაეთანხმა მამა, — ვითვლებით...

— ჰოდა, თუ კი ვითვლებით და შენც ასე მიგაჩნია ჩემო ბიძია, ძა-  
ლიან კაი და კეთილი, აღეჭი ახლა, წამოუძეხი ამ შენს ხალხს და წამო-  
ით ჩემთან, ოჯახი უნდა გაგაცნოთ, ოჯახი.

— ასე აღრე როგორ შეგაწუხოთ, — იუარა მამამ.

— მაგი არ გამაგონო თუ კაცი ხარ და რაც გინდა იგი მიყავი. თუ  
მთვლი მეზობლად, უნდა წამოხვიდე, თუ არ მთვლი, მითხარი შე კაცო,  
მოგიხდი ბოდიშს და ქე წავალ ჩემს გზაზე.

— მე მაგი არ მითქვამს, ჩემო ბიძია.

— ჰოდა, თუ არ გითქვამს, აღეჭით და წამოდით ახლა, რავა პრანჭია  
ქალივით იდებ თავპატიუს, ბიჭო, ჰა!

— ნუ ვაწყენინებთ ამ აღამიანს, — მიუბრუნდა მეურმეებს მამა, —  
წავიდეთ.

— მეწყინება და მეტი არა! თქვენს ბარიბაზე არ გავივლი მერე,  
თქვენს ბარიბაზე.

— ხარები აქ დავტოვოთ? — შეყოყმანდნენ მეურმეები.

— თუ გინდათ თან წამოიყვანეთ და მანდარინის ბალში შევუშვათ, —  
გაიცინა უცნობმა, — ნუ გეშინათ, თქვენს ხარებს არაკაცი არ მიიპარავს.

გავუდეჭით გზას. უცნობმა თუშური ქულივით დამამხო ხელისგული  
თავზე და მკითხა:

— რა გქვია ბიძია შენ?

— დათო, — ვთქვი და ავხედე. — აჟა! — განგებისად გაიკვირვა მან, — კაი ერთი თუ კაცი ხაო, მა-  
რთლა დათო გქვია? — შექია.

— კაი დაგემართოს აბა ჩემო დათო ბიძია და დიდი, დიდი ბიჭი გა-  
იზარდე, შენ აბა ახლა ერთი ეს მითხარი — რამდენი წლისა ხარ?

— ვაუქაცი ყოფილხარ და იგია. მარა ერთი ვერ მოგიწონე: რავა ხა-  
ფანგში გაბმულ თავვივით წრიპინებ, ვაუქაცურად გამეცი პასუხი, ვაუქა-  
ცურად — ჩეირივით სუსტ მკლავში ჩამავლო ხელი და ნაკლულ გუდასა-  
ვით შემაჯანჭლარა: — მე ისმაილა გეუბნები მაგას და დაიჯერე ერთხელ  
და სამუღამოლ.

— მჯერა, — ვთქვი მე.

— ჰოდა, თუ გჯერა, მაგას რაღა ჭობია.

ამასობაში მივაღებით მწვანეში ჩაფლულ ეზოს, ისმაილამ შეაღო ჭიშ-  
კარი და ომახიანად დასჭყივლა: — ფიქრიე, ფიქრიე-შეთქი! გამომხედე  
ქალო გარეთ!

— გაწუხებთ... — დაიწყო მამამ.

— მაწუხებთ? — ისევ აქახა წარბი ისმაილმა, — მაწუხებ არა ნია-  
ხური, ჯერ არ შევწუხებულვარ და რომ შევწუხები, მერე გეტყვი შევ-  
წუხედი-შეთქი. მე, ჩემო ბიძია, ისმაილას მეძახიან და რასაც ვიტყვი ისე  
უნდა გაყეთდეს. დაპატიჟება რომ არ მდომებოდა, დაგიძახებდი? მითხარი  
ერთი, დაგიძახებდი?

— არ დამიძახებდი. — დაამშვიდა მამამ.

— ჰოდა, რადგანაც დაგიძახე, მდომებია ესე იგი.

— რა ვიცი...

— ეე, რავა მეზარება ეს ლინჭილა ხალხი... ფიქრიე, ფიქრიე-შეთქი!  
სა ჯანდაბაში და სკვარამში გაღაიკარგა ნეტაი ი, დედაკაცი, ა? ხომ არ  
მოიტაცეს და ხომ არ გამანთვისუფლეს ნეტაი?

ჭრიალით გაიღო ოთახის კარი და აივაზზე შუახნობას მიტანებული,  
დაბალი, ლოყებაღაუღაუებული, მსუქანი, სახემოცინარი ქალი გამოვიდა,  
თავზე გადაკონილი თეთრი ცახოცის სწორებით. ამდენი კაცი რომ დაგვი-  
ნახა, შეცდა.

— როგორც იქნა გველირსა და გამობრძანდა დელუფალი, რამდენს  
მაძახებ ქალო, ამახა ყბაი და იგია, — უსაყვედურა ისმაილმა, — ალბათ  
სარკესთან იჯექი და ითხუპნიდი ფერუმარილით ლოყებს.

— კი მცალია შენს ხელში სარკესთან დასაჭდომად, კი.

— უხუ-ხუ! — აჭიხვინდა ისმაილა და ტაში შემოკრა, — ხეს გაახ-  
მობ იმფერი ენა გაქ, ხეს... აბა არიქა ქალო, დათაცურდი, ერთი დუქინი

სტუმარი მოგაყენე კარებზე და მეტად არ გიხარია? რავა უჭმელ ცკვინჩა-  
სავით იბუზები, აბა დატრიალლი ერთი, შენებურად, ბორბალივით და შე-  
ეგბე სტუმრებს.

ფიქრიე შუა ეზოში მოგვეგება და გალიმებული სახით მოგვესალმა,  
აიგანზე აგვიწვია და სკამები მოგვართვა.

— ჰო, მასე ქალო, მასე! არ გამომაჭენო ამ ღუნიაზე და მოჯღულული  
არ შეხვდე სტუმრებს. დაფაცურდი ახლა შენებურად: — მიკალ-მოკალი,  
მიზილ-მოზილე, შეწვი-შემოწვი, მოხარშე, გამოაცხვე და მოგვართვი,  
თვარა დაიხოცა ხალხი შიმშილით და იგია.

— კი ადამიანო, კი, ახლავე წავალ და ყველაფერს გავაკეთებ, რათ  
მინდა ამდენი ლაპარაკი.

— გახსენებ ძიავ, გახსენებ ემიავ, ჩემი თქმა რომ არ გინდა, მაი კი  
ვიცი შე, ოქრო ქალი რომ იყავი, იმიზა მოგიყვანე... ზაირა სახლშია?

— კი.

— ჰოდა მოიხმარიე, წელზე ჩამოიბი ბაწრით, ყოლიფერი ასწავლე,  
აუხსენი და გააკეთებინე, თვარა რომ გათხოვდება, არაფერი არ ეცოდინე-  
ბა, დაიბნევა დაცეხვილ ბრინჯივით და დედ-მამის სულ - ამოგვიგინებს  
ქმარი.

ფიქრიე გავიდა, ისმაილამ კი ცას ახედა და ამინდზე ჩამოაგდო საუ-  
ბარი.

\* \* \*

მეორე დილიდანვე დატრიალდნენ ისმაილა, ბიჭები და მამა. ჯერ ფუნ-  
დამენტი გათხარეს, მოზიდეს ხრეში, სილა, კირი და ცემენტი. ბრიკეტე-  
ბი ისმაილამ დაგვითმო და გაიმართა მშენებლობა. ბებიას გული მოეცა,  
ცოტა გაშიარულდა, შუბლი გახსნა, როგორც შეეძლო დატრიალდა, ფა-  
ქრიესა და ზაირას წამოეხმარა სადილის მომზადებაში.

ისმაილა განკარგულებას სცემდა, ყველას გვაქეზებდა, წუთითაც არ  
მოუხრია მუხლი, არც მან დაისვენა და არც ჩვენ დაგვასვენა. მამა კი  
ისევ უბოდიშებდა და უბოდიშებდა.

— რას გეტყვი ბიძია, იცი? არ გამაკუჭო თვარა, შენ არ იცი ჩემი  
ამბავი, არა. შენ უკეთესია, იმაზე იფიქრე ბაბა, იმდენი საქმე რომ გაქვს  
გასაკეთებელი და თავის მოსაფხანად არ გცალია.

ჩინებული დურგალი და კალატოზი აღმოჩნდა ისმაილა. ჯერ პირველ  
სართული აიყვანეს, მოასარტყელეს, მეორე სართული დაშენეს, გადახუ-  
რეს. ბოლოს სამზადიც დადგეს და ხელისგულივით მოტიტვლებულ, შე-  
მოუღობავ ეზოში გაიმართა მოსახლობა.

— ახლა ცოტათი კი გავხარ მოსახლეს გიორგი ბიძია, — აროხომ-

და ისმაილა, — როცა ეზოს ტყრუშულა ღობე შემოავლეს, ხის კიშარი  
შეკიდეს და მეზობლებთან გადასასვლელი ალაგეც გააკეთეს.  
— ჯერ სადაა, ისმაილ ბიძა, საღ.  
— სადაა და აგერაა, ა! აბა ყოლიფერი ერთად გინდა ბიძია? ამ-  
ფერი ხართ ახალგაზრდები, ამფერი.

\* \* \*

მამამ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა, მე სკოლაში განვაგრძე-  
სწავლა. საღამოობით ხან ისმაილა გვეწვეოდა, ხანაც ჩვენ ვესტუმრებო-  
დით შას და ვსაუბრობდით, უფრო სწორად, ისინი საუბრობდნენ, მე კი  
როგორც ყველაზე პატარა, ვდუმდი და მხოლოდ მაშინ ამოვილებდი ხმას,  
რაიმეს თუ შემეკითხებოდნენ. ვიზექი ჩემთვის კუთხეში და ხანდახან ვა-  
ვაპარებდი მზერას ზაირასაკენ, რომელსაც ხელები კალთაში ჩაწყო და  
ჩემსავით წყნარად უგდებდა ყურს უფროსებს. ზაირა ჩემზე რამდენიმე-  
წლით თუ იქნებოდა უფროსი, საშუალო სკოლა უკვე დაემთავრებინა და-  
ახლა კოლმეურნეობაში მუშაობდა — ჩაის ფოთოლს კრეფდა.

მახსოვს, ერთხელ, საუბრისას, ბებიამ ღმერთი ახსენა.

— რაიო, გწამს ღმერთი ბიცოლა, თუ? — ყური ცქვიტა ისმაილამ.

— უღმერთო ხომ არ ვარ აბა, შეილო? — გაიკვირვა ბებიამ. —  
ღმერთიც მწამს და ხატიც, დაილოცა მისი სახსენებელი.

— ღმერთი არაა, ბიცოლა, — ჩაიცინა ისმაილამ, — არაა ღმერთი.

— გაჩერდი ნენა, რას ჩივი, არ გიკანონოს, — შეშინებულმა ბებიამ  
პირჯვარი გადაისახა.

ისმაილამ გადაიხარხარა. დიდხანს იცინოდა როხროხით. სიცილისაგან-  
უზარმაზარი სხეული უთროთოდა, მერე მუშტით მოიწმინდა თვალებზე შო-  
მდგარი ცრემლი და თქვა:

— შენ იცოცხლე ჩემო ბიცოლა ასი წელი, რავა შენ მე მაღიანად გა-  
მაცინე დღეს, ასე კაი ხანია აღარ მიცინია... შენ გინახავს ბიცოლა ღმერ-  
თი? რაფერია იგი, კაცია თუ ქალი?

— მე რაფერ ვნახავდი ნენა, უხილავია ღმერთი.

— მოიცა, ბიცოლა, მოიცა, — შეაჩერა იგი ისმაილამ, — უხილავია,  
ხომ? უხორცოა, ხომ? არც სუნთქვავს, ხომ?

— არ სუნთქვავს... — მიუგო ბებიამ ყოყმანით.

— თუ უხორცოა და არ სუნთქვავს, თუ უხილავია და ვერ ვხედავთ,  
მაშინ, გამოდის რომ არც არსებულა და ისაა, ამას რა დიდი გამოცნობა-  
უნდა!

— მასე ნუ ჩივი ნენა, გიკანონებს ღმერთი.

— ხა-ხა-ხა — ისევ გადაბუირდა ისმაილა, — მიკანონებს ხომ? ეხ,  
ჩემო პიცოლა, არ მეშინია მე უხორცო, უსულო და უხილავი ღმერთის,

შე ხორციელი, სულიერი, ხილული და ბოროტი კაცის მეშინია... შევ  
გწამს, დათოია, ღმერთი? — მომიბრუნდა იგი, — რავა ჩაწეულ ლაპარაკი

ვთ ბყუტავ შე კაცო, გეძინება? მიპასუხე, გწამს?

— მე?

— ხო, შენ აბა მე?!

— არა! — ვუთხარი მტკიცედ.

— გამიფუჭეს ბაღანა ამ ულმერთოებმა, გამიფუჭეს, — აბუზლუნდა  
შებია.

— შენი შვილიშვილი, ჩემო ბიცოლა, კაცური კაცი გამოვა, — დაა-  
ამშვიდა ისმაილამ, — თვალებში ვატყობ, თვალებში, სასმელი წყალივით  
შუფთა გული აქვს. შენ ჩემო დათოია ბიძია, სინდისი გქონდეს, პატიოს-  
ნი იყავი, არ მოიპარო და კაცი არ დაჩიგრო, აღალი შრომით მოიპოვე  
შენი ლუკმა და სხვისი ნუ გინდა. ბებიაშენი კაი ქალია, შენი დედაცაა და  
შებიაც, კველაფერია შენთვის, მარა ამ ღმერთისა და ლოცვის საკითხში  
ნუ დაუჭერებ, ნუ.

— დაანებე თავი მაგ ბაღანას, რას გადაეკიდე, კაცო? — გამომესარჩ-  
ლა ფიქრიე ბიცოლა.

— რაო, შენც ხომ არ გწამს ღმერთი ჩემო ქვაზე დახატულო ანგე-  
ლოზო?

— შენს ხელში ღმერთიც კაი ხანია დავიწყებული მაქვს და ალაპიც,  
— აწუწუნდა ფიქრიე, — შენ მომკალი, შენ ჩამომახმე და მომინელე მე!

— რას არ გაიგონებს კაცის ყური, რას, — ხელები გაშალა ისმაილამ,  
— კი გავხარ მონელებულს და ჩამომხმარს, კი, სადოლე ცხენს წელი მოწ-  
ყდება შენი ზიდვით. შე ქალო, რაც ზედმეტი ქონი დეიდევი, მას მერე  
გამიღიდებულდი რაცხა. ისე, კაცმა რომ თქვას, ვინმეზე ხომ არ გიჭირავს  
თვალი, ჰა?! ნუ მოგერიდება, მითხარი, ვინ მამაძალლს ეწყინება.

— მაი თვალი დაგევსო შენ.

ისმაილა მოგონილი სერიოზულობით მომიბრუნდა და მითხრა: —  
მოდი და ენდე ახლა შენ ქალს... მე და შენ, ჩემო დათოია ბიძია, ერთი  
კაი საქმე უნდა გამოვაკვარახახჭინოთ.

— რა საქმე?

— რა საქმე და... შემჭამა ამ ქალმა, ჰოდა, ვერ შევრთავდით ვითომ  
ვინმეს და ვერ მოვატყუებდით?

— ტყუილის თქმა რომ არ შეიძლება? — ვიკითხე გულუბრყვილოდ  
და ჰოი, ძიავ, ამას რომ ამბავი მოყვა: ისმაილამ ლამის ჭერი არ ჩამოიღო.

— შენც ასე ფიქრობ დათოია ბიძია, შენც? — თუ არ მოვატყუე ვი-  
ნმე ისთე არაკაცი არ წეიყვანს მაგ ბიცოლაშენს, ხომ?... შენ მართალი  
ხარ, ხომ იცი, დარჩეს ისევ ჩვენთან, თვარა შარის თავი გვაქვს კაცო  
ახლა ჩვენ? ვინცხა იქნება უბედური, გაუშრობს სისხლს, ნელ ცეცხლზე

— მატლები დაგესია მაგ ენაზე, მატლები, — სიცილნარევი სიმეკ-  
რით უთხრა, ფიქრიემ. — რავა შენ არ იცი რას ბჟუტურობ, თლათ გაბე-  
ჩდი ამხელა კაცი და იგია.

ისმაილას არაფერი ესმოდა, ყურებზე ხელები აეფარებინა და ხარხა-  
რებდა. ბოლოს დაწყნარდა, ჭიბიდან თამბაქოთი დატენილი ქისა ამოილო,  
მამას გაუწოდა, გაახვიეს და გააბოლეს.

— ეხ, ასეა ბაბა ცხოვრება ასე. წუთია ეს დალოცვილი, ერთი დამთ-  
ქნარებაა და მეტი არაფერი. სანამ ხარ, უნდა მოიხმარო, უნდა გამოიყე-  
ნო, არცერთი წუთი არ უნდა დაკარგო, სიცილის დროს უნდა იცინო და  
იმხიარულო, გაერთო, აბა ყოველთვის მუშაობა, ფიქრი და სერიოზულო-  
ბა კი არ ვარგა... თვარა, დრო რომ მოვა ბაბა, ჩამოგიქროლებს სიკვდილი-  
მოწყურებულ ჯაჭასავით, მოგადგება კარზე გადავიწყებულ მევალესავით  
და გინდაც არ ყოფილხარ მერე ამ ქვეყანაზე, გაიკიმები ერთს ყინვაში  
დატიებულ სარეცხივით, დაკრიჭავ კბილებს ღობეზე ჩამოცმული ცხენის-  
თავივით და გათავდა საქმე... ხასანა რომ იყო, მურადას მამა, გახსოვს-  
ჟალო იგი შენ? — მიუბრუნდა ის ფიქრიეს.

— ბექი ხასანა რომ იყო? რაფერ არ მახსოვს, შენსავით უდარ-  
დელი და შერეკილი იყო საცოდავი, იცინოდა, მღეროდა და ქეიფობდა...

— ბექი და დელი შენ ხარ. რამ გააძეხა ქალო? ზოული კაცი იყო,  
შრომაც უყვარდა და ლხინიც, რომ იცინოდა, იმიზა იყო ბექი? ყოველ  
ახალ წელს შეიკრიბებოდნენ ხასანასთან დროული, თეთრწვერა ბერიკა-  
ცები და გამართავდნენ ქეიფს. ქეიფი და მოლხენა იმას ქვიოდა. იგინი  
რომ მრავალუამიერს შემოსძხებდნენ, ვის გაახსენდებოდა მაშინ სიკვდი-  
ლი და სიძაბუნე. ფოლადივით რეკდა მათი ხმა, ცა ჩამოქონდათ დაბლა...  
კრიჭაში ეღვნენ სიკვდილს. ბოლოს მაინც აჯობა სიკვდილმა. ცელმოსმულ  
ბალახივით მოსხეპა ყველა. ასთეა ბაბა და რა გინდა რომ ქნას კაცმა.  
ვშრომობთ, ვჭამთ, ვმღერით, ვტირით, ვწვალობთ, ვგცივა, ვითმენთ, ვი-  
ტანჯებით, გვიხარია და მივღივართ ბოლოს, ვტოვებთ შვილებს, ვუტო-  
ვებთ ყველაფერს, მარტო ოთხი ღერი ფიცარია ჩენი სამუდამო საგზალი....  
იცი, ჩემ გიორგი ბიძია. რა მიხარია? — მე და ჩემს ქალს უქმად არ-  
შვიცხოვრია, რაცხა ხომ გავაკეთეთ მაინც, რაცხა მოვაფოჩიხეთ, დავსახ-  
ლდით, დავკარდით, მოვაშენეთ, გავიჩინეთ, დავზარდეთ ოთხი შვილი...  
ხლა რაღა დაგვრჩა? ეხ, იმდენი დაგვრჩა, რომ... ჯერ ოთხივე დასაოჯა-  
ხებელია. მერე შვილების გაზრდაში უნდა წავეხმაროთ, თვარა, რას გაზ-  
რდიან ბალნებს აი ბალნები. მერე კიდევ რაი? რაი და მერე შვილიშვილები  
უნდა დავაოჯახოთ, იმათი შვილები წამოგვესწრება ამასობაში და... და-

დუუ! რამდენი საქმე დაგვრჩენია ქალო, თურმე, რამდენი, შენ კი და დაგვიღალეო, მეტი არ შემიძლიაო, არა, არა, ჯერ აღრეა ქალო დაღლა, ჯერ აღრეა სიკვდილზე ფიქრი, აღრე... — დაამთქნარა და იკითხა: — რა დროა თუ იცით?

— თორმეტია უკვე — მიუგო ზაირამ.

— რა დრო გასულა ამ ჩემს ლაქლაქში, ხედავთ! მუშა კაცი ახლა დაწოლილი უნდა იყოს, რომ დილით ვერც ერთმა ჩიტმა ვერ მოასწროს ადგომა. აბა, აბა, ჰაიდა, დაითერთხეთ ახლა და დასაძინებლად წადით, დროა, დრო...

\* \* \*

ერთ დღეს წავედით სათევზაოდ. ნავი ნაპირთან ხავსით დაფარულ ლოდებში ჰქონდა დამალული ისმაილას.

— რომ მოგპარონ? — ვკითხე მე.

— ჩვენს სოფელში ქურდი არაა, ჩემო დათოია, გადამთიელი კი ჩემი ნავის წასაღებად არ მოვა.

ბურლაკებივით მიგათრიეთ ნავი ნაპირთან. ისმაილამ ნავში ჩამსვა, ფეხზე გაიხადა, შარვლის ტოტები აიკეცა, წყალში შედგაფუნდა, ნავი ზღვაში შეაცურა, მერე ნავში ამოფორთხდა, თვალი გაუსწორა ამომავალ მზეს და დასჭყივლა: — ეპერ, ჰეე! გამარჯობა, გამარჯობა, მზეო! აბა ახლა კი წინ დათოია ბიძია, წინ წავიდეთ, იქ საღაც თევზებია, საღაც მე-დუჭებია, საღაც თოლიებია...

ნაპირი უკვე ალარ მოსჩანდა, როცა ისმაილამ ნავი შეაჩერა, ფეხები გაჩაჩხა და თევზაობას შეუდგა. თანდათანობით ივსებოდა საგნებოდ წამოლებული ვედრო ნანაღირევით და სხმარტალებდნენ ვერცხლისფერი თევზები. მერე დაიღალა ისმაილა, ხმამაღლა დაამთქნარა, ანკესი გამომიწოდა, ამისნა, როგორ უნდა დამეჭირა თევზი და თვალები მილულა. კარგახანს ეძინა, ბოლოს ღრუბლებიდან თავდაღწეულ მზეს სვით გამოაჭყიტა თვალი, მაძლარივით დაამთქნარა და მკითხა:

— რა ქნი დათოია ბიძია, დაიჭირე რამე?

— ვერა.

— შენ რა გითხარი მე, რატომ მერე, რატომ?

ვერაფერი მოვახერხე და ჩავილაპარაკე: — ისე ხვრინავდი, რომ თევზი დაფრთხა.

რამდენიმე წამს თვალებში მომშტერებოდა შეცბუნებული, მერა ხელები ნავის კიდეს ჩასჭიდა და ბნედაშეურილივით გადაბუირდა: — და ვაფრთხე ხომ? — მკითხა ცრემლების წმენდით, არა შენ კი გაიხარე ჩემო დათოია ბიძია და რამდენიც გინდოდეს იცოცხლე იმდენი... ეს რა მითხარი კაცო, რა?! ისთე ხვრინავდი თევზი დაფრთხაო...

შუადღე რომ მოახლოვდა, გავშალეთ პურმარილი ნავში. ისმაილა  
ორმოცი დღის ნათმენივით დაეტაკა საჭმელს, იყრიდა პირში ყველაფერს,  
დროგაშოშებით წყალივით აყოლებდა სახლიდან წამოლებულ არაყს და  
რობრობდა.

— შენ არ მოსინჯავ დათოია ბიძია, პაწას? — მკითხა, როცა ბოთლ-  
ში თითქმის აღარაფერი დარჩა.

— არ მინდა, — ვუთხარი მე.

— მართალი ხარ. ჯერ შენთვის ადრეა არაყი. ღვინო კიდევ შეიძლება  
ხანდახან, თვარა ისთე ღვინოც არ შეიძლება ჯერე შენთვის... — ბოთლში  
წვეთი არ დაუტოვებია, ხელის ზურგით მოიწმინდა სველი ტუჩები და  
თქვა: — აი არაყი ქალს მოვპარე სახლში, ზღვაზე რომ მივდივარ, ყოვე-  
ლთვის მიმალავს, არ დათვრეს და ზღვაში არ დაიხრისო. ამფერია სიყ-  
ვარული, დათოია. სისხლს ვუშრობ ქაცო, სისხლს, მას კი მაინც ვუყვარ-  
ვარ. მე, ჩემი ბიძია მაგარი, ძალიან მაგარი, ბებერი ტყავი მაქვს, გამძ-  
ლე ვარ, გამძლე. აი ყლუბი დაათრობს ისმაილას? მეტი არაა ჩემი მტერი.

— რას დაგათრობს მაგი, — დავუკარი კვერი.

— ვერა, ხომ! კი ხარ ჩემი ყაიდის კაცი და გენაცვალე ყიაში. ახლა  
ერთი აგი მითხარი შენ, არ იბანავებ? ცურვა ხომ უნდა ისწავლო.

— მეშინია! — გამოვუტყდი მე.

— ჰი-ჰი! — ჩაიცინა მან, — ეშინია! ჩემთან, ჩემო დათოია, შენ  
არაფრის არ უნდა გეშინოდეს. — ამ სიტყვებზე ხელი საყელოში ჩამავ-  
ლო, ფუთასავით ამწია და ტანსაცმლიანად გადამაგდო წყალში.

— ე, თუ გეშინია, იყავი ახლა მაქ.

— ვიხრიბი! — ვიყყირე მე.

— ნუ მაცოდებ თავს, იხრჩბი არა ნიახური... თუ იხრჩბი, თავშატ-  
რილ ქათამივით რომ ფართხალებ, ჩემო დათოია, ხელი გაანძრიე, ბაბა,  
ხელი და არ დაიხრიბი.

მეტი რა გზა მქონდა, გავანძრიე ხელი, არ მომიწონა და დამიყვირა:  
— ამფერი განძრევა შევარცხვინე მე, შევარცხვინე: რაია ბიჭო მაი, ნათ-  
ხოვარივით რომ აქნევ მაგ ხელებს, კაცურად მოუსვი, კაცურად, აი ას-  
თე, აი ასთე!

ბოლოს, ჩემი წვალებით გული რომ იჯერა, ნავში ამომათრია. შემ-  
ცივდა და ციებაშეყრილივით ავაკაწერე კბილები.

— დედუფალივით რომ დეითქვი სული, დათოია ბიძია, ადექი, ტანზე  
გეიძვრე და გაწურე, — მითხრა მან. — თვარა შეგცივდება მასთე, რაცხა  
უბედურება დაგემართება და ჩემი ბრალი იქნება მერე.

ტანსაცმელი გავიძრე და გაწურვას შევუდექი.

— მოიტა აგერ, — ხელიდან გამომტაცა, — ქალივით რომ ეფერები,  
მასთე გაიწურება მაი?

თოკივით დაგრიხა და იმდენი წურა და წურა, რომ ჩავიცვი  
მშრალი მეგონა.

მზე რომ გადაიხარა, ნაპირისაკენ ავიღეთ გეზი. მოულოდნელად ის-  
მაილამ ნიჩბებს უშვა ხელი და საცოდავად დაიღმიჲა: — გლახათაა ჩემი  
საქმე, ბიძია, ცუდად გავხდი რაცხა, ნაპირამდე თუ მივაღწევ, არ ვიცი.  
მოკიდე ერთი ამ ნიჩბებს ხელი და სინჯე — ნავის კიდეზე ზურგით გა-  
დაწვა და თვალები მილულა. შევხედე, შეშინებული ჩავაფრინდი ნიჩ-  
ბებს და როგორც შემეძლო მოვუსვი და მოვუსვი.

— მიდი ჩემო დათოია ბიძია, მიდი! — მამხნევებდა იგი და ყრუდ  
კვნესოდა.

კარგა ხანს ვეჯახირე, ბოლოს ისე დავიღალე რომ მეტი აღარ შემე-  
ძლო. ნიჩბებს ხელი ვუშვი და ტირილი მომინდა.

— გეყოფა აწი, — მითხრა მოულოდნელად მან და ნიჩბებს ხელი  
დაავლო.

— კარგად ხარ უკვე? — გამიკვირდა მე.

— როდის ვიყავი გლახად?

— აბა... წელან რომ...

— ჰოო, — ჩაიცინა მან, — წელან იხსზა გავხდი გლახად, ჩემო და-  
თოია ბიძია, რომ ასთე იყო საჭირო... პაწა ხომ ისწავლე ნავის წაყვანა?  
კი შეგაშინე, მარა არაფერია — გაიზრდები და დაგავიწყდება, შიშით ნა-  
სწავლი საქმე კი არასოდეს არ დაგავიწყდება, არასოდეს... ხვალ რომ  
წამოვალთ...

— კიდევ გახდები ავად, — შევაწყვეტინე მე.

მისმა ჭიხვინმა იქაურობა გააყრუა: — რა ენამოსწრებული ხარ, რა  
ენამოსწრებული... კი, კი, გავხდები, სანამ არ ისწავლი ნავის წაყვანას,  
ყოველთვის გავხდები ავად, — დამაიმედა მან.

ნაპირზე გავედით, ნავი დავაბინავეთ. ისმაილამ თევზით სავსე ვეღ-  
რო აიღო და გავუდექით გზას. გზაში ისმაილა სულ ღილინებდა და  
ღიღინებდა.

ამასობაში ისმაილას ეზოს მივადექით.

— კარში გამოდი ქალო, კარში! — დასჭყივლა ისმაილა.

— ჩაგივარდა ალისქარი მაგ ყორყუში, — მიაწყევლა ჭიშკართან მო-  
რბენილმა ფიქრიემ, — არ გამისტელიცა ფირფიშაი კაცო?! რავა თავგა-  
პობილივით ბლავი შე დაწყევლილო, რა დაგემართა?

— თევზი მოვიტანე ქალო, თევზი და არ დამეძახა აბა? გაანაწილე  
ახლა აგი და ნახევარი ჩვენს დათოიას გაატანე სახლში, ბებიამისს ნედ-  
ლი თევზი უყვარს.

— კი კაცო, კი, — ჩაილაპარაკა ფიქრიემ. — შემომხედა და იკით-  
ხა: — რას გიგავს მაგი ტანსაცმელი ბიცოლა?

— ჰე, ჰე, — ჩაიცინა ისმაილამ და თავი შეიტხანა, — რას უნდა  
უგავდეს ვითომდ? ზღვაში ჩავარდა.

— დიდუ! — შეიცხადა ფიქრიებ, — მერე შენ სად იყავი კაცო?

რომ დამხრებალიყო, სად მიღიოდი მერე?

— რა დაახრჩობდა ქალო. მე გადავაგდე, მე. ცურვა უნდა ისწავლოს, ცურვა.

— დაზაფრე ბაღანა ხომ? დელი ხარ, დელი... არ წაყვე აწი მაგას ჩემო ბიცოლა თვარა ფათერაკს შეგამთხვევს, ფათერაკს.

— კი, კი, დაგიჭერებს ერთბაშად, დოსტები ვართ მე და დათოი, დოსტები. ჰო, წაიღე ახლა თევზი ჩემო ბიძია და წადი სახლში, დაისვენე — იქვე, ეზოში ხის მორჩე ჩამოჯდა და თამბაქო გააბოლა.

\* \* \*

ზაირა სახლიდან გაიპარა... მთელი სოფელი გადაჩრიკეს ისმაილი და ბიჭებმა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს. ბოლოს მაგიდის ყუთში ზაირას წერილი ნახეს. „დიდი ხანია ერთი ბიჭი მიყვარს. ვიცოდი, ნებით არ გამატანდით და გავიპარეო“ — ეწერა შიგ.

ფიქრიებ სახე დაიხვა, ბიჭები აბობოქრდნენ, დადევნება გადაწყვიტეს. ბოლოს ისმაილამ დააშოშმინა ყველა.

— გეყოფა! — დაიღრიალა მან, — არ უნდა ახლა ამას ამდენი დავიდარაბა და ტირილ-წიოკი. წავიდა არა? თავზე ფეხი დაგვაბიჯა და წავიდა, არა? არც ერთი არაფრად ჩაგვაგდო და ქუჩის გოგოსავით გაეკიდა ვინცხას, არა? ისმაილის აქვს სიკეთე იმდენი, რამდენიც ბოლოს მან ინანოს. ენახოთ ერთი რა მოგებული დარჩება, ვნახოთ!

— შვილია კაცო, შვილი. როგორ ხარ ამფერი უდარდელი? — მოიტირა ფიქრიებ, — მოძებნა არ უნდა, თავის შეწუხება არ უნდა?

— შვილი რომაა, მეც შე ვიცი, მარა რა ვქნათ ახლა, შევაწუხოთ დუნია? მილიცია დავაყენოთ ფეხზე? არა, ამას ვერ ვიზამ, ვერა. არ იტყვიან — ბიძია, ამხელა კაცმა ერთ გაწრიპულ ყაზილარს ვერ მოუხეო? მითხარი ერთი, არ იტყვიან?!

\* \* \*

— შე ზარმაცო, ახლა აიზლაზნე ლოგინიდან წელმოწყვეტილივით, ხომ? — ერთბაშად მიფრთხობს ლოგინიდან აყოლილ ძილს ცივი წყალი და ისმაილას მოძახილი.

თავს ვიღებ და ვიხედები. ჭიშკართან ურემი მოუყენებია ისმაილას და თავად ეზოში შემოსულა უკვე. ახლა მახსენდება; დღეს ტყიდან შეშა უნდა ჩამოეზიდათ ისმაილასა და მამას.

— მობრძანდი, ისმაილ ბიძია, — ვეუბნები და პირს ვიმშრალებ.

— მე კაი ხანია მოგბრძანდი ჩემო დათოია და ბალში ვბოდიალობ  
აგერ... კაი ყაზახი ხარ, კაი, მარა ერთი ვერ მოგიწონე — ოჯახის ბურჯი  
რომ შუაღლებე გაიღვიძებს, რა ქვია ასეთ კაცს?

ერთობლივ  
ვიზუალური

— ზარმაცი. — ვუხესნი მე.

— ხი, ხი, კაია რომ ხედები მაინც. მამაშენი სადაა ბიძია?

— მამა? სოფელში წავიდა უთენიაზე.

— სოფელში? — ნიკაპი შეიფხანა მან, — რომელ სოფელში, ბიძია?

— უწინ რომ ვცხოვრობდით. ძროხა უნდა ჩამოიყვანოს.

— ხოო... კაი დაგემაროოს. მარა შეშაზე ვინ წამყვება კაცო, მე? —  
იყითხა მან და ოთახიდან გამოსულ ბებიას მიესალმა.

— მე წამოგყვები.

— შენ, დათოია ბიძია? მაგი მოგიწონე. წავიდეთ აბა. წავიდეთ, გვა-  
გვიანდება კაცო, გვაგვიანდება.

თავზე ქუდი ჩამოვიფხატე და გავყევი.

— ჰევიანად იყავი ნენა, ისმაილს დაუჭერე, ისმაილს, — დამალევ-  
ნა ბებიამ.

შევუდექით ალმართს. მოქუფრული, საწვიმრად გამზადებული ცა  
გადმომხობოდა თავზე სოფელს.

— ზამთარში რომ კაცს შესცივდება და კატასავით მოიბზება, —  
იმაზე გლახა საყურებელი არაფერია ჩემო დათოია, — მეუბნება ისმაილა  
და წკეპლასავით მსუბუქად ატრიალებს ხელში მძიმე ნაჯახს.

— სწორია, — ვეთანწები და დაპობილ შეშას ურემზე ვაწყობ.

— ზოგიერთი იმფერი ზარმაცია, ჩემო დათოია, იმფერი ზარმაცი,  
რომ მეტი არ შეიძლება. მთელ ზაფხულს გორაობს და კოტრიალებს  
ჩრდილში, რომ წამოთოვს და ძვლები ვაუცივდება, მერე გაახსენდება  
შეშა რომაა საჭირო და მერე დაყლიბავს თვალებს, მარა, სად ნახავს?  
ხოდა, ჯერ ღობეს მიადგება, ღობე რომ ჩააღნება ხელში, გადავა ახორ-  
ზე, ჯერ ერთ ფიცას ააგლევს, მერე მეორეს...

დავტვირთეთ, ურემი, გამოვეშურეთ სოფლისაკენ და მოიხსნა კიდევ  
პირი ცამ. ისმაილამ ურმის კოფოზე დაკეცილი ჯვალოს ტომარა აიღო და  
გაშალა, ლაბადასავით წამომახურა თავზე.

— შენ არ გინდა? — ვკითხე მე.

— მე არა ჩემო დათოია, არ მინდა. მე, ძველი ვარ, ძველი, წვიმაც  
ბევრჯერ გამოვცადე და ქარიც, მივეჩვიე უკვე.

წვიმა კი მოდიოდა და მოდიოდა, ქარდაბერილ ფოთლებივით შრი-  
ალებდა და ჩალისფერ ხარებს ცხელი ოხშივარი ასდიოდა გავაზე.

— თუ ასე იწვიმა ღოლეს, კიდევ წავალო ტყეში? — ვკითხე წვიმით  
თავმობეზრებულმა გალუმპულ ისმაილას.

— წავალოთ?! — ზარბი აზიდა მან, — წამოვალთ ჩემო ბიძია და

მეტი არა? წვიმა შეგვაშინებს ჩვენ? არა ვართ ყარამანყანთელები თუ  
რაი. ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, წვიმამ კი იწვიმოს, რას იტყვი შენ? შენ უკავშირდეთ  
უკავშირდეთ

— იწვიმოს რა... — ვთქვი ნაძალადევი სიმშეიდით და სველი სახე  
მოვიწმინდე. აღმაცერად გადმომხედა ისმაილამ, იჭვით მომაცყრო მზერა  
და აროხროხდა.

— იმდენი რა გითხარი დათოია მე შენ. თოქუნთი და ზარმაცი რომ  
ხარ, და ახლა ბუხართან ჯდომას რომ არაფერი გირჩევნია, იმდენი ქე  
ვიცი მე. — საურმე გზიდან გადაუხვია და ორლობეში შეუძლვა ურემს.

— სად მივდივართ? — გამიკვირდა მე, — გზა ხომ არ აგებნა ისმა-  
ილ ბიძია?

— ამებნა არა, ნიახური... ისმაილას, ჩემო დათოია, არაფერი არ ეშ-  
ლება და ებნევა... იცი რა გამახსენდა გზაში?

— რა?

— რაო კაცო და ჩვენს გარდა სხვებსაც სჭირდება შეშა და უნდა  
მივუტანოთ.

— თუ სჭირდება, ადგეს და ჩვენსავით მოიტანოს.

— რომ ვერ მოიტანს საქმეც მაგაშია ჩემო ბიძია, თვარა რომ შეე-  
ძლოს, მაგაზე გავიცხელებდი თავს? უმიანას იცნობ შენ?

— ვიცნობ, — ვთქვი და გამახსენდა სოფლის განაპირას მიფერდე-  
ბულ ქოხში მცხოვრები უშვილძირო, წელში მოხრილი და სახედანაოჭე-  
ბული დედაბერი, რომელსაც არცერთი კბილი არ ჰქონდა, მუშაობა საღ  
შეეძლო უმიანს. მეზობლები თუ გაუმართავდნენ სამადლოდ ხელს. გან-  
საკუთრებით მაინც ისმაღლა წყალობდა. ხშირად შეუვლიდა, მოიკითხავდა,  
გაამხეხებდა, უბარავდა, უთოხნიდა, უმარგლიდა, უტეხავდა და უფქვა-  
ვდა. ახლა უკვე ვიცოდი, რომ ნამდვილად არ შეშლია ისმაილას გზა.

— კიდევ კაი რომ მიხვდი, — ჩაიცინა მან, — მიმაქვს ძავ, მიმაქვს,  
ცოდვაა საცოდავი დედაბერი, ექნება შეშა და გაითბობს ზამთარში. ბე-  
ბერ ძვლებს. მიუგდება კერიას და დაგვლოცავს — ამის მომტანმა იხა-  
როს და იმრავლოსო. ჩვენ, კაცმა რომ თქვას, მისი ლოცვა, არაფრად არ  
გვჭირდება, მარა მაღლია, მაღლი.

მივადექით უმიანას ეზოს, გადმოვცალეთ შეშა და ისევ შევუყენეთ  
ურემი აღმართს...

\* \* \*

ზაირამ წერილი მოიწერა: ჩემზე არ იღარდოთ, კარგად ვარ, კარგ  
უგახში მოვხვდი, ძალიან მენატრებით, თუ მაპატიებთ და არ მომიძუ-  
ლებთ, კარგი იქნებაო.

ფიქრიე ცრემლად დაიღვარა.

— გაჩუმლი ქალო, ნუ იწირპლები გლახასავით! — შეუწყრა ისმარა

ლა, — ხომ გაიგე ამბავი, დაითქვი ახლა სული, რა გაქვს სატირალიშვილი

შუბლშეჭმუხვნილმა და წარბშეკრულმა სამჯერ გადაიკითხა წერილი და, როცა მისამართს ვერ მიაგნო, სამჯერ გადააფურთხა და... სათევზაოდ წამიყვანა.

— ჩენ, ჩემო დათოია ბიძია, — მითხრა მან, — ჭერ კიდევ ძველი ხალხი გვქვია, ძველი შეხედულებისა ვართ და სხვანაირად ვუყურებთ და ვუდგებით საქმეს, ახალგაზრდები კიდევ სხვანაირად. ეშმაკმა იცის ვინაა მართალი და მტყუანი. მარა ერთი კი ვიცი მე: გოგო რომ ხარ, კაბა გაცვია და ნამუსი გაქვს დასაცავი, თავი უნდა დაიჭირო, თავი, და ქუჩიდან არ უნდა გაეკიდო კაცს უბატრონისავით. მე იმაში ვამტყუნებ ჩემს შვილს, რომ არ შეგვეკითხა, არაფრად ჩაგვაგდო არცერთი, გაიშვირა ფეხი და გაიქცა, თვარა, გოგოს გათხოვების დრო რომ მოვა, შენ დააკავებ მას?

ერთხანს დაფიქრდა და შერე განაგრძო:

— დიდებული რამეა სიცოცხლე დათოია, ბიძია, დიდებული. დიდებულია ეს მთები, ეს ამწვანებული გორები, ეს ზღვა და ყველაფერი... განსაკუთრებით დიდებული მაინც მზეა ბიძია, მზე. რა გვეშველებოდა, მზე რომ არ ამოდიოდეს, არ გვათბობდეს, არ ამწიფებდეს, არ ატკბობდეს. შენ, ჩემო ბიძია, ძალვანი ხარ ჭერ და დიდი გზა გიდევს წინ. გაიზრდები და მერე ბევრს გაიგებ და მიხვდები. შენ გეყვარება, შენ იწუხებ, გეტკინება, მშობიარე ქალივით გეტკინება, შეგხვდება ცხოვრებაში ქალი. შეიყვარე იგი, ჩემო ბიძია, მაგრად, გულით შეიყვარე და მასაც მოსთხოვე სიყვარული და ერთგულება. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება ჩემო დათოია, და თუ მოხდება ისე, რომ მაინც გიღალატებს ნუ აპატიებ. შენ გექნება ცხოვრებაში მიზანი და ეცდები მიაღწიო მას, ნუ გააკეთებ იმას, რაც გულით არ გინდა. აი ცხოვრება, ჩემო ბიძია, ძალიან მოკლეა, ერთი სიზმარია, ერთი დამთქნარებაა, მაღიანი დამთქნარება. და ეცადე ვალ არ წაიყოლიო ვინმესი. იქ, იმ ქვეყანაში ისე უნდა წახვიდე, სესხი არ უნდა დატოვო აქ, მისხალი სესხი არ უნდა დაგრჩეს. მე აგერ ვარ ჩემო ბიძია, თუ რამე დაგჭირდება, დამავალე, დამსაქმე და გაგიკეთებ, გულით გაგიკეთებ, აი ულვაში მომპარსონ მაშინ, სახეში მომაფურთხოს ყველაში, თუ ვტყუოდე და მე შენ შეილებში გამომერჩეოდე, შვილებში.

— ვიცი, — ვთქვი მე, — ვიცი ისმაილ ბიძია.

მზე დასავლეთისაკენ გადახრილა და საცაა ჩავა, ლურჯი ცა, მოკამა ზღვა მზიან დღეს გვპირდება ხვალ. ვზიგართ ზღვის პირას ორივენი დინგად აბოლებს ისმაილა „ძიგარას“ და ლაპარაკობს.

— სიძე თუ კაცური კაცი დარჩა ჩემო ბიძია, ჩამოვიყვან აქ, დავ სახლებ ჩემს გვერდით და მამობას გავუშევ, თუ არა და, დავგრავ ზურ-

გზე მის ქალსა და ბალანას, გავუღებ ჭიშკარს. და გადავდენი გადაღმა სა-  
ბალახოდ გასაღენ ხარივით.

საქართველო  
მთავრობის

ვუსმენ, ვუქნევ თავს თანხმობის ნიშნად და ვფიქრობ ჩემთვის.

ზაირას ქმარი ნამდვილად კარგი ადამიანი იქნება. ვიცი, გაუმართ-  
ლებს ზაირას. მას ეყოლება ვაჟი, პირველი შვილი. ისმაილას ძალიან  
ეყვარება შვილიშვილი და პირიქით. წინასწარ არ შემიძლია განვსაზღვრო  
მომავალი და ვთქვა, თუ ვისი სიყვარული იქნება უფრო დიდი და ყოვ-  
ლის მომცველი. ჩვენ ყოველთვის ერთად ვიქნებით მე და ისმაილა. თან  
წავიყვანთ ანცა და დაუდევარ ბიჭს შეშის მოსატანად, სათევზაოდ, ვას-  
წავლით მყნობას, რგვას, თოხნას და მარგვლას, ჩვენ ერთად დავიკაპიტებთ,  
ერთად გავქაფავთ ეკალს და ბარდს, გავტეხავთ ყამირს, რომ ყმაწვილს  
საშუალება ექნეს. როცა ეს საჭირო დარჩება, გვერდით დაისახლოს  
შვილი და გაუყოს მჭადი და საჭამადი. მე და ისმაილა ვასწავლით ნიჩ-  
ბის მოსმას, ნავის სამშვიდობოზე გაყვანას, ლურჯი ცის, მზისა და ვენა-  
ხის სიყვარულს.

ხანდახან დავისვამ მუხლებზე თამაშით დალლილ, გაოფლილ ბიჭს,  
ჩავხედავ თვალებში, რომელიც ზაირას თვალებს მომაგონებს, გადავუს-  
ვამ თავზე ხელს და ვეტყვი ჩურჩულით:

გაიზარდე, იხარე ჩემო კარგო. მე შენ ვენახში გამოტარებულ მა-  
რილივით წაგადგები.

## იაკობ გერია

\* \* \*

არ ვუშინდები განსაცდელს, ბედს ვერკინები მუღამ,  
 შიში იგივე ჯავრია, ჯავრს კი გაძლება უნდა.  
 არარაობის მეზობლად დაგინახივართ განა?  
 რა ქვეყანაშიც ვშობილვარ, მეც იმ ქვეყანას ვგავარ.  
 მაქვს უმდიღრესი სამშობლო, სხვა რაღა მინდა მეტი,  
 თქვენ ხომ არ შეგეშინდებათ, თავს რომ ვუწოდო  
 ღმერთი?

### პატარა შოვი

მთები და მთები  
 და ამ მთებს შორის, —  
 ამაყად მოსჩანს  
 პატარა შოვი.

რა გამაჩერებს ნეტავი უბრად,  
 როცა მომესმის გრძნეული ხმები!  
 ცად აზიდულა მყინვარი ბუბა  
 და მის სიმღერებს ბანს აძლევს ხევი.  
 ღმერთმა დალოცოს მისი ქართული,  
 მისი ყოველი მართალი ბგერა,  
 მე სიყვარული ჩემი მამულის  
 ამ ულამაზეს ბუნებით მჯერა.  
 წუხელ მთებს შორის კლდის ზედაპირზე  
 მთვარე აღმოხდა ისეთნაირად,

გეგონებოდა, რომ თვითონ ღამეს  
ხელში ეჭირა ოქროს დაირა.  
ტყე შრიალებდა ამოდ და ნელა,  
სიონ სიცოცხლეს ხალისს ჰმატებდა  
და ყვავილებში ციცინათელა  
უცნაურ თრთოლვით ღამეს ათევდა.  
იქნებ ეს ჰგავდა პოეტის თრთოლვას,  
იქცა გაღოსნურ წვად და ალერსად  
და ნიკორწმინდას გალაქტიონმა  
ეს სიყვარული მიუძღვნა ლექსად.  
...მთები და მთები,  
და ამ მთებს შორის, —  
ამაყად მოსჩანს პატარა შოვი.

## სანატორია

თეთრად ჭაოქათებს  
გუმბათები სანატორიის,  
და ხეივანში  
ჩაძირულა პატარა ეზო,  
ყველა ბილიკი  
ზღვისკენ მიღის ხეივნებს შორის,  
გაპყურებს მზეს და  
გსურს ღიმილი ამოაშზეო.  
მაგრამ უეცრად გამოჩნდება  
უფეხო კაცი,  
მაგრამ უეცრად გამოჩნდება  
უხელო კაცი,  
გამოჩნდება და  
გამჭოლავად გაგივლის გულში ;  
ქარიშხლიანი წარსული მკაცრი.  
არის ყიჯინა, ღიმილი  
და წუხილიც არის.  
და ამ წუხილით

მოღიმართა გულიც ღონდება,  
საღლაც რომ ისევ  
აღარ ცხრება ომის ხანძარი,  
ხის ყავარჯები,  
ხის ხელები  
კვლავ მეორდება.

---

## ანზორ ჩავითაძე

# ნ კ რ მ რ ი

საღაურსა სად წაიყვან...

მიილია კიდევ ერთი დღე. ორივე მხარე გააფთრებით უტევს ერთმანეთს. ალიონიდან გვიანობამდე არ ცხრება ზარბაზნების გრიალი. იმ ჯოხოდეთურ ხმაურში მაინც გამოირჩევა და სმენას ძალუმად ეტანება კვნესა, დაჭრილი კაცის კვნესა, ფეხმოგლეჭილი თუ თვალდათხრილი კაცის კვნესა, ერთმანეთში ირევა რუჭისა და იოდის სუნი, შედედებული ლეკერტით ითხვრება თეთრი ხალათი, გაპობილ ტუჩებს კვლავ დასთამაშებს სიცოცხლის ციალი, რასმე ჩურჩულებენ ბამბით დასველებული ტუჩება.

მიილია სისხლით სველი ერთი დღეც.

ის იყო უკანასკნელი დაჭრილი საქაოს მოახედა, რომ ასეულის მეთაურთან გამოიძახეს.

— დაქანცული ჩანხართ, ექიმო, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, სოფელ ტროსტიანკში მძიმედ დაჭრილები გელოდებათ, სხვა გზა არა გვაქვს.

ეს მეთაურის ბრძანება იყო, მაგრამ შიგ იმდენი ადამიანური მუდა-რა გამოსჭვივოდა, რომ...

— მზად ვარ მეთაური! — იყო პასუხი.

— წაიყვანეთ ორი სანიტარი...

შუალამე გადასული იყო, საქმე რომ მოათავეს. განთიადზე უნდა გასდგომოდნენ გზას, მაგრამ მათ სურვილს აღსრულება არ ეწერა.

1941 წლის ათ ოქტომბერს მტერმა ადრიანად დაიწყო შეტევა. ყველაფერი ერთმანეთში აირია და 457-ე საინჟინრო-სასანგრო ბატალიონის სამედიცინო სამსახურის უფროსს ექიმ ალექსანდრე ივანეს ძე არველაძეს მეტი არაფერი ახსოვს...



მძიმე და უსიხარულო იყო ალექსანდრე არველაძის ბავშვობა. ალექსანდრეს მამა, მთისძირელი ივანე, პირსგადარჩენილ სამზინჭს, ცოტაოდენ ლობიოს და ღვინოს ჩაიტანდა ვანსა და ქუთაისში, გაყიდდა, მიღვებოდა, მოდგებოდა და ასე არჩენდა ოჯახს წლიდან წლამდე.

გადიოდა დრო, ფერისცვალება ცხოვრებასაც ემჩნეოდა, სულ სხვა-გვარი გაზაფხულები და დარები დგებოდა, ალექსანდრეს სულშიც ფა-ჩუნობდა იმედი.

ალექსანდრემაც ჩაალაგა წიგნები ჩანთაში და გაუდგა სკოლის გზას. არ იუხერხულა პატარებთან ერთად მერჩხე ჭომა, წვერულვაშაბიძინე-ბულმა დაამთავრა ქუთაისის № 2 საშუალო სკოლა და სტიპენდიის მოი-მედემ მოსკოვისაკენ გასწია.

1941 წლის 20 ივნისს ორი მნიშვნელოვანი დღე დაუდგა ალექსანდ-რეს: დაამთავრა მოსკოვის მესამე სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და შეუსრულდა ოცდათი წელი.

ოცდაორი იგნისის ავტებითი დილა...

ქვეყანამ პირქუში საომარი მაზარა მოისხა.

საქართველოსაკენ მომავალმა ალექსანდრემ 6 ფერშლისა და 12 სა-ნიტრის თანხლებით პირი სმოლენსკისაკენ იბრუნა, სამშობლო სწორედ იქ ეძახდა.

ნააღრევი შემოდგომის სუსხიანი ალიონიდან ახალთოვლობამდე არა-ფერი ახსოვს; როცა პირველად გაახილა თვალი, საკმაოდ თბილი ღუმე-ლის თავზე იწვა. ხატაში ბინდუნდი იდგა, შინ არავინ იყო.

თვალები მილულა და ყრუ ტკივილების გასაყუჩებლად კბილს კბილი დააპირა, თან ცდილობდა, გამოეცნო სად იყო და რა მოხდა, მაგრამ თი-თქმის არაფერი ახსოვდა. მეხსიერებაში ნაწყვეტ-ნაწყვეტად იყო შემორ-ჩენილი პირველი აფეთქება. დაჭრილების ქოხთან, ფორკნში გაბმული ცხენების ველური ჭიხვინი და შეტევაზე გადმოსული ტანკების გამჭო-ლავი, ყურთასმენის დამხშობი ღრუბილი.

კარმა გაიჭრიალა, მწოლიარემ თვალი გაახილა.

— სადა ვარ?

— შენიანებთან...

ახალგაზრდა გამხდარი ქალი ღუმელთან მივიდა, ავაღმყოფს სასთუ-მალი გაუსწორა.

— გულწასული გიბოვნეს ამ თხუთმეტი დღის წინ, თქვენი თანმხლე-ბინი დაიხოცნენ, თქვენ კი, მაღლობა ღმერთს, გადარჩით. ისე კი სულ გაბიდებდათ, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ, რუსულად მხოლოდ დედას ახ-სენებდით!

„ალბათ მამას ვეძახდი უდედოდ გაზრდილი ბიჭი, ამათ რა იციან, რომ“...

— სად ვიმუოფები, ჩვენები სად არიან?

— ამ სოფელს ბელოკოტლოვო ჰქვია, ჩვენებმა უკან დაიხიეს, უკან გერმანელებს უჭირავთ, მაგრამ ამჟამად აქ მარტო პოლიციელები არიან.

ავაღმყოფს ჭირის თფლმა დაასხა. მტრის ზურგში ყოფნა სიკვდილზე, ნაკლები არ არის. დღეს არ არიან, ხვალ მოვლენ. პოლიციელები უარესიც კი არიან. რამე უნდა იღონოს მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაგრამ რა? რა შეუძლია დამტვრეულ-დაბეგვილ სხეულს, უჭმელობით გამოფიტულ ორგანიზმს? რას მოიფიქრებს კონტუზირებული თავი?

მეორე დღეს ვიღაცები მოვიდნენ და წაიყვანეს ისე, რომ სახლის პატრონს ვეღარც დაემშვიდობა, არც მისი სახელი და გვარი იცოდა. მოვა დრო და ყველაფერს გაიგებო, უთხრეს.

დიდხანს დაატარებდნენ დაჭრილს სოფლიდან სოფელში. ბოლოს იგრ პოჩინკის რაიონულ ცენტრში მოხვდა.

მტრეს განსაკუთრებული ყონსვა აქვს. ყოველ შემთხვევაში შენ ასე გეჩვენება და ამიტომ გაორკეცებულად ფხიჭლობ.

ფხიჭლობდა ალექსანდრე არველაძეც. მართალია, კარგად ექცევიან, მაგრამ რომ არ იცის ვინ არიან? შემდეგ გაიგებო, ეუბნებიან, ეს „შემდეგ“ როდის იქნება, არავინ იცის, რა უნდა ქნას, მარხილში ჯდომის თავიც არა აქვს და აბა სად შეუძლია გაქცევაზე იფიქროს. ანდა სად უნდა გაიქცე, ამ თოვლის უდაბნოს არც კადე უჩანს და არც ზღვარი.

ქალაქში შემოსვლა გაუხარდა ალექსანდრეს — ადრე; სექტემბერში, შემთხვევით გაიგო, რომ პოჩინკის ცენტრში გამართულ დროებითს ლაზარეთში ვიღაც მამაცაშვილი მსახურობს. მაშინ გაცნობა ვერ მოახერხა, მაგრამ ახლა იმედი მიეცა, იქნებ ვინმებ იცოდეს მისი ასავალ-დასავალი და როგორმე შემახვედროსო.

ორმოცდაერთის ორ ნოემბერს ალექსანდრე არველაძემ მამაცაშვილის კვალს მიაგნო — იგი აქვე, პოჩინკის პოლიკლინიკაში მუშაობდა ექიმ-სტომატოლოგად.

სტომატოლოგის პატარა კაბინეტში ბევრი ყბაშეხვეული შედიოდა და რაღაც საეჭვო სისწრაფით ბრუნდებოდა უკან. ალექსანდრეს, რომელიც მეზობელ ოთახში იყო, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჰენრის მამაცაშვილთან შემსვლელები მისი პაციენტები იყვნენ, მაგრამ ის კი რატომლაც ჟქვირდა, ქალაქში გერმანელები ბოგინობენ და ამ კაცს ასეთი თავისუფლება საიდან აქვსო.

— დედაჩემი ხომ გერმანელია — ვიქტორია მეცლერი, — ღიმილით უბნებოდა გაცნობის შემდეგ ალექსანდრეს მამაცაშვილი, — სახელიც გერმანული მაქვს, ცოტა გერმანულიც ვიცი და ფრიცს მეტი რა უნდა,

ძცის მისიანის დაფასება, — ჰენრიხმა ორაზროვნად ჩაუკრა თვალი მო-  
შაუბრეს.

იმ დღეს ბევრი აქეთურ-იქითური ითქვა, მაგრამ კარგად ვერ მო-  
ფიქრეს, ალექსანდრე როგორ მოქცეულიყო.

— ექიმი ხარ, — ეუბნებოდა ჰენრიხი, — თქვენი სამსახური ყველა-  
სჭირდება და ყველგან გამოსადეგი ხართ, მაგრამ...

მოსაუბრე ჭიჭმანობდა, რაღაცას მალავდა. ალექსანდრე გრძნობდა,  
რომ ყველაფერს გულწრფელად არ ეუბნებოდნენ.

— რა „მაგრამ?“ — ჰენრიხის გამომწვევად.

— ისეთი არაფერი, საოკუპაციო ხელისუფლებას უნდა შევურიგ-  
დეთ, — ეს არის და ეს.

არველაძეს სისხლი აემლვრა და უნდოდა ყელში სწვდენოდა ტან-  
მორჩილ ნახევრად გერმანელს, მაგრამ მიუხვდა ჰენრიხი და ღიმილით  
ვანზე გადგა.

— სუუ, — ტუჩებზე თითი მიიღო, როცა შენიშნა სტუმარი აფეთქე-  
ბას აპირებდა, — კარებთან ხალხი ირევა, ზეღმეტი ხმაური და... ხომ  
იცი, თანაც ისეთი რა გითხარი, შე კაცო; მამაჩემი, ძველი რკინიგზელი,  
იტყოდა, გინდ კუპრში შპალები მოვიხარშავს და გინდ რელსი ჩამოვის-  
ტამს, სულ ერთია, მაინც რკინიგზა კეთდებაო.

— შენ რომ ფაშისტებს ემსახურო, ამით ვისი რკინიგზა გაკეთდება?

— რათა, კაცო, — მოუქცია თბილისურად, — ხომ გითხარი, აქ გე-  
რმანელებს კი არა, ადგილობრივ მოსახლეობას ვუწევთ სამსახურს-მეთქი.

— უჰ, რა გულმოწყალენი არიან ეგ შენი ფრიცები, სულ იმის და-  
რღმი არიან, ვინძლო ვანიას თავი არ წამოსტკივლესო!

— არა, ცხადია, მარტო მაგისტრების თავს არვინ იმტვრებს, მაგრამ აქ  
ქვეყნის საწარმოები აქვთ, ხალხიც ბლომად ყავთ დასაქმებული და მუ-  
შახელს უფრთხილდებიან, მათი ჰენრიხი კი მათსავე ავადმყოფებსაც  
ვერ აუდის.

— ეგ ხომ იგივე მტრის სამსახურია.

— არა, ეს ხალხის სამსახური უფროა! ჩემზე კარგად, ე, შენი შე-  
ზობელი აგიხსნის, ხენელია, გიორგი კაკაურიძე, — ჰენრიხმა ოთახში  
ახალშემოსული ცალთვალა ვაჟკაცისაკენ მიაბრუნა სახე, — ფრიცებმა  
კი დღე არ დააყარეს, მაგრამ მათ მაინც მოურიგდა.

ჰენრიხიც და გიორგიც ილიმებოდნენ.

არველაძემ იგრძნო, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც თავი-  
დან ფიქრობდა, მაგრამ რა ხდებოდა, ვერ მიმხვდარიყო.

— თქვენ არივე სამხედრო მოსამსახურები ხართ, ექიმი და ფარ-  
მაცევტი, როგორ შესძელით, რომ...

— ჰო, ეს საკითხავია, — შეაწყვეტინა კაქაურიძემ, — ჩვენ გვაწევთ  
ინვალიდობის დამამტკიცებელი საბუთები, — მან თვალზე ახვეული წა  
ნაჭერზე მოისვა ხელი, — ჰენრის თორმეტგვა ნაწლავის წყლული ჯა  
ღვიძლის ტკივილი აწუხებს. ეს არმიაში სამსახურისაგან გვათავისუფ-  
ლებს: რაც შეეხება სამსახურს, საბუთები ღალადებენ, რომ აქვე, მეზო-  
ბელ რაიონში ვმსახურობდით, არ გვაინტერესებს პოლიტიკა და ყოველ-  
ნაირ ვითარებაში ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი ვრჩებით, გაიგე? — გა-  
იცინა გიორგიმ და მხარზე ხელი დაადო ალექსანდრეს.

— კი, მაგრამ, ეს „მოღალატე“ საბუთები ან მე საღ ვიშოვო, ან  
თქვენ საიდან გამოგიჩნდათ?

— ოო, ეს სულ სხვა საქმეა. ისე კი იმერელ კაცს მაგის გამოცნობა  
არ უნდა გავიჭირდეს, ბიჭო, ნაცნობობაც ბევრ რამეს ნიშნავს.

— ეს ხომ რიონის ვოგზალი არაა, შე კაცო, ნაცნობმა გამყოლმა  
უფასოდ ჩაგიყვანოს სამტრედიაში. — გაეცინა ალექსანდრესაც.

კიდევ ორი-სამი დღე იმაღლებოდა ალექსანდრე და რწმუნდებოდა, რომ  
მისი ახალგაცნობილი ადამიანები რაღაცა იმაზე მეტს აკეთებდნენ, რაც  
გარედან ჩანდა. აბა, რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი, მტრის ზურგში და-  
რჩენილ ადამიანებს უმკურნალო. იქ ხომ ძირითადად უმწეო მოხუცები,  
ხეიბრები, ბავშვები და ქალები არიან! მამაცაშვილი და კაქაურიძე ვიწრო  
საცილობით არ იფარგლებიან — ყოველნაირად ეხმარებიან ხალხს,  
მაგრამ...

ეჭვის ჭია ღრღნიდა ალექსანდრეს, თავის კოლეგებს ასე თავისუფ-  
ლად რომ ხედავდა...

მობოდიშების გარეშე, ოთხ ნოემბერს, შუალამისას, ჰენრისმა და გი-  
ორგიმ გააღვიძეს ალექსანდრე.

— აქვე, ახლოს, სოფელში ავადმყოფია. სასწრაფო ქირურგიული  
ჩარევაა საჭირო — უთხრეს გადაჭრით.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— ვინ იყო ავადმყოფი? — სხვათაშორის იქითხა ალექსანდრემ.

— არ ვიცი...

— აბა როგორ მოხდა, რომ... — და ალექსანდრეც გაჩუმდა.

მთელი სისწრაფით მისრიალებდა მარხილი. ღამის მღუმარებას მარ-  
ტო ხელნების ჭრიალი არღვევდა.

ჰენრისი ღუმდა.

დილით ალექსანდრე სტომატოლოგიურ კაბინეტში შევიდა და ტახ-  
ტზე ჩამოჭდა. იმავე ღრის კარი ვიღაც ყბაახვეულმა კაცმა დაუკითხავად  
შემოაღო, საერთო სალამი თქვა და ჰენრის თვალით რაღაც ანიშნა.

— ექიმია, ივანე ღიმიტრის ძევ, აქვე მეზობლად მუშაობდა რმამდე  
და აქვე დარჩა.

— ამჟამად რა: აკეთებთ, ექიმო? — მიუბრუნდა ალექსანდრეს.

— ამჟამად?.. არაფერს. — ალექსანდრეს აბრაზებდა შემკითხველის თვითდაჭრებული. ოდნავ ქედმაღლური ტონი, — საქმე, ალბათ, გამოჩნდება.

— ჰმ, რა დროს გამოჩენაზეა ლაპარაკი. ძმობილო, განა საქმე თავსაყარი არ არის?

— ივანე დიმიტრის ძე მოლჩანოვი ჩვენი ბურგომისტრია, — უთხრა ჰენრიხმა ალექსანდრეს, თან პაციენტს გამოხულ კბილს უმუშავებდა. — ადრე ბელოკოტლოვოს საშუალო სკოლის დირექტორი იყო.

— საღაური ხართ, რუსი არ უნდა იყოთ?

— ქართველი ვარ.

— სანდო ხალხია ქართველები, იმუშავებთ ჩვენთან? თორემ ასე არ ივარგებს. მოვა დრო, ჩაგვიდებენ კისერში ხელს და ჰაიდა!

საღამოს ჰენრიხთან ერთი სანდომიანი ქალიშვილი მოვიდა. ვერა ერქვა. თეთრი ხელი ყბაზე სათუთად შემოედო, კბილი სტკილა. ალექსანდრემ შეატყო, რომ ფართოშუბლიანი, თვალებსევდიანი ქალი სულ ცხვა მიზეზით იყო მოსული.

მეორე დილას ჰენრიხმა ალექსანდრეს სიხარულით უამბო, წუხელ მოსკოვში საზეიმო სხდომა გაიმართა, მოხსენებით თვით სტალინი გამოვიდა, და წითელ არმიას ახალი მიზნები დაუსახაო.

ახალი წლის დასაწყისში ალექსანდრე არველაძე პოჩინკიდან მური-ვინოში გადავიდა, ხოლო 1942 წლის მაისში ბელოკოტლოვოს ამბულატორიაში, მოლჩანოვმა მის თანაშემწედ ტატიანა ნიკოლოზის ასული ნოსოვა გაგზავნა, რომელიც იატაკვეშელებსა და პარტიზანებს შორის მეკავშირეც იყო.

ალექსანდრე არველაძის ამბულატორიამ შორს გაითქვა სახელი, ას-ობით ავადმყოფი მოდიოდა დახმარების მისაღებად. მაგრამ ამბულატორია მედიკამენტების ნაკლებობას განიცდიდა. მართალია, გერმანელებს საოცრად ეშინოდათ ინფექციური დაავადებებისა და აუცილებელ მედიკამენტებს აძლევდნენ ამბულატორიებს, რის ხარჯვაზე თვით ბურგომისტრს უნდა დაეწესებინა კონტროლი, მაგრამ ეს სულაც არ იყო საკმარისი. და აი საქმეში ჩაერივნენ ექთანი ტანია ნოსოვა, იატაკვეშა ახალგაზრდული ჯგუფის მეთაური მოლჩანოვის ქალიშვილი ლილი, მოლჩანოვის ძალი ასია იგნატენკოვა, მასწავლებელი ვერა ტიმოშენკოვა. ასია დელი-უგინა, ანია დენისენკოვა, ვერა დოლგოვევა. ამბულატორიაში ჩნდება სამამულო და ნაალაფარი მედიკამენტები. უფრო და უფრო იზრდება ავადმყოფთა რაოდენობა, უფრო ხშირად მიჰყავთ დოქტორი ალექსანდრე შადასტაქროდ „წვერულვაშმოშვებული ნათესავების“ დასახმარებლად.

— 1943 წლის იანვარში მურიგინოში ვიყავი, — გაიხსენა ალექსან-

ღრემ, — ნამდვილი რუსული ზამთარი იდგა, უცრად ოთხში მოლჩანოვა და ანასტასია იგნატენკოვა შემოვიდნენ. მეუბნებიან, გამოიდან ნათესავი გვესტუმრა, გზაში ხელფეხი მოყინვია, დაჭრილიცა და წამლები გვინდაო. მე ვიცოდი რაშიც იყო საქმე, მაგრამ გამოკიახვა არ დამიწყია, გავატანე მარლა, ბანდი, რივანოლი, იოდი. ეს იყო მაშინ ჩვენი ავლა-დიდება. შემდეგ ეს ამბავი ჰენრიხს მოვუყევი და საყველურიც შეძლების მიხედვით უნდა დაგზოგოთო. მითხრა. ეს მოლჩანოვის აზრი იყო.

კაბინეტში ვიჯექი, კარები გაიღო და ვიღაცა თვალახვეული უცნობი შემოვიდა. მას მოლჩანოვი და ჰენრიხი შემოჰყენენ. მე მუშაობას შევუდექი, მოლჩანოვმა და მამაცაშვილმა ერთმანეთში გააბეს საუბარი.

— კრაპივოში გერმანელები, ალბათ, დამსჯელებს გაგზავნიან, — და ფიქრებით თქვა მოლჩანოვმა, — ეჭვი აქვთ, პარტიზანებს ეხმარებიანო, შეიძლება ტყუილ-უბრალოდ დააწიოკონ ხალხი.

— არც მათ დაადგებათ კარგი დღე, — ვთქვი მე, — კრაპივოში ათობით ტიფიანი მიწევს, ვიღაცა აიკიდებს ამ სენს. — ვლაპარაკობდი და თან თვალს გუხვევდი პაციენტს.

— ტიფიანები?! — წამოიჭრა მოლჩანოვი, თვალებში სიხარულის ჩაერწყები უელავდა, — ახლავე დაწერეთ განცხადება და მოაწერეთ ხელი, რომ სოფელში ტიფია, ჩინებულია, არა, არკაშკა (თვალდაზიანებული პარტიზანთა მეთაური არკადი სენცოვი იყო, რომელსაც „არკაშკას“ ეძახდნენ).

ტიფისა კი გერმანელებს პარტიზანებსა და თვით სიქვდილზე უფრო ეშინოდათ და სათოფედ არ ეკარებოდნენ. შემდეგში კი ასეთი განცხადებები ექიმ ალექსანდრე არველაძის ხელმოწერით სწორედ იქ ჩნდებოდა, სადაც გერმანელთა შესვლა იყო მოსალოდნელი.

სტალინგრადის ამბები ვერასაგან შეიტყო ალექსანდრემ. ვერა ტიმოშენკოვას მოლჩანოვის რაზმში სწორედ ინფორმაციის გავრცელება შვალებოდა. მაგრამ დიდი სიხარული დიდმა უბედურებამ ჩააშეამა. — ფაშისტებმა აღმოჩინეს მოლჩანოვის ჯგუფი და 1943 წლის 28 თებერვალს დააპატიმრეს და დახვრიტეს. ალექსანდრე, ჰენრიხი, გიორგი და ჯგუფის სხვა გადარჩენილი წევრები მტერს განერიდნენ და იმავე წლის სექტემბერში სმოლენსკის განმათავისუფლებლებს შეუერთდნენ.

— ჰენრიხ მამაცაშვილი 1944 წლის 17 ივლისს დაიღუპა. გიორგი ქაურიძე მშვიდობით დაბრუნდა და ამჟამად წულუჟიძეში ცხოვრიბს. სევები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მიმოიფანტნენ.

მე კი ომი რუმინეთში დავამთავრე და დემობილიზაციის შემდეგ, 1945 წლის 14 ნოემბრიდან 1950 წლამდე ვიმუშავე სმოლენსკის მეორე

საქალაქო პოლიკლინიკაში პროფესორ ნეკრასოვთან, — დაამთავრა აღმ-  
ქსანდრებ.

გმირს არ ივიწყებენ. იქ, სადაც ომის მძიმე წლებში უანგაროდ ეზ-  
მარებოდა მტრისაგან გადათქერილ ადამიანებს, პოჩინკის № 2 სკოლის  
მუზეუმში თვალსაჩინო ადგილს არის მოთავსებული სამედიცინო ინსტ-  
რუმენტები, რომლითაც ექიმი არველაძე სარგებლობდა ომის მძიმე  
დღეებში. პოჩინკელებმა ალექსანდრე არველაძე და ვერა ტიმოშენკოვა  
გამარჯვების ზეიმზე მიიწვიეს 1969 წლის მაისში. რაიონულმა გაზეთმა  
„სელსკაია ნოვ“ არეართი წერილი უძღვნა პარტიზანთა მამაც მკურ-  
ნალს...

აჭარის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ამანათი მოვიდა — წიგნები,  
უურნალები, გაზეთები, საფრანგეთის ქალაქ გრენობლის ღირსშესანიშნა-  
ობათა ფერადი ფოტოილუსტრაციები და ორი წერილი.

„მე ვარ ის ახალგაზრდა ფრანგი, რომელსაც თქვენ, პატივცემულო ბა-  
ტონო ალექსანდრე, თქვენს თანაშემწესთან, ქალბატონ მზევინარ გუნიას-  
თან ერთად აღმოუჩინეთ უფასო ქირურგიული დახმრება თბომავალ  
„ანსევილზე“ მიღებული ჭრილობის განსაკურნებლად. სიხარულით მინ-  
და შეგატყობინოთ, რომ ჭრილობა თქვენი მადლიანი მარჯვენის წყალობ-  
ით ისე განიკურნა, რომ კვალიც არ დარჩენილა. ღიდ მაღლობს გწი-  
რავთ, დასტაჭარო, პირადად თქვენ და თქვენს ყველა თანამშრომელს,  
მზიურ ბათუმში ჩემთვის გაწეული ადამიანური დახმარებისათვის“.

ამ გულთბილ სტრიქონებს ხელს აწერს მიშელ ბერტნიე, გრენობლის  
უნივერსიტეტის გეოგრაფია-ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, „გან-  
კუთვნილი გეოგრაფია-ისტორიის პროფესორის კარიერისათვის“.

მეორე წერილი ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის  
პრეზიდენტს პროფესორ დომინიკ პეტრ ეკუთვნის. იგი ქართველ ექიმს  
მადლობას უხდის მიშელ ბერტნიესათვის აღმოჩენილი დახმარებისათვის  
და მეუღლითურთ ეპატიუება გრენობლში.

როცა ამ ნარკვევის დაწერა გადავწყვიტე, ბატონ ალექსანდრეს ვე-  
წვიე და ფრანგების თვაზიანი მიწვევა შევახსენ.

— ვნახოთ, დროის საკითხია, საქმე შინაც თავსაყრელი გვაძეს.  
ყოველ შემთხვევაში, ახლა მთებში თოვლი აღნება თუ არა, ხულოში უნ-  
და გავემგზავრო.

# წაუკითხეთ ნორჩებს

გიორგი საღამევაც

## თეა პითხულობს

ასის ვიყო, ასსაც გავძლებ  
 შენით, იავ გასაშლელო.  
 აბა კიდევ ჩამომარცვლე:  
 — სა-ქარ-თვე-ლო!  
 სა-ქარ-თვე-ლო!

შენ სიცოცხლის წყაროს მასმევ,  
 შენ მაყვარებ მზეს და ვენახს.  
 აბა კიდევ ჩამომარცვლე:  
 — დე-და-ენა,  
 დე-და-ენა.

შენ მითენებ ხვალის დიდ დღეს.  
 ყაყაჩოთა კხედავ შრიალს.  
 ერთხელ კიდევ წამიკითხე:  
 — აი ია,  
 აი ია.

დიდ მინდორზე ხვალ იწვიმებს,  
 რომ ახაროს ყანა ნამმა.  
 შენ კი ტკბილად დაიძინე,  
 იავნანა, ვარდონანა!

## მ ა რ ჭ ყ ვ ი თ

ლამბაქზე რომ აწყვია,  
თეა გოგოს მარწყვია.  
ერთი, ორი, სამი, ოთხი...  
უნდა ჭამოს საღამოთი...  
თვალა,  
თვალა,

ვერ დათვალა,  
თვლა არ არის ადვილი.  
— არც დავთვლი და,  
არც დავიცდი —  
ყველას შევჭამ ამ დილით.

## ბ უ ტ ე - ბ უ ტ ე

— ბუტე-ბუტე  
გაგებუტე —  
არ გაჩუქებ ჩიტის ბუდეს.  
გავებუტე  
ყველას,  
ყველას:  
დათოს,  
ნატოს,  
თამროს,  
ლელას.  
— თეა, ხმას თუ არვის გასცემ  
და თუ ასე გაჩუმდები,

ვიღას უნდა ესაუბრო?  
დამუნჯდები!  
— ბუტე - ბუტე  
ბუტე - ბუტე,  
არვის ალარ გავებუტე.  
შეგურიგდი  
ყველას,  
ყველას:  
დათოს,  
ნატოს,  
თამროს,  
ლელას!

## პ რ პ დ ა ნ ი

მწიფობისთვე შემოსულა,  
დათაფლულა, მზეა.  
ჭრელაჭრულით შემოსილა  
რაც კი ბალში ხეა.  
ხილი,  
ხილი,  
ხილი,  
ხილი!

ბალი ქარში ლელავს.  
მღერის თამრო,  
მღერის თეა —  
ოდელია ლელა!  
თეა ამბობს:  
— თამრიკო,  
ოდი, ხილი გავიყოთ.  
არადანი მე!

— არჩევანი მე!  
 — შავი ბალი მე!  
 — ალუბალი მე!  
 — ეს ატამი მე!  
 — ეს ჭერამი მე!  
 — შაქარვაშლი მე!  
 — ღიდი კომში მე!  
 — შავქლიავი მე!

— შავყურძენა მე!...  
 თეა უცებ ატირდა,  
 ცრემლი აუბრწყინდა —  
 არადანი არ მინდა,  
 არჩევანი მინდა!  
 გაეცინა თამრიკოს:  
 არ იტირო, დაიკო —  
 შენი იყოს არჩევანი,  
 ხელმეორედ დავიწყოთ.

---

# კოცხას წა პუბლიცისებია

აკაკი შონია

## გთრთო ლჲარე სიმი

კითხულობთ ნანა გვარიშვილის ახლახან გამოსულ ლექსთა კრებულს და გვონიათ, რომ მისი ყოველი ტაეპი ვერხვის ფოთოლივით თრთის და ციმციმებს, მტვერს არ იკარებს, წვიმის წვეთებს არ იჩერებს, ზღვიდან მონაქროლ სიოსთან შაირობს.

მაგრამ, როცა „ვერხვის ფოთლებს სიოც აღარ ათამაშებს“, პოეტი სწუხს, ვერ იტანს სამარისებურ სიჩუმეს, უმოძრაობას და უმოქმედობას, უხმობს ქარებს, თხლიმინა წვიმასა და ფაფარეყრილ ზღვის ტალღებს, უხმობს ქარიშხალს, რომ გამხმარი ტოტი არ ამძიმებდეს და არ აუშნოებდეს სიცოცხლის ხეს.

დიდი რევოლუციური ქარიშხლები და რადიკალური გარდაქმნები რომ არა, არც ნანა გვარიშვილის პოეზია იქნებოდა. ეს პოეზია სოციალური და ეროვნული ჩავრისაგან, ისლამის რელიგიური ბორკილებისაგან განთავისუფლებული აჭარელი ქალის პოეტური ბიოგრაფია, იმ დედის პოეტური

აღსარებაა, რომელმაც უმძიმესი ისტორიული განსაცდელის ეამს თავის შვილებს შეუნარჩუნა მშობლიური ენა, შეუნარჩუნა ქართული სული და ასე მოიყვანა ისინი ჩვენს დრომდე.

აჭარელო დიდო დედავ,  
ნისლში მანდილს ვხედავ.

შენ იხსენი ბულბულთ სტვანა —  
ტკბილა დედა ენა.

შენს დარწეულ აკვებიდან  
მოდის ჩემი ლექსი.

მთების იქით,

ნისლის იქით

შენი ნანა მესმის.

(„აჭარელო დიდო დედავ“)

პოეტი ქალის თვალში ჩერაც არ წაშლილა მოხადრული აჭარის, სამხერეთ საქართველოს მწარე წარსულის სურათები. ისლამი — მაპმადის სარწმუნოებრივა მოძღვრებაშ პირზე შევი რიდე ჩამოაფარა და ღიმილი გაუქრო ქალს — ბუნების უმშვენიერეს ქმნილებას. იგი მიაკუთვნა იმათ რიცხვს, რომლებიც, „უურანის“ სიტყვებით, „უნდებიან მხოლოდ



ჩაცმა-დახურვაზე ფიქრს და უნა-  
ყოფვა დავას". მაპმადი ამ ქვეყ-  
ნად მხოლოდ ოთხ ქალს, ვათ  
შორის თავის ერთ-ერთ ცოლს ხა-  
ტიჯეს და თავის ქალიშვილს —  
ფართმას, სცნობდა სრულფასოვან  
ადამიანად, დანარჩენს კი მონური  
მორჩილებისათვის გაჩენილად  
თვლიდა და აღვილად იმეტებდა  
დასაღუპავად.

ხალხური თქმულებით, გამაპმა-  
დიანების წინააღმდეგ მებრძოლ  
აჭარელ მოხუცს თურქმა დამცყ-  
რობლებმა ქალიშვილი ქვევრში  
ჩაუქოლეს. ეს თქმულება დაედო  
საფუძვლიად ნანა გვარიშვილის  
ლექსს „ბალადა ქვევრზე“, რომე-  
ლშიც წარსული მხოლოდ ფონა-  
დაა გამოყენებული დღევანდელ-  
ობის, საბჭოური ყოფის უფრო  
მკაფიოდ წარმოსახენად. ასევე  
კონტრასტებზეა აგებული „ბალა-  
და შავშეთელი ქალის თავშალზე“,  
ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ  
დაპირისპირებულია თანამედრო-  
ვე თურქეთის შავშეთისა და გა-  
ნახლებული აჭარის ცხოვრების  
სურათები. აცრემლებულ შავშე-  
თელთან გაღმიდან ქარს მოაქვს  
თავისუფალ ქალთა ხმები და მის  
სახეზედაც აღიბეჭდება „ღიმილის  
ცისარტყელა“.

საღაც არ არის თავისუფალი  
დედა, იქ არც თავისუფალი სამ-  
შობლოა.

არც ნამდვილი გრძნობაა სიყვა-  
რულისა.

არც ოჯახური ბედნიერებაა.

არც სილალე შვილებისა.

ამ რწმენითაა შთაგონებული

ნანა გვარიშვილის პოეზია, რომ-  
ლის თავისებურება მნიშვნელო-  
ვანწილად განაპირობა აჭარის  
ბედუუღმართმა წარსულმა. „სა-  
მასი წლის ოხვრა“, „სამასი ვარ-  
დთა ზრობა“ ამა თუ იმ ფორმით  
ხშირად იჩენს თავს პოეტის შემო-  
ქმედებაში. იგი დღესაც აფრთხი-  
ლებს აჭარელ ქალს:

ხუჭუჭ დალალს მოახურე  
შუქციმციმა მზის მანდილი,  
მზეს შეხედე, მოგაცილოს  
სამასი წლის ჩადრის ჩრდილი.  
(„მზის მანდილით“)

დღეს ჩადრი აღარ არის, მაგ-  
რამ მისი აჩრდილი მაინც არ აძ-  
ლევს პოეტს მოსვენებას.

ხშირად გვსმენია საყვედური —  
რა გაუთავებელი გახდაო იმ სამა-  
სი წლის ამბები. ჯერ ერთი, წარ-  
სულზე წერას არავინ გვიშლის,  
ოღონდ საქმე ის არის, როგორ  
ვწერთ, რა პოზიციიდან; მეორეც,  
ის სამასი წელი სადმე ზანდუქში  
ჩარჩენილი, ძალადაკარგული ქვე-  
ლი თამასუქი როდია, იგი ხშირ-  
ად გვახსენებს თავს უსიამო დანა-  
შრევებით. როგორც ყველა რელ-  
იგია, ისლამიც შხამსამსალაა და  
დღესაც გვწმლავს, გვებრძვის,  
ექებს ღრიჟოს ჩვენი ხალხის  
მთლიანობაში, ერთიანობაში. სა-  
ქართველოს მტრები სარწმუნოე-  
ბის დროშით მოდიოდნენ ჩვენი  
მხარის ასკლებად, თავიანთი ექს-  
პანსიონისტური პოლიტიკის გან-  
სახორციელებლად. და ეს დროშა

დღესაც არ არის ბირს დახრილი.  
ამიტომაც ეჭიდებიან აჭარის მწე-  
რლები წარსულის თემას.

ვისაც წარსული აქვს, ცეცხლ-  
ნიერი თუ ავბედითი, მისთვის წა-  
რსულის შესწავლა, მასზე წერა  
დროის დაკარგვა არ არის.

ნანა გვარიშვილისათვის აჭარის  
წარსული ის საფანელია, რომლი-  
თაც დღევანდელ ყოფას განსხვა-  
ვებულად, თავისებურად ხატავს.  
მას თავისი სათქმელი აქვს, სხვე-  
ბზე უკეთ ესმის აჭარელი დედე-  
ბის კვნესა, ჩადრში გახვეული ჯი-  
დი წუხილი, და ეს წარსული და-  
ნახულია აქედან, თანამედროვეო-  
ბის სიმაღლიდან, შეპირისპირე-  
ბულია დღევანდელობასთან, ას-  
ალი ცხოვრების სიყვარულითა  
და უკეთესი მერმისის რწმენითა  
შთაგონებული. მისი ლექსების  
ლირიკული გმირი, რომელიც უმ-  
რავლეს შემთხვევაში თვით ავტო-  
რია, ბედნიერად თვლის თაქს,  
რომ ფეხი აიდგა „დალოცვილ ჭი-  
წაზე“, იარა „დალოცვილი გზებ-  
ით“ და არც ეშმაკის კუდი დას-  
ჭირვებია და არც ანგელოზის  
ფრთები. იგი ჯერ ისევ ბავშვი  
იყო, როცა აჭარელმა დედებმა  
ჩადრი საჯაროდ აიხადეს და დას-  
წვეს. მეხსიერებაში შემონახული  
ეს საოცარი სურათი შემდეგში  
პოეზიის კუთვნილება გახდა: „ჰეი,  
დედებო, ნაპერწკლებს მაყრის  
თვეენი ჩადრების ჭიაკონა!“  
სწორედ ამ ცეცხლის შუქმა გაუ-  
ნათა პოეტს მომავლის გზები.

პირველი აჭარელი ქალი, რომე-  
ლმაც ჩადრი ცეცხლის ალს მონა-  
ცა, იყო ნამდვილი გმირი, და ნანა  
გვარიშვილიც ბოლომდე მისი ერ-  
თგული, მისი ტრფიალი დარჩა,  
ქართულ პოეზიაში შემოიყვანა  
ქალი, რომელმაც ალაპი გამოიწ-  
ვია, „ღმერთთან დუელს“ არ შე-  
უშინდა. თუ გავიხსენებთ, რომ  
ისლამის სარწმუნოების შემქმნე-  
ლმა მაპმადმა თავისი თავი პოეზი-  
ის მტრად გამოაცხადა (ამას მის-  
თვის ხელი არ შეუშლია, „ყუ-  
რანში“ ჩაეყარა არაბი პოეტების  
ათასობით სტრიქონი), ნანაც თა-  
ვისებური დუელანტია; იგი აჭარე-  
ლი ქალებიდან პირველი და დღე-  
მდე ერთადერთია, პოეტური შე-  
მოქმედების ფართო სარბიელზე  
რომ გამოვიდა და აგერ სამი ათე-  
ული წელიწადია უანგაროდ ემსა-  
ხურება სამშობლოს.

ახალ კრებულში ბოლოდროინ-  
დელ ლექსებთან ერთად შესულია  
ადრინდელი საუკეთესო ლექსები,  
რომლებშიც ახალი ყოფის ფონ-  
ზე ასახულია ბუნების დიდი ფე-  
ნომენის — სიცოცხლის სიხარუ-  
ლი. ამ ლექსებიდან თავისი იდეუ-  
რობითა და ემოციური ძალით გა-  
მოიჩინა „ქორწილი აჭარაში“. აქ  
აღწერილი კი არა, ისეა ყველაფე-  
რი განცდილი, რომ ვისაც ერთ-  
ხელიც არ უნახავს ქართული  
ლენი-ქორწილი, ისიც ერწმუნება  
ავტორს. რა იქნებოდა პოეზია და  
საერთოდ მწერლობა, რომ ასეთი  
გაება, ნდობა არ იყოს მკითხვე-  
ლისა მწერლისადმი!

ქორწილი ჩვენში ხომ დიღი ჰე-  
იმია, უსაზღვრო ბეღნიერებაა და  
პოეტი ამ საზეიმო ფერხულში  
ბუნებასაც აბამს.

იღიმება ის კვირტი,  
გულზე იყრის ფერებს ლურჯ ცის,  
სიი ყვავილს უალერსებს,  
ფურცელ-ფურცელ კოფორს უხსნის.  
დასალოცი დაილოცის,  
შემოდგომას ვინ დაუცდის.  
სიყვარულმა აყვავება.  
გაზაფხულზე უფრო იცის.

აქ ჩვენ საქმე არა გვაქვს აკვა-  
ნში დაწინდულთა უბრალო ფიზი-  
კურ შეერთებასთან. რუსთაველმა  
თქვა „სიყვარული აღგვმალლებ-  
სო“ და პოეტი უმღერის სწორედ  
ამ ამალლებულ სიყვარულს, უშა-  
დო გრძნობით გალაღებული ახა-  
ლგაზრდების ზეიმს და თვითონაც  
გადაეშვება სიხარულის მორევში.

მექორწილევ, ხელი მომეც,  
თქვენებური არ ვარ განა?  
ჰე, მედოლევ, დაჰკარ, დაჰკარ,  
დაუკარი განდაგანა!

ნანა გვარიშვილი ამ ქორწილი-  
სა და საერთოდ ამ ცხოვრების  
შორიდან მაყურებელი, გულგრი-  
ლი მოწმე არ არის, უშუალო მო-  
ნაწილეა და თავისი პოეტური შე-  
მოქმედებით გარკვეულ ემოციურ  
ელფერსაც ჰმატებს მას.

„ქორწილი აჭარაში“ წარსულ-  
ზეც მიგვანიშნებს. ჩვენებური  
ლხინ-ქორწილის ცეცხლოვან რი-

ტმში ლოდნელად შეიკრება  
სევდა, ლექსის ლირიკული გემისაც  
რის მობოდიშება — „ჩემს ქორ-  
წილში ვერ გალხინეთ, ვერ დამ-  
ლოცეთ გულით მაშინ“ — საფიქ-  
რალს უჩენს მკითხველს: ახალი  
ყოფის გზაზე გამოსულმა ქალიშ-  
ვილმა აღბათ დაარღვია „შარია-  
თი“, გაარღვია ჩამორჩენილი აღ-  
ამიანების მიერ ცხვირით შემო-  
ხაზული წრე, სიყვარულს მიენდო  
და ამიტომ დაულოცავი წავიდა  
მამის სახლიდან.

ახალ კრებულში ძალიან ცოტაა  
შესული ლექსები ცნობილი ციკ-  
ლებიდან „ჩადრების ჭიაკოკონა“, „  
უჩადრონი“, „აჭარელი ქალიშ-  
ვილები“, რომლებიც აღმოცენე-  
ბულია მშობლიურ ნიადაგზე. ამ  
ლექსებიდან თავისი მაღალი სოც-  
იალური უღერადობით და კოლო-  
რიტით განსაკუთრებით გამოირჩე-  
ვა „სანიშნო საათი“. პოეტი დღე-  
ვნიდელი დღის სიმაღლიდან წარ-  
სულის სიღრმეში ჩადის და ამო-  
აქვს... შირინ-აღას საათი. ქირით  
დროებით გაცემულ ამ ოქროსძეწ-  
კვიან საათს ქორწინების დღეს  
გულზე დაჰკიდებდნენ მდაბითა  
პატარძალს. როგორც კი ცერემო-  
ნიალი დამთავრდებოდა, ჩამოხ-  
სნიდნენ და უბრუნებდნენ პატ-  
რონს, რომ ახლა სხვისთვის მიე-  
ჟირავებინა. ასე კარდაკარ, ოჯახი-  
დან ოჯახში დაჰკინდათ შირინ-  
აღას საათი — ჩადროსანთა გულ-  
სკლავი სამკაული. იგი დროს არ

უჩვენებდა, მაგრამ უკულმარით  
დროის დაღს კი აჩნევდა ქალის —  
მომავალი დედის სათუთ  
გულს.

დღეს ახალგაზრდობამ შეიძლება არც კი დაიჯეროს ეს ამბავი და პოეტის ფანტაზიის ნაყოფად ჩათვალოს, მთო უმეტეს, რომ ირგვლივ საკმაოდ ბევრს ხედავს ძვირფასი თვლებიანი ოქროს ბეჭდებით თითებ და ასტრინილ, სამკაულებით გულმკერდ „მოკირწყლულ“ ქალს. ამიტომ ურიგოა იქნება, მუხეუმში ჩადრის გვერდით იღოს „შირინ-აღას სათა“. როგორც წარსული უბადრუკი, ბეჩავი ცხოვრების სიმბოლო.

ძველ ამბებსა და პოეტი ქალის ადრინდელ ლექსებს რომ ვიხსენებთ, იქნება ზედმეტად მოერვენოთ ვინმეებს, მაგრამ მათ შეიძლება ვუპასუხოთ დიდი გოეთეს სიტყვებით: ვიდრე ადამიანები იმეორებენ შეცდომას, ჩვენ უნდა ვიმეოროთ ჰეშმარიტება, რა განდ მკაცრიც იყოს ის. ნანა გვარიშვალის ბევრი ძველი (ეს სიტყვა აქ პირობითია) ლექსი დღესაც ინარჩუნებს შემტევ ხასიათს, რომ არაფერი ვთქვათ მათ ესთეტიკურ ღირებულებაზე.

რაც შეეხება ბოლოდროინდელ ლექსებს, მათი ლირიკული გმირი ისევ ის არის ვინც „ცას ევედრება: მაჩუქე ჩიტის ჰანგები უველა, თავს შემოვავლო ჩემს მხარეს შვიდფერი ცისარტყელა“. მაგრამ ახლა მას უფრო მეტი საზრუნვა

აქვს საკუთარი თავისა და ოჯახის, მთელი სამშობლოს მიმართ, მეტი ფიქრი და დარღი აშუხებს. ლექსი არ მალავს ჭალარისა და ნაოშების მოძალებას („შეხედე ჩემს თმებს და დაიჯერე, რომ სიყმაშვილე უკვე წავიდა“), დგება უკან მოხედვის დრო, მოგონებილან ამოღის ყმაშვილი ქალის მესაილუმლე, ტანწერწეტი, ცერებზე შემდგარი, მორცხვი... ხე, რომელსაც თელას ეძახდა, მაგრამ თურმე არ ყოფილა თელა.

მას მუდამ ჩიტები ესეოდნენ, ჩიტები კი არა — ჩემი ფიქრების დები.

მას ლამაზი ფოთლები ჰქონდა, ფოთლები კი არა — ჩემი იმედები. და ტატებში შეკავებული ცის სივრცე მე მპირდებოდა მთელ ქვეყანას, მისი ფოთლების ჩემი ქარი როცა უბერავდა

ჩემი ოცნების ყანას, — ვიტრუნებოდი და წამწამი სველდებოდა ნელნელა, ჩიტებთან კი არ მინდოდა ცრემლების გამხელა

და ვიმალებოდი... ქსაზღვროდ მიყვარდა თელა, ჰო, მაგრამ რომ არ იყო თელა? „(თელა“)

ადამიანი ბევრ რამეს უფრო მოგვიანებით აღიქვამს და გაიაზრებს სწორად, ნამდვილ სახელსაც მოგვიანებით არქმევს. ქალის არსებაში, ისე როგორც უყრძნის მტევანში, მარტო ტკბობის კი არა, თრობის უინიც არის, მაგრამ ასაქს თავისი გააქვს („... შემზარავია გულში გაივლო ორმოცი

წელი“) და რაც უფრო იზღუდება და ითრგუნება ეს ჟინი, მით უფრო მეტია ნერვიულობა, აღარ ისმის ლექსის ლირიკული გმირის ლალი კისკისი, პერება ბრიალა ფერები და იწყება ამაღლვებული ჩივილი უფრო საკუთარი თავისადმი, ვიღრე ცხოვრებისადმი: „გწეშილ თმებში ქვითინებს წვიმა“, „სულში ნალეჭი ქარები პერიან“, „სასოება ქვიშაზე თვეზივით გდია“. ერთობ მუქი საღებავებით შესრულებული სურათებია, მაგრამ სწორი არ იქნებოდა მათი გადამეტებული განვიცობა-განზოგადება, წმინდა ინტიმურ სფეროდან სხვა სფეროში გადატანა. ნანა გვარიშვილი თავის ლირიკულ გმირს თითქოს საგანგებოდ ურჩევს ისეთ მომენტებს, როცა მის სულში ვნებათა ღლვა მძაფრად ვლინდება და ქალური თავმოყვარეობა ჩინჩხალს პყრის.

ათასი კოცნა ვაგროვე შენთვის.  
არ შემარჩინეს ტუჩზე არცერთო...  
და ვწყევლი ქარებს,  
ვწყევლი ქალურად,  
როგორ მომპარეს გადოქარულად  
ის რაც ბაგეზე მეონდა ფარულად.  
(„როგორ მომპარეს!“)

სწყევლის ქარებს და მაინც გარბის ქარში, რომ მის უხილავ ფაფუას ჩააფრინდეს, ან და აქეთ უხმობს მას, რომ მარტოობის სიჩუმეს მოუღოს ბოლო. ეს წანა-აღმდეგობრივი ბუნება აღამიანური ხასიათისა უფრო მეტი მხატვრული ძალით ვლინდება ნანა გვა-

რიშვილის ლექსების ერთ საკმარისებელში, რომლისთვისც პირობითად შეიძლებოდა გვეწოდებინა „მონოლოგები წვიმაში“. მხოლოდ ბათუმელს თუ შეუძლია ამდენი წეროს წვიმაზე და ასე მიენდოს მის სტიქიას: „მოღით გამწუწეთ წვიმებო... სულში ჩამოდით თქმიალით“, მხოლოდ ჩვენმა ზეცამ იცის „ამდენი წყალის წყალობა“ და ასეთი უცნაური მეტამორფოზები „მუხლამდე წყალში ჩადგა ქალაქი, მერე ანაზდად აიგსო მზითა“. ეს შესანიშნავი „მონოლოგები“ იქნება ვშვობის, კოკისპირულ წვიმაში თამაშის მოგონებათა ანასხლეტია, ან იქნება მოწყურებული ყვავილების ჟინია გამხელილი.

ნანა გვარიშვილი საგნებთან და მოვლენებთან ბუნებრივ, ემოციურ მიმართებაში ავლენს ლირიკული გმირის ხასიათს, მის სულიერ მდგომარეობას, ყველაზე უფრო მაინც ქარსა და წვიმას, ზღვასა და თოლიებს იყენებს საფანელად. აკი თვითონ ამბობს: „მე ვიშვი ზღვაში როგორც თალია... ზღვა იყო ჩემი ლურჯი აკვანი“, და ამ აკვანს თურმე არწევდა ქარი და წვიმა. პოეტს უკვარს მშობლიური ზღვის ნაპირები, ვაჟკაცური პროფესიის ადამიანები — მეზღვაურები და ამ გრძნობას ავლენს ახალ კრებულში შესულ საკმაოდ ბევრ ლექსში.

მას ემარჯვება ზღვის სურათების  
ხატვა და ზოგან გასაოცარ ფერ-  
წერულ ეფექტს აღწევს.

სიპნელემ ზღვაში გასცურა ნავით,  
სინათლე დარჩათ მარტო ნაპირებს,  
ისე გადმოდგა ჩრდილი ჩინარის,  
თათქოს თევზების ჭერას პირებს.  
(„დაისა ზღვაზე“)

ბუნების სურათების ასეთი გა-  
ცოცხლება, ამგვარი შუქ-ჩრდილე-  
ბი კიდევ უფრო საინტერესოს  
ხდის ნანა გვარიშვილის პოეზიას.  
საამისოდ იგი იყენებს ჩვეულებ-  
რივ სიტყვებს: „ფეხშიშველა ნა-  
კალული ჩუმად სადღაც მიიჩქა-  
რის“; „პატარა პალმებს კისერში  
ესხმით ცივი, ჩხრიალა ნაკალულ-  
ები“; „განაბულა ძეწნის თმებში  
ცელქი ქარი“ და სხვ. ამ მეტა-  
ფორულ სტრიქონებში და საერ-  
თოდ მთელს წიგნში პოეტი არ-  
სად არ იჩენს უბრალო, ნიადაგ  
სახმარი სიტყვებისადმი უდიერ  
დამოკიდებულებას. მის ლექსიკას  
თუ დავუკვირდებით, ადვილად  
შევამჩნევთ, რომ არ მიმართავს  
ახალ, მეტწილად სამეცნიერო-  
ტექნიკური რევოლუციის მეოხე-  
ბით შემოსულ სიტყვებს, ლექსი-  
კონებიდან ამოკენკილ უცნაურო-  
ბებს.

ჩვენ ვცხოვრობთ ატომურ საუ-  
კუნეში, როცა ადამიანებმა მთვა-  
რე დალაშქრეს, ქიმურებები გუ-  
ლის გადანერგვას აწარმოებენ,  
თვითმფრინავები ისეთ სიჩქარეს  
ანვითარებენ, რომ ბევრას უსწ-  
რებენ, ხოლო ელექტროგამომთვ-  
ლელი მანქანები აზროვნებენ აღ-

ამიანის მსგავსად და მალე ლექსი-  
სების თხზვასაც დაიწყებენ. არ შეიძლება  
ამბების კიდევან არ შეიძლება  
იდგეს პოეტი. არც ნანა გვარიშ-  
ვილი ეთიშება ამ თემებს, მაგრამ  
ერიდება ლირიკული ლექსების  
„ტექნიკურ აღტურვეს“. ახალ თე-  
მებს ხორცის ასხამს ტრადიციული  
სიტყვებით და ახალ კლერადობას  
აძლევს მათ. ამ მხრივ დამახასია-  
თებელია ვალენტინა ტერეშკოვა-  
სადმი მიძღვნილი ლექსი „ცის  
ასულს“. აქ ერთხელაც არაა ნახ-  
მარი სიტყვა კოსმონავტი და მი-  
ძღვნაც რომ არ იყოს, მანც აღ-  
ვიქამდით ვარსკვლავეთში გაჭ-  
რილი პირველი ქალის სიღიადეს.

დედოფალი ხარ ცხრაფერა ზეცის,  
შენით თავდება ყველა ზღაპარი.  
მთვარის წიავი გამოიტაცი,  
გააღ ყველა ოცნების კარი.

ეს თემა კიდევ უფრო ახლობე-  
ლი, ინტიმური გახდა ქართველი  
მკითხველისათვის, როცა ის პოე-  
ტმა ფაქიზად, მოქრძალებით და-  
უკავშირა ბრძა შემთხვევის გამო  
ზეცაში გაუჩინარებული ხელოვა-  
ნის ნატო ვაჩნაძის სახელს.

ჩვენ იგავო, ჩუმად მითხარი:  
როცა დაბრძანდი დედოფლად ცაჲე,  
იქ, ვარსკვლავებში ხომ არ გინახავს  
ჩვენი ლამზი ნატო ვაჩნაჲე.

ღრმო და ლექსმა „ცის ასულს“  
შეუცვალა ძველი შინაარსი, შემო-  
აცილა ღვთაებრივი სილამაზის  
გარსამოსი და უფრო რეალური,  
კონკრეტული აზრი მისცა, კოსმო-  
ნაგტი ქალის სინონიმად აქცია.

დრო ცვლის არა მარტო ცალკეული სიტყვების კონკრეტულ შინაარსს, არამედ მათი გამოყენების კონფიდენციალურობაც. ამას წინათ პარიზის გაზეთმცოდნეობის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ასეთი ცნობა: 1871 წელს ფრანგულ პრესაში ყველაზე უფრო ხშირად ხმარობდნენ სიტყვებს — სიყვარული, ვნება, ქალი, გული და ა. შ. 1971 წლის სტატისტიკამ კი აღნიშნა სხვა სიტყვები და სხვა რიგი — ავტომობილი, სიჩქარე, ქალი, ომი, მთვარე, ნარკოტიკები, ატომი, პოლიტიკა, სიყვარული... ერთი საუკუნის მანძილზე სიყვა სიყვარულმა უურნალ-გაზეთებში პირველიდან მეცხრე აღგილზე გადაინაცვლა, პირველი აღგილი ავტომობილს დაუთმო.

ეს ფაქტი მეტნაკლებად დამატასიათებელია სხვა ქვეყნებისთვისაც და აქ მოვიტანეთ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავლენას ახდენს დრო, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, აღმაინთა მეტყველებაზე, კერძოდ, ლექსიკაზე.

ამ მხრივ ნანა გვარიშვილის ლირიკა ერთობ უკარება და აზიზია. ისევე როგორც მისი სანუკვარი, მთრთოლვარე ვერხვის ფოთლები, სტრიქონებიც არ იყარებენ „დროის მტვერს“. ლირიკული პოეზიის ენა ჭირვეულია და ამიტომაც ესათუთება მას პოეტი,

ცივ სიტყვებს აშორებს, ტაეპებს არ აპრიალებს, რომ სითბო დაუკარგოს. მართალიც არის — თანამედროვე პოეზია ზოგჯერ ცებს კიდეც ლექსის მომეტებული ტექნიკური სრულყოფით.

ზოგი ერთფეროვნების შიშით საკუთარ თავს გაურბის, სხვის-სათქმელს, უცნობ თემებს ეპოტინება და ნამდვილი პოეზიის მიღმარჩება. ნანა არ ესწრავთვის მოჩვენებით ნოვატორობასა და მრავალფეროვნებას, დღესაც მტკაცედ დგას იმ ნიადაგზე, რომელიც თავიდანვე ასაზრდოებდა მის პოეზიას, დღესაც საკუთარი შინაგანი ბუნებიდან და ცხოვრებიდან, გამომდინარე, იმთავითვე შესისხლხორცებული თემების ერთგული რჩება. მის ლექსებში შეზავებული და ამეტყველუბულია ჩვენი მთისა და ბარის, ზღვისა და ცის, ჩაის ხავერდის, ციტრუსოვანთა ბალების, ზერების, ტყეების მომხიბლავი ფერები, მხატვრულად ხორცესხმულია როგორც წარსულის, ისე ჩვენი დროის მოწინავე ადამიანების, ბრძოლისა და შრომის გმირების სახეები.

ეს ლექსები მიმართულია იმისკენ, ვინც ქმნის, ვისაც შეუძლია მათი წაკითხვა-მოსმენა, და არა იმისკენ, ვინც ჩაეფლო საკუთარ ქონში, დაივიწყა სულიერი ცხოვრება და იავნანასა და სულთათანას ვერ არჩევს ერთმანეთისაგან.

ნანა გვარიშვილის პოეზიისთვის იმთავითვე უცხო იყო ლოზუნები და დითირამბები. უკი უმღეროდა გულითა და მარგვენით მართალ ადამიანებს, სამშობლოს ერთგულ შვილებს, რომლებსაც მუდამ შენობით მიმართავდა ლექში და ჭირსა თუ ლხინში მხარდამხარ მიჰყვებოდა, მათ ბედა და უბედობას იზიარებდა.

ასეთი სულიერი სიახლოევა აქვს პოეტს არა მარტო ადამიანებთან, არამედ ბუნებასთანც და ზოგჯერ იმპერატიული ფორმით უხმობს მის ძალებს: „მოვიდეს ქარი და შლეგი წვიმა!“ ხან უსაყვედურებს, ხანაც ეალერსება და ბუნების კართან ნამდვილ შვებას გრძნობს.

ლექსი, მით უმეტეს ლირიკული, ძნელად ეკვემდებარება ლოგიური ანალიზს, უფრო მეტს ვვა-გრძნობინებს, ვიდრე გვეუბნება, ზოგჯერ გარეგნულად მშვიდია, მაგრამ შინაგან მღელვარებას მა-ინც ავლენს.

„ჩემი ბებოს თავშალს მოვიხურავ,  
უცხოა, არ თქვათ სოფლის გზებო“  
(„ხალელებო“)

ეს სტრიქონები სულაც არ არის გავარვარებული, თვალს არ სჭრის, გულს და გონებას კი იტაცებს, მშობლიური სოფლისადმი სიყვარულის ღადარს აჩალებს, „ბებოს თავშალს“ ისეთსავე პატივსა და ღირსებას სდებს, როგორც სოფლის პატიოსნებას. ასე უბრალოსა და კონკრეტულში

გვაგრძნობინებს პოეტი დიდსა და მნიშვნელოვანს.

შემთხვევითი არ არის, რომ ნა გვარიშვილი მიმართავს ბალადას, როგორც მძაფრი აღამიანური გრძნობების გამომხატველ ლირიკულ-ეპიკურ უანრს, მაგრამ უპირატესობას მაინც მინიატურას აკუთვნებს, ლირიკოსია და უნდა, საგნები და მოვლენები ნახოს დიდი პლანით კი არა, რაც შეიძლება ახლოს, გულთან მიტანილი. მას წვიმის წვეთები და ტალლა უფრო იტაცებს, ვიდრე ნიაღვარი და ზღვა, იღებს მთელის ყველაზე უფრო დამახასიათებელ, მთელის არსებაში გაინტიმურებულ ნაწილს და გვაძლევს ლირიკული გმირის შინაგანი ცხოვრების დასრულებულ სურათებს. მისი ლირიკა ღრმად პირადულია და იმავე ღროს საზოგადოებრივი, სამოქალაქო, ყველასათვის გასაგები ადამიანური ვნებებითა და ემოციებით აღსავსე.

ნანა გვარიშვილი გულმოღვინედ სწავლობდა ქართული საბჭოთა პოეზიის ღიღოსტატებისაგან, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავისახელოთ გალაკტიონ ტაბიძე. აკი თვითონ ამბობს ნანა: „გულზე ჩქერად დამეცა ტალღა გრძნობის ოორის, სტრიქონ-სტრიქონ მოვიხმე ლექსი გალაკტიონის“. ასე გავიდა სწავლის, ტრფობის, ოჯახზე და შვილებზე ზრუნვის, სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამი ათეული წელი. და მაინც იგრძნობა მის ახალ ლექსთა კრებულში სიცოცხ-

ლის ვნებიანი სიყვარული, ქალუ-  
 რი სინატიფე და რიდი.

თოლიების ფრთები მხურავს,  
 არყი გავითელო,  
 უსახელო ყვავილი ვარ,  
 ზღვასთან ვამკობ მდელოს.  
 საქართველოს ლურჯი ზეცა  
 გულზე მადევს ხატად,  
 პატარა ვარ, არცეი ვღირვარ  
 საღმე დასახატად.

(„უსახელო ყვავილი“)

ეს ლექსი თვიდან ბოლომდე

ვითარდება როგორც მეტაფორა  
 და საოცარი უბრალოებითა და  
 უშუალობით გვაგრძნობინებს შე-  
 მოქმედის მოკრძალებასა და თავმ-  
 დაბლობას, მამულისადმი უებრო  
 სიყვარულს. ის, ვისაც საქართვე-  
 ლოს ლურჯი ზეცა გულზე ხატად  
 ადევს, თვითონ ნანაა, გვარიშვი-  
 ლი, აღიარებული ქართველი პოე-  
 ტი ქალი.

---



## დოც. პ. ნაცველიშვილი

### ლირიკული ლექსის შესახებ

მხატვრული ლიტერატურის ძირითად ჟანრებად აღიარებულია: ლირიკა, ეპოსი და დრამა. კერძოდ, ლირიკული ჟანრი მრავალგზის გამხდარა უაღრესად სუბიექტური მსჯელობის საგანი. საკმარისია გავიხსენოთ ფორმალუსტური სკოლის მიმდევართა შენედულებები, რომელთა მიხედვით ლირიკულ ნაწარმოებს არ შესწევს უნარი სრულყოფილად ასახოს მოვლენები, ობიექტურად წარმოადგინოს ჩეალური ყოფიერება. მათი აზრით, ლირიკისათვის დამახასიათებელია უკიდურესი ინდივიდუალიზმი, საკუთარი „მე“-ს დაყენება შემოქმედების ცენტრში. ამ დებულებას ერთგვარად ამაგრებს თანამედროვე ლიტცოდნეობაში შემოჩენილი ლირიკის თვისებურებათა

არსის ცალმხრივი წარმოდგენა, — რომ ლირიკას არ ძალუდს წარმოსახოს ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივი ისტორია, აჩვენოს მოქმედება განვითარებაში, რომ იგი უმთავრესად გულთან, გრძნობებთანაა დაკავშირებული და სხვა.

მართალია, პოეტი უმთავრესად თვისი ლირიკული „მე“-ს თვალსაზრისიდან აფასებს მოვლენებს, იგი თვით გვევლინება ნაწარმოების ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად, მაგრამ ეს ფაქტი ხელს არ უშლის ცხოვრების მართალ სახეებში წარმოდგენას. პირიქით, მრავალფეროვანი გრძნობებიდან გამომდინარე ლირიკოსი ნაირფერად იძლევა თვისი კონცეფციის მხატვრულ ჩეალიზაციის და ნაილად წარმოადგენს მოვლენათა ობიექტურ ხსიათს. ლირიკული ჟანრისათვის დამახასიათებელმა

ამ ობიექტურმა კანონმა აიძულა რუსული დეკადენტიზმის ერთ-ერთი ძლიერი წარმომადგენელი, სიმბოლისტი ვალერი ბრიუსლვი, თავისი მრწამისი წინააღმდეგ ერთარებინა: „ყოველ ლირიკულ ლექსში ყოველ ნამდვილ პოეტს გამოხატული ჰყავს ახალი „შე“. (ვ. ბრიუსლვი, რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, გვ. 543. 1955 წ.). ხსენებული დებულება ლახვარს სცემს იმ მცდარ შეხედულებებს, რომელთა მიხედვით უზომოდ დავიწროებულია „ლირიკული გმირის“ დიაპაზონი და იგი გაიგივებულია ავტორის პიროვნებასთან! მსგავსი აზრები, რომლებიც გვხვდება კრიტიკულ ლიტერატურაში, ამცირებს პოეტის როლსა და მნიშვნელობას.

გოვთე ეკერმანთან საუბარში თავისი პოეტური ნაწარმოებების გამო ამბობდა: „ყველა ჩემი ლექსი დაწერილია შემთხვევის გაპო, ყველა ისინი სინამდვილის ანარეკლია და ღრმად აქვს გადგმული ფესვი მასში. ჰაერიდან აღებული ლექსები მე არაობად მომაჩნია“. ეს სრულებითაც არ უარყოფს სუბიექტური ფაქტორის ერთ-ერთ წამყანან როლს ხელოვნებაში; ხელოვნური ნაწარმოები სხვა არაფერია, თუ არა „სუბიექტის აზროვნებაში გადატეხილი

ობიექტური სამყარო“. განაცილები თავისუფალნი არიან სუბიექტური თვალთახედვისაგან! გადავხედოთ მსოფლიოში ცნობილ ეპიკოსთა შემოქმედებას; არცერთი მათგანი არ ასულა დიდ სიმაღლეზე ისე, რომ საკუთარი ფანტაზია არ აემოქავებინა ძალუმად და ცხოვრების მართალი სურათები საკუთარი მსოფლშეგრძნების ცხოველმყოფელი შუქით არ გაეცისკროვნებია. ეპიკურ ტილოებში გვხვდება მოქმედი პირები, რომლებიც თუ სავსებით არა, ძირითადად მაინც უახლოვდებიან მწერლის პიროვნულ თვისებებს, ახლოსაა მასი ცხოვრების ისტორიასთან. გოვთემ თავისი ბიოგრაფიული, სუბიექტური პოზიციებიდან გამოკვეთა ჭეშმარიტად გენიალური სახეები „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანში“, „ფაუსტში“ და სხვა ნაწარმოებებში და ამ გარემოებას არ შეუშლია მისთვის ხელი, მრავალმხრივ და ობიექტურად აესახა მე-18 საუკუნის გერმანიის მშეოთვარე ცხოვრება.

მარქსისტული ლიტერატურობა ხელოვნების ნაწარმოებში სუბიექტურისა და ობიექტურის უბრალო შეერთებას, შერწყმას არ მიიჩნევს მართებულად. იგი გულისხმობს სუბიექტის მიერ ობიექტური სინამდვილის შეცნობას დიალექტიკურ ერთიანობაში, მათ განუწყვეტელ კავშირში, როდესაც

1 იხ. პოეტ ვ. სოლოუხინის წერილი „პოეზია და ღრმა“, „ლიტერატურაშია გაზრდა“, 17 ივლისი, 1958 წ.

სუბიექტი აღიქვამს ობიექტურ გარემოს მართებული, სწორი პოზიციიდან, როდესაც სუბიექტი არ წყდება ობიექტურ კანონზომიერებას და დასკვნებს მასზე დაყრდნობით აკეთებს. სუბიექტის აზრები ერთ რომელიმე მოვლენაში კი არ მულავნდება, არამედ მთელი ლიტერატურული ქმნილებაა გამსჭივალული მისი თვალთახედ ვით. იგი ვლინდება ნაწარმოების მთლიან არქიტექტონიკაში, სიუჟეტსა თუ მხატვრულ სახეებში, ფორმასა და შინაარსში. ამდენად მხატვრული ნაწარმოებისათვის სუბიექტური იდეალური განუკოფელია ობიექტური მოვლენებასაგან და დიალექტიკურ მთლიანობაშია.

ყოველ ეპოქას აქვს ცხოვრების განმსაზღვრელი, ძირითადი, შაშიყვანი ტენდენციები, რომელიც მოქმედებს მწერლის ფანტაზიაზე, სუბიექტურ მოსაზრებებზე და აყენებს მას გარკვეულ კალაპოტში; ეს ტენდენციები აოკებენ პოეტურ ფანტაზიას და გარკვეულ მიმართულებას აძლევენ მას. ასე რომ არ იყოს, მწერალი სუბიექტივიზმის ტყვეობაში აღმოჩნდებოდა.<sup>2</sup> მართალია, მწერალს შეუძლია თავისებურად ასახოს მოვლენები (სწორედ აქ ვლინდება

შემოქმედის ინდივიდუალობა), მაგრამ ეს თავისებური მიღვორა ცხოვრების მოვლენებისადმი ვანპირობებულია ობიექტური კანონებით. რამდენადაც კარგად იცნობს მწერალი ცხოვრებასა და მის წამყვან ტენდენციებს, იმდენად დამაჯერებლად ასახავს სინამდვილეს. სუბიექტის მიერ მოვლენების ობიექტური ასახვა სრულებითაც არ გულისხმობს იდეების ობიექტურ არსებობას. პოეტური შემოქმედება ცოცხალი აზროვნების შედეგია.

ბელინსკის ცნობილი დებულებიდან გამომდინარე — „ლიტერატურა სახეებით აზროვნებაა“, მხატვრულ ნაწარმოებებში სახეება ობიექტური რეალობის მეშვეობით იქმნება და შემდეგ თვიობდება შინაარსი იდეებისა; მხატვრული სახე დეტალებზე დაყრდნობით გამოიკვეთება, იდეური შინაარსის ადეკვატურ გამოხატულებად გვევლინება და ფორმდება ენობრივი მასალის საფუძველზე; ე. ი. ცხოვრებიდან აღებული დეტალები ენობრივი მასალის ვეშვეობით ჩამოყალიბდება მხატვრულ სახეებად, რომლებშიაც გამოვლინდება ნაწარმოების იდეური შინაარსი. მხატვრული სახის იდეური დატვირთვა უშეტესად პოეტური ნაწარმოებისათვის არის დამახასიათებელი. ლირიკულ ქმნილებებში მხატვრული სახე ძირითადად როგორც ნაწარმოების

2 ი. ი. ვინოგრადოვი, ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის პრობლემები, 1958, გვ. 118.

შინაარსის, ისე ფორმის გამოვლინების განმსაზღვრელი. საშუალებაა. პოეტურ ქმნილებაში სიմბოლურად არცერთი სიტყვა არ გამოიყენება აზრობრივი დატვირთვის გარეშე. დეტალები ამ სახეებისათვის სინამდვილიდან, ცხოვრებიდანაა აღებული. ეს დეტალები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს პოეტის პიროვნებაზე, აძულებს შექმნას ეპოქის შესაბამისი ობიექტური მნიშვნელობის მხატვრული სახე და ადექვატური ფორმა მოუძებნოს შინაარს. სწორედ აյ ვლინდება პოეტის ინდივიდუალობა. ერთიდაიგვე მსოფლმხედველობის მქონე პოეტმა ცხოვრებიდან ამოღებული ერთიდაიგვე დეტალი შეიძლება სხვადასხვა ინტერპრეტაციით წარმოადგინონ. ეს რომ ასე არ იყოს, პოეზიაში სრულ ურთფეროვნებას ექნებოდა ადგილი და მწერლის ნიჭი დაკარგავდა თვის ნამდვილ სახეს. ლირიკოსის პოეტური ტალანტის სიღიადე სწორედ ცხოვრების დეტალების მხატვრულად გაფორმების განსხვავებულად წარმოადგინონ ვლინდება. სიმბოლისტ მწერალთა დიდი უმრავლესობა იმიტომ ვერ აშალდა დიდი პოეზიის დონემდე, რომ მათ მიერ შექმნილი პოეტური სახეები საოცრად ჰგავდა ერთმანეთს; მსგავსი დეტალები ერთნაირადაა ინტეპრეტირებული; ის-

ინი იღებენ მზამზარეულ დეტალებს, თითქოსდა უზენაესის მიერ ფორმულირებულს, რომლებსაც აუცილებლად ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული ფუნქცია აქვთ. მათი აზრით, არ შეიძლება ღვთის მიერ დაკანონებული ეს დეტალი გაიაზრო მრავალმნიშვნელოვნად, მრავალსახეობრივად; სწორედ აյ იჩენს თვეს ფორმალასტური უონგლიორობა. რაკი ცალკე აღებულ, გაქვავებულ მოვლენაში აუცილებლად განსაზღვრული აზრი უნდა ჩაიდოს, სიმბოლისტი ცდილობს ამ აზრის გამოსახატვად მიმართოს ფორმალური სამოსელით განსხვავებული სახეების შექმნას. ამგვარმა მიღვომა გარკვეულ პერიოდში ერთგვარად შეზღუდა ქართველი სიმბოლისტების ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის, პ. იაშვილისა და სხვათა შემოქმედება. მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძის გენიამ ყველაზე აღრე აულო ალლო თანამედროვე ცხოვრებას და შექმნა ჩვენი ეპოქის შესაფერი დიდი პოეზია.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ურთიერთს შევადაროთ ეპიკა და ლირიკა და მათი შეპირისპირებით დავასկვნათ რომელიმე მათგანის უპირატესობა თუ ნაკლოვანება. ვფიქრობთ, ლირიკას აქვს განუსაზღვრელი საშუალება მრავალფეროვნად წარმოადგინოს ცხოვ-

რება. ლექსი შეიძლება შეიჭრას  
ცხოვრების ყოველ კუნჭულში და  
დღის სინათლეზე, სააშეარაოზე  
გამოიტანოს ყოფიერების დამახა-  
სიათებელი თვისებები. იგი საო-  
ცრი ძალით გამოაქანდაკებს ად-  
ამიანის სულიერ განცდებს და  
გადმოსცემს მისთვის დამახასია-  
თებელ ნიუანსებს. ამ მხრივ იგი  
გულთან, გრძნობებთანაა დოკა-  
შირებული, მაგრამ ლირიკული  
ნაწარმოების შექმნის პროცესში  
გული გონების კონტროლს ემორ-  
ჩილება, რაც ფორმისა და შინა-  
არსის მთლიანობაში აღქმის საფ-  
უძველია.

---

დოც. შ. ჯავახიძე

## ილია ჭავჭავაძე და სუგოროვიკული მეურნეობის განვითარების საჭიროები

ფეოდალური წყობილების ბის  
რღვევამ და კაპიტალისტური ურ-  
თიერთობის დამკვიდრებამ, მრეწ-  
ველობის, მიმოსვლის საშუალე-  
ბების, მეცნიერებისა და ტექნი-  
კის განვითარებასთან ერთად  
სრულიად ახალი ასპარეზი შეუქმ-  
ნა სოფლის მეურნეობის განვითა-  
რებას; სოფლის მეურნეობაში ახ-  
ალი კულტურების, მაღალმოსავ-  
ლიანი და შრომატევადი კულტუ-  
რების დამკვიდრებასა და განვი-  
თარებას. „სადაც კი ბურუუახიამ  
ბატონობას მიაღწია, ყველგან და-  
ნგრია ყველა ფეოდალური, პატ-  
რიარქალური, იდილიური ურთი-  
ერთობანი... პირველად მან გვიჩ-  
ვენა, თუ რისი შესრულება შეუძ-  
ლია იდამიანის მოქმედებას“.<sup>1</sup> ფე-

ოდალიზმის რღვევისა და კაპიტა-  
ლისტური ურთიერთობის განვით-  
არების ეს ისტორიული სტადია  
განვლო საქართველომაც.

XIX საუკუნის 50-იანი წლები-  
დან, რუსეთის სოციალურ-ეკო-  
ნომიური და პოლიტიკური განვი-  
თარების საერთო ორბიტაში მო-  
ქმედულ საქართველოში თანდათა-  
ნობით ირლვევა ფეოდალური კარ-  
ხაკეტილობა, ნატურალური მეუ-  
რნეობა და რეფორმის შემდეგ  
ქართველ გლეხობას „შეეძლო შე-  
დარებით უკეთეს პირობებში წა-  
რემართა თავისი სამეურნეო საქ-  
მიანობა... მას უფლება ჰქონდა...  
გაემართა ვაჭრობა-მრეწველობა  
და სახალხო მეურნეობის სხვა და-  
რგი. ბატონყმობის გაუქმებამ დაა-  
ჩქარა საწარმოო ძალების განვით-

<sup>1</sup> ქ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტუ-  
რი პარტიის მანიფესტი, თბილისი, 1968,  
გვ. 55, 56.

არება, ქვეყნის ეკონომიური დაწინაურება და ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვება“.<sup>2</sup>

ვ. ი. ლენინი ახასიათებდა რა საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების პროცესს, წერდა: „...რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის აღგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქ მ ნ ი დ ა ბ ა ზ ა რ ს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა რეფორმის შემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზენებ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეუნად იქცეოდა“.<sup>3</sup>

კაპიტალისტური ურთიერთობის დამკიდრებამ, მიუხედავად მთელი რიგი უარყოფითი მხარეებისა, სიმახინჯისა, თავისი განუკურნებელი სენისა, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის, განვითარებას, სოფლად სიახლის შეტანას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები

მსოფლიო ვაჭრობისა და მიმღებადი ცენტრულში მოექცა.

პატარა გუგუშვილის გამოთქმით, „ამიერკავკასიის მსოფლიო ბაზარში ჩათრევამ, რუსეთიდან უკეთესი და იაფი ბურის შემოსვლამ და სხვ., მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა, მევენახეობა, მეთამბაქოეობა, ჩაი, მებამბეობა, მათი სამრეწველო გადამუშავების ზრდით, თანდათან წარმოიქმნენ მეურნეული თაოსნობის ისეთ დარგებად, სადაც შეიჭრა და შესაფერი გასაჭანიც მიეცა კაპიტალისტურ მესარეწაობას. ჩაც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში (მარცვლეულის კულტურებში) მიუხედავად მსხვილი ლატიფუნდიების არსებობისა, ჩანასახის ფორმებს არ გასცილებია. სპეციალურ და ტექნიკურ კულტურათა ზემოხსენებული სახეები, რომლებიც შეიქმნენ მეტროპოლიის მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის ნედლ მასალად, იწყებენ სწრაფ განვითარებას, იქნეკენ, როგორც დაბანდების ხელიც ყრელ დარგისაკენ ისწრაფვის აღვილობრივი და რუსეთიდან თუ ეკრობიდან მოსული კაპიტალი... აქეთკენ მოედინება ახლობელი რაიონების სოფლებიდან „თავისუფალი“ მუშახელი. მრავლდება სპეციალურ - ტექნიკურ კულტურათა სამრეწველო პლანტაციები, მათი მოედანი და პროდუქციის

2 საქართველოს ისტორიის ნარკვეს-ბი, ტ. 5, თბილისი, 1970, გვ. 302.

3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704

ზრდასთან ერთად სულ უფრო ვრცელი ბაზარი ექმნება მათ“.<sup>4</sup>

ილია ჭავჭავაძე სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის არენაზე სწორედ მაშინ გამოვიდა, როცა ბატონიშვილის ყოფნა-არყოფნის და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების საკითხი ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში იღვა. სწორედ თერგდალეულთა თაობამ, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა, ამ საკითხის გარშემო მოიყარა თავი და დიდი პოპულარობაც მოიპოვა. „ქართველმა სამოციანელებმა, რომელთა ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო, იმიტომ მოიპოვეს დიდი სახელი და დაიბყრეს ფართო სამქმედო არე, რომ ისინი თავისი ეპოქის შვილები იყვნენ, თავის ასახსნელად და გარდასაქმნელად წარმოშვა თვითონ ცხოვრებაში“.<sup>5</sup>

ძველი და ახალი კლასებისა და პარტიების გააფთრებული ბრძოლის პირობებში, მეტად რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, ილია ჭავჭავაძე გამოდის სოფლად პროგრესის, ახალი კულტურების, ახალი დარგების დაწერებისა და განვითარების. მეღროველ.

4 ბ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება ამიერკავკასიაში და საქართველოში, თბილისი, 1941, გვ. 103.

5 ბ. გამოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, თბილისი, 1962, გვ. 7.

ი. ჭავჭავაძეს, როგორც დაუცხოობრივ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, არ დარჩენა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი უბანი, არც ერთი სფერო, ქართველი ერის არც ერთი საჭირობოროტო საკითხი, რომელსაც არ შეხებოდა მისი მადლიანი კალაბი, ბრძნული აზრი არ გამოეთქვა და თავისი გონების ნაკვალევი არ დაემჩნია. მაგრამ ი. ჭავჭავაძის თეთვული შემოქმედებითი გენია, მისი აზრი და გონება ერის ბურჯს, ქართველ გლეხობას დასტრიალებს თავს, მისი დუხშირი ცხოვრების გაუმჯობესებას, მისი ადამიანური ღირსების ამაღლების საქმეს ემსახურება. ამას ცხადყოფს ილიას ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნამბობი“, „გუთნის დედა“ და სხვ.

ი. ჭავჭავაძე ნათლად ხელავს ერის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, სწორად წონის არსებულ მდგომარეობას. იგი გლეხთა დუხშირი ცხოვრების აღწერით არ კმაყოფილდება. მან ვასული საუკუნის 90-იან წლებში დაწერა მთელი რიგი გამოკვლევები, რომლებიც მიძღვნილია ქართველი გლეხის მეურნეობის, საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი მდიდარი ბუნებრივი და კლიმატური პირობების რაციონალურად გამოყენებისამი.

ილია 1893 წლის დამდეგს სტა-

ტიაში „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“, საქართველოს ბუნებრივი პირობების შესახებ წერდა: „ზომიერი ნელთბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მოძიები მიწა, მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამდენიც საჭიროა, რომ ერმა უმტკინეულოდ თავი ირჩინოს“.<sup>6</sup>

ილია ხელსაყრელ ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს არა მარტო საერთო სიმდიდრის წყაროდ, არამედ უპირველეს ყოვლისა სოფლის მეურნეობაში ახალი კულტურებისა და დარგების განვითარების საშუალებად მიიჩნევდა. სტატიაში „ჩვენი სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი“, პირდაპირ მიუკითხდა, რომ „ამიერკავკასია ჰავისა და მიწის სიკეთითა შემძლებელია თითქმის ყველაფრისა, რაც კი რამ იზრდება, მოდის და ხერობს დედამიწის ზურგზედ. ქინა-ქინის ხე და ჩაის ბუჩქი კი გამოზარდა ჩვენმა ქვეყანამ იმდენად კარგად, რომ ეხლა თვითონ მთავრობაც კი ჰავდილობს მეურნეობა ერთისა და მეორისაც ააყვავოს და გაავრცელოს“.<sup>7</sup> აქვე ილია გულისტკივილით დასძენს, რომ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი დიდ შემოსავალს მისცემს როგორც ჩვენს

ქვეყანას, ასევე მთელ სახელმწიფოს, მაკრამ ივი თუ თეთრ ქალალდზე არ დარჩა და მარტო შელნით არ მოირწყონ.

ილია ჭავჭავაძის მთელი ფიქრი და ოცნება, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართულ მიწასა და გუთანს დასტრიალებს თავს. ქართველი ერის მებაირახტრე აყვნებს კითხვას, თუ რამ შემოგვინახა, როგორ განვვლეთ მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლებით იღსავსე გზა, როგორ გავუძელით უაუნდობელ მტრებს, როგორ შემოვრჩით დედამიწას? და თვითონვე პასუხობს „...ეგ იმიტომ, რომ ერთ ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდან დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება“.<sup>8</sup>

ილია თავის სამეურნეო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში არა-ერთხელ დაბრუნებია ამ საკითხს. იგი აზუსტებდა და ხვეწდა თავის შეხედულებებს: „ჩვენი ძალ-ლონე, ჩვენი ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, — მიწა და გუთანია. რომელ ერსაც ეს ორი საგანი შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმომწონებით თქვას: მე ერი

6 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. 7, გვ. 32.

7 იქვე, გვ. 59

8 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. 6, გვ. 165

ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც... საქმე მიწა და გუთანია“.<sup>9</sup>

ილია ჭავჭავაძე გუთნისა და მიწის, ხმლისა და გუთნის ურთიერთდამოკიდებულებას ქართველი ერის ცხოვრებისეული მოთხოვნის შესაბამისად, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების კვალობაზე, შემოქმედებითად უდგება და იხილავს. ის მიწასა და გუთანს კი არ ჩაჰკირკიტებს ფეოდალური წყობილების თვალთერდვით, არამედ მას უდგება კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების, სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიან დარგად გადაქცევის თვალსაზრისიდან. ილია დასძენს: „...დაჩლუნგდა ხმალი... ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გეჭიროს ხელში ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა. ან მართულები მანქანისა: ეხლა ვაჟკაცობა იმისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა“.<sup>10</sup> უფრო გვიან ილია წერდა: „რადგანაც საპოლიტიკა და საეკონომიკო ყოფა-ცხოვრება ამ ორი საგნით სულდეგმულობას, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინგადადგმუ-

ლი ნაბიჯი ამ ორი საგნის მიმართ, ჩვენთვის დიდის ყურადღების ღრალის უნდა იყოს“.<sup>11</sup>

მიწისა და გუთნის მნიშვნელობასთან ერთად ილია იხილავს მიწის დანაწილების საკითხსაც. მიწა, ილიას აზრით, ყოველ ადამიანს შეძლებისამებრ სწორად უნდა ჰქონდეს მიუუთვნებული და იმ ერებს, რომელმაც ეს ვერ გააკეთეს, სწორედ ამან გამოუთხარა ძირიო, საბერძნებთა და რომან ამის წყალობით მოეღო ბოლოო. „აბა მიიხედ-მოიხედეთ, — წერს ილია, — და ნახავთ, რომ მთელი განახლებული ევროპა, მთელი დიდებული მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა — იღწვან, სისხლს ღვრიან, რომ მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისაგან მინიჭებული კუთვნილება ყოველი ადამიანისა, შეძლებისამებრ — თანასწორად მორიგებულ ჰქონდეს ყოველ მკვიდრს მცხოვრებს“.<sup>12</sup>

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერისათვის არა მარტო მიწისა და გუთნის. მნიშვნელობას უსვამდა ხაზს; არამედ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის პირველი მიუთითებდა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების, სოფლის მეურნეობაში ტექნიკისა და მეცნიერების დანერგვის აუცილებლობაზე. ილია მოითხოვდა მიწის

<sup>9</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 5, გვ. 174.

<sup>10</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 12.

<sup>11</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 238.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 336.

მოსავლიანობის ამაღლებას, სა-  
სოფლო-სამეურნეო წარმოების  
ხარჯების შემცირებას, მიწათმოქ-  
მედებაში ახალი მანქანებისა და  
იარაღების შემოღებასა და დანე-  
რგვას, აგრონომიული მეცნიერე-  
ბის გამოყენებას.

გასული საუკუნის 90-იან წლე-  
ბში ილია არაერთგზის მიუთითებ-  
და სოფლის მეურნეობის განვი-  
თარების აუცილებლობაზე. იგი  
წერდა: „...ჩვენი ეკონომიური ძა-  
ლლონე ჯერ კიდევ სოფელია და  
სოფლური მეურნეობა“;<sup>13</sup> „...ჩვე-  
ნი შეძლების და ეკონომიური ღო-  
ნისძიების ერთადერთი სახსარი  
მიწათმოქმედებაა“;<sup>14</sup> ეს მომენტი  
მით უფრო მნიშვნელოვანია ილი-  
ას ეკონომიურ შესეღულებათა  
სისტემაში, რომ სწორედ ამ სფე-  
როში არსებული წარმოებრივი  
ურთიერთობანი და აქ მოქმედი  
სოციალური კლასები (წოდებანი)  
შეადგენენ მისი არა მხოლოდ პუ-  
ბლიცისტური და საერთოდ სახრა-  
გადობებრივი მოღვაწეობის, არა-  
მედ თვით მხატვრული შემოქმედ-  
ების უმთავრესა და თითქმის  
ერთადერთ საგანს“.<sup>15</sup>

საქართველოში სასოფლო-სამე-  
ურნეო განათლების გავრცელების  
საქმეში დიდი როლი შეასრულა  
ილია წინამდლვრიშვილმა. მან პი-

რველმა საქართველოში, 1883  
წლის 4 სექტემბერს საზეიმო კი-  
თარებაში გახსნა წინამდლვრიანთ-  
კარის სასოფლო-სამეურნეო სკო-  
ლა; იგი თავის ხარჯზე ინახავდა  
სკოლას და წლების განმავლობა-  
ში ხელმძღვანელობდა მას. ილია  
ჭავჭავაძე სკოლის გახსნისას ამ-  
ბობდა: „ცოდნა ხომ ხერხია, ჟაგ-  
რამ თვითონ თავისთავადაც სიმ-  
დიდრე არის, მერე იმისთანა, რომ  
კაცს საცა წავა, თან მისდევს უბა-  
რჯოდ და უბარგოდ. ვერცა ვინ  
მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადაუ-  
დგება. ე ხლანდელ დროში  
ცოდნა ყველაფერია: ფუ-  
ლზე დაც უფრო დიდი ბა-  
ზარი აქვს, ხმალზე დაც  
უფრო მეტადა სჭრის და  
ზარბაზანზე დაც უფრო  
ძლიერია... ცოდნა იმი-  
თავ კიდევ კარგი, რომ  
უმცროს - უფროსობა აო  
იცის... ერთიანად შეიძე-  
ლლებს, ერთნაირად იშ-  
ვილებს ხოლმე ძონებე-  
ში გახვეულ გლეხსაც  
და ბუზმენტებით მორ-  
თულს თავადსაც, ყველა  
ერთნაირად მოუ-  
დება, ყველას ერთნაი-  
რად დამშვენებს ხოლ-  
მე“.<sup>16</sup>

ილია ჭავჭავაძემ სილრმისეულ-  
ად ჩაიხდა საქართველოს სოფ-  
ლის მეურნეობის განვითარების

13 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებუ-  
ლი, ტ. 5, გვ. 26.

14 ივევე, გვ. 49.

15 პ. გუგუშვილი, სოციოლოგიური  
ეტიუდები, თბილისი, 1971, გვ. 298

16 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957,  
გვ. 535, 537

საქმეში; იგი კარგად ერკვეოლა სოფლის ეკონომიურ ცხოვრებაში, სოფლის ეკონომიურ პროცესთა არსში.<sup>17</sup> ილია საქართველოს სოფლის მეურნეობას განიხილავს რუსეთისა და უცხოეთის ქვეყნების ბაზრის მოთხოვნილებათა ერთიან პროცესში და გამოდის მოთხოვნით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას სულ სხვა მიმართულება მიეცეს. „ჩვენს ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას რომ კაცი რიგიანად და გონიერად დაკვირდეს, ბევრს საგულისხმოს იპოვის. ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა მიწათმოქმედებაა და სხვაგვარი სახსარი ჯერ ჩვენში თითქმის არც კი დაძრულა, ხელნახლებიც არ არის“.<sup>18</sup>

ილია ჭავჭავაძემ შეიმუშავა მოძღვრება საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა, ახალი დარგებისა და კულტურების განვითარებისა. იგი 1894 წლის სექტემბერში წერილში „ჩვენი სარჩელი სოფლის მეურნეობის ძვირფას დარგებზე“ წერდა: „რადგანაც ჩვენის შეძლების და ეკონომიური ღონისძიების ერთადერთი სახსარი მიწათმოქმედებაა, ამიტომაც იგი უნდა მიქცეულიყო იმისთანა საგნებზე, რომელთაც იღებმიცემობის ბაზარში, ში-

17 ვამა გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, II, გვ. 299.

18 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 79.

ნა და გარეთ კარგი გასავალია შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო ჩვენის ქვეყნისათვის, რომ აქაური მადლიანი ჰავა და ნოკიერი მიწა ბევრ იმისთანა ჭირნახულს ხელს უწყობს, რომელსაც დღევანდელ ბაზარში დიდი მუშტარი ჰყავს და დიდი ფასი აქვს და რომელიც ამ ორის გარემოების შემწეობით უფრო მეტად ახერებს მოჭირნახულს, ვიდრე იგი ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და გაგვაქვს ბაზარში“.<sup>19</sup>

ილია როდი კმაყოფილდება შარტო რჩევა-დარიგებით, ზოგადი მითითებებით, იგი კონკრეტულად მიგვანიშნებს სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებზე, ახალ სა-სოფლო-სამეურნეო კულტურებზე, შრომატევადი კულტურების განვითარებაზე, რომელიც მაღალ შემოსავალს მისცემდა საქართველოს სოფლის მეურნეობას. ილია დასძენს: „სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩელი, აბრეშუმი მოდის, სადაც ბამბა ხეირობს, სადაც ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწის და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორიც, მაგალითად, პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეც-

19 იქვე, გვ. 64.

დღმაა. პურს, თუ უწინ როცა კარ-ჩეკეტილი ვიყავით, თავისი საბუ-თი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარი-შია“.<sup>20</sup>

შემდეგ ილია ეხება იმას თუ პურის შემოტანა და ძვირფასი, სუბტროპიკული კულტურების გა-ნვითარება როგორ აამაღლებდა საქართველოს სოფლის მეურნეო-ბის შემოსავლიანობას; ოდესაში ფუთი პური მაშინ 26 კაბიკად იყ-იდებოდა, ქართველ გლეხს კი მი-სი მოყვანა სამ-ოთხ აბაზად უჯდე-ბოდა. ილია მიუთითებს, რომ აღ-ებ-მიცემობის, რკინიგზისა ან ზღვ-ის ტრანსპორტის განვითარების პირობებში, ქართველ გლეხს რუ-სეთიდან პურის შემოტანა უფრო იაფი დაუჯდებოდა, ვიდრე საკუ-თრივ მისი წარმოება. ეს იმ დროს, როცა საქართველოს ნოენერი ნი-ადაგი იძლეოდა მთელი რიგი მა-ლალშემოსავლიანი, შრომატევადი კულტურების განვითარების შესა-ძლებლობას. „ამ ეკონომიკურ გზა-ზე ჩვენი საქართველო რომ დად-გეს, ჩვენმა მიწათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება აირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზა-დოს, რაც რუსეთს არა აქვს, და იქედამ ის პზიდოს, რაც რუსეთს ვერც კი გაუსაღებია, — სახელმ-წიფო ინტერესის თვალსაზრისი-

თაც კი მეტად სახეიროა თვით ოუ-სეთისათვისაც... თვით საქართველო ლოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრო ქონება ვა-უძლიერდება“.<sup>21</sup>

ამით ილია როდი გამოღიოდა. საქართველოში ხორბლის განვითა-რების წინააღმდეგ, არამედ სავსე-ბით სამართლიანად ხასს უსვამდა მის გვერდით, სადაც ამისი შესაძ-ლებლობა იყო, მაღალშემოსავლი-ანი დარგების განვითარებას.

ამდენად ილია ჭავჭავაძის მთე-ლი ფიქრი და აზრი მიპყრობილი იყო საქართველოს სოფლის მეუ-რნეობის განვითარებისაღმი და ამის პირობას იგი სასოფლო-სამე-ურნეო განათლების გავრცელება-ში, მეცნიერების მიღწევების ვა-მოყენებასა და მაღალშემოსავლი-ანი დარგების განვითარებაში წე-დავდა. ამასთან ილიას გამჭრიახ გონებას არ გამოპარვია ის მიზე-ზებიც, რაც აბრკოლებდა სუბ-ტროპიკული კულტურების განვი-თარებას. ამ მიზეზს იგი ხედავდა სოციალურ, კლასობრივ ფაქტო-რში, აგრეთვე გზების და მიმოსვ-ლის აუტანელ მდგომარეობაში, გასაღების ბაზრების არარსებობ-აში.

ილია გულისტკივილით წერდა: „ვიდრე მთავრობა საქართველოს-

20 იქვე, გვ. 69

21 იქვე, გვ. 65-66.

და ერთობ ამიერკავკასიას არ შე-  
ხედავს იმ თვალით, რომ მიწათ-  
მოქმედებას სხვა გზა და მიმართ-  
ულება უნდა მისცეს მისი ჰავისა  
და მიწის შესაფერი, ვიღრე, თა-  
ვისს მეცადინეობას იმაზე არ მიაქ-  
ცევს, რომ ახალი საჭირნახულო

საგანი გაუჩინოს აქაურ მიწათმილ-  
ქმედებას, იმ ღრომდე ყველაფე-  
რი ფეხზე დადებული მალამო იქ-  
ნება, მაშინ როდესაც სატკივარი  
თავზეა“.<sup>22</sup>

---

22 იქვე, გვ. 66.

## ნაცენტი ნოღაიზე

### გ ე ბ რ ა შ თ ი

ხულოს რაიონის მკვიდრთა მე-  
ტყველებაში ვხვდებით დედულე-  
თის აღმნიშვნელ სიტყვას ბებრე-  
უთს (ბებრევთი).<sup>1</sup>

დედის სამშობლო შვილისათვის  
ბებრეუთიაო, გვითხრეს ადგილო-  
ბრივ (ე. ი. დედულეთი).

ბებრეუთი (ბებრევთი) აჭარულს  
გარდა არ არის ფიქსირებული ქა-  
რთული ენის არც ერთ სხვა დია-  
ლექტში.

1 იგი ჯერჯერობით დაფიქსირებულია  
მხოლოდ ხულოს რაიონში. ჩაწერილია  
სოფლებში: ქედლები, უჩხო, ვაშლოვანი,  
დიაკონიძები, თაგო, აგარა და სხვა. ეს  
სიტყვა ჩაწერილი აქვს აგრეთვე ი. ბიბი-  
ლეოშვილს ღორჯომში და გამოქვეყნებუ-  
ლია ურნალ „ლიტერატურულ აჭარა-  
ში“ 1968 წ. № 4. გვ. 39 „ბებრეუთი“ —  
ამ ფორმით აქვს გამოყენებული ეს სიტყ-  
ვეა პარტ მამა ვარშანიძეს თავის პოემა-  
ში „ხიხანის არწივები“ და განმარტებუ-  
ლი აქვს, როგორც მეუღლის მშობლიუ-  
რი სოფელი.

საგულისხმოა, რომ ჯავახურსა  
და მესხურ კილოებში ბებიას აღ-  
სანიშნავად დაცულია სიტყვა ბე-  
ბერა (დასახელებასა და მიმართ-  
ვაში: ბებერაჩემი, ბებერაჩემი):

„ბებერა — ბებია, დიდედა“<sup>2</sup>

„ბებერაჩემი — ბებიაჩემი“<sup>3</sup>

„ბებერაჩემი ასათი წლისა მამკ-  
ვდიარა, პაპაჩემი კი — ასი წლისა“  
(ჯავახური)<sup>4</sup>.

„ბებერა — ბებია, დიდედა, დე-  
დის ან მამის დედა“<sup>5</sup>.

„ბებერაჩემი იტყოდა, ხოლმე:  
სოფლის მოკვამლეებს კედლები  
გამონგრეული პქონდათ ერთიმეო-  
რეშიო“ (მესხური)<sup>6</sup>.

„ბებერას სალიტერატურო ქა-  
რთულში ეტყვიან აბურცებულ,

2 ქართული ღიალექტოლოგია. 1.  
თბილისი. 1961 წ. გვ. 646.

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე. გვ. 657

6 იქვე. გვ. 373

აშუპებულ ადგილს; აბურცებულ,<sup>7</sup>  
წყალჩამდგარ კანს“.<sup>8</sup>

„ბებერას“ გაჩენა ნიშნავს ტყა-  
ვის თუ კანის გაუხეშებას, „დაბე-  
რებას“, ტყავის (კანის) აბურცე-  
ბას, ტყავის თუ კანის ადგომას.<sup>9</sup>

ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, სი-  
ტყვა გადატანითი მნიშვნელობით  
იხმარება. იგი კანის, ტყავის დაბე-  
რებას, ქსოვილის გადაგვარებას  
მიუთითებს.

გარკვეულია, რომ „ბებერა“ მი-  
ღებულია სიტყვიდან ბებერი, ბე-  
ბერი კი—ბერ<sup>10</sup> ფუძის რედუქტი-  
კაცით ბერ-ბერი. ამ კომპოზი-  
ტის პირველ ნაწილში რ ჩავარდ-  
ნილია დისიმილაციური დაკარგვის  
კანონზომიურებით და მივიღეთ ბე-  
ბერი.<sup>11</sup>

ბებერი, საბას განმარტებით,  
არის ბერი დიაცი. იქვე „კაცის“  
განმარტებაში კი ვკითხულობთ:  
...სრული კაც, ვიღრე ორმეოცდა-  
ათადე და შემდგომად ეწოდებას  
ვაჟსა მოხუცებული, ჭალსა — მო-  
ხუცებულა და შემდგომად ვაჟსა

7 ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსი-  
კონი. თბ. 1961 წ.

8 ქართული უნის განმარტებითი ლექ-  
სიკონი I. 1950 წ.

9 ს. ს. ორბელიანი. ქართული ლექსი-  
კონი. ტფ. 1928 წ.

10 მ. ანდრინიკაშვილი — ნარკვები  
ირანულ-ქართული ენობრივი ურთიე-  
რობითიან. თბ. 1966 წ. გვ. 193, 293.

11 ივ. ქავთარაძე, „ეტიმოლოგიური  
დაკვირვებანი: ქართული ფოლკლორი“,  
ტ. I. 1969 წ. გვ. 99.

ბერი და, ქალსა ბებერი, რომელს  
არს მამაბერი და დედაბერი.<sup>12</sup>

ივ. ქავთარაძე სიტყვა ბებიას  
წარმომავლობის კვლევისას მეს-  
ხურ საბუთებზე<sup>13</sup> დაყრდნობით  
ამბობს: მეტი კონკრეტულობისა  
და სიზუსტისათვის, ჩანს, ამ სიტ-  
ყვამ კნინობით-საალერსო შინა-  
არსის გამომხატველი ა სუფიქსი  
ადრევე აღჭურვა მამდედრობითე-  
ზელი გაეგბით და ბებერის  
გვერდით ამოუდგა ბებერი ა ბებიას, მოხუცებული ქა-  
ლის მნიშვნელობით.<sup>14</sup>

საბასეული განმარტებიდან კი-  
დევ ერთხელ ირკვევა, რომ ბებე-  
რი არის არა საერთოდ მოხუცე-  
ბული (რა გაგებაც ამ სიტყვას თა-  
ნამეზროვე ქართულში აქვს), არა-  
მედ მოხუცი ქალი, ხოლო ისტო-  
რიული რეალიებიდან კი დასტურ-  
დება, რომ ეს მოხუცი ქალი (ბებე-  
რი — ბებერა) არის ბებია.

ვფიქრობთ, „ბებრეუთი“ სი-  
ტყვა ბებერადან ნაწარმოები ლექ-  
სიკური ერთეულია. იგი შინაარ-

12 ს. ორბელიანი. ქართული ლექსი-  
კონი. 1928 წ. ტფ.

13 ავტორს გამოყენებული აქვს ლ. მუ-  
სხელიშვილის — აბუსერიძე ტებელი ბო-  
ლოვ ბასილის მშენებლობის მატიანე  
შუარტყალში, 1233 წლისა. თბ. 1938 წ.  
ქრ. შარაშიძის საქართველოს ისტორიის-  
მასალები XV-XVIII ს. ს. მასალები სა-  
ქართველოს და კავკასიის ისტორიისათ-  
ვის. ნაკვ. 30, 1954 წ.

14 ივ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი. გვ.  
100

სით დედულეთის თანხვდენილია და მისივე ანალოგით უნდა იყოს წარმოქმნილი — ეულ და ეთ სუფიქსების დართვით,<sup>15</sup> მაგრამ აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელი განსხვავებული ფონეტიკური მოვლენებით: ბებერა+ ეულ → ბე ბერეულ → ბებრეულ → ბებრევლ → ბებრევ. დაღასტურებულია, რომ აჭარულ ზიალექტში ეუ კომპლექსი ისწრაფვის დიფთონგად გადაქცევისაც ეკვ.<sup>16</sup> ეუ > ეუ ॥ ევ. მაგ... ჩამტრეული — ჩამტრევლი, პურეული-პურევლი, ასეული — ასევლი და ა. შ.

არის მოსაზრება, რომ — ევ სუფიქსი ზოგიურთ გეოგრაფიულ სახელშიც მიიღება — ეულ სუფიქსისაგან აღნიშნული საფეხურების გავლით და ბოლო ლ კი დაიკარგა. მაგ. მაჭახლის ხეობის ტოპონიმებში: მარჯანევი, ბირტყევი, მაზარევი, ამ ხეობის მცხოვრებნი ზოგჯერ პარალელურად ხმარობენ: ბირტყევლ, მარჯანევლ, მაზარევლ.<sup>17</sup> ე. ი. მივიღეთ ბებრევი. თუ ამ ფორმას — ეთ სუფაქსი (კრებითობის, მრავლობითობის,

სუფიქსი) დაემატება, გვემრება ბებრევთი — ბებრევთი.

შესაძლებელია სხვაგვარი წარმოების დაშვებაც — მხოლოდ ეთ სუფიქსით. ბებერა+ეთ → ბეპრეთ → ბებრეთი. თუ მიღებულ სიტყვაში ჩაემატებოდა ვ მივიღებდით ბებრევთს (ვ უ → ბებრე უ თი). ბებერათჩამატების მაგალითები საკმაოა აჭარულში. ვ ბგერაა ჩამატებული მაგ., სიტყვებში: საჩუქვარი, მაშვინ, საცოდვავი, იძულვებული, და სხვ.

შესაძლება ვითიქროთ, ბებრევთი თავდაპირველი ფორმაც იყოს სიტყვისა და მისგან გვქონდეს მიღებული შემდეგ ბებრევთი, თვითონ ბებრევთი კი ბებერის მრავლობითს წარმოადგენდეს ევ სუფიქსის დართვით<sup>18</sup> (მ დ რ — ევ დაბოლოებიანი მრავლობითი ზოგიერთ სოფელთა სახელებში: ვაშლევი — ვაშლები, ბელლევი — ბელლები და ა. შ.) და იყოს კომპოზიტი, რომლის მეორე ნაწილი საზოგადო სახელია (ვთქვათ სახლი, სოფელი, კარი და ა. შ.) მაშინ გვექნებოდა: ბებრევთა (ბებრებთა) სახლი, ბებრევთა (ბებრებთა) სოფელი, ბებრევთკარი და ა. შ. (როგორც მაგ., ჭიქთუბანი, წინამძღვრიანთკარი, ვეძათხევი და ა. შ.). ასეთ ფორმებს დროთა ვთარებაში უნდა დაპკარგვოდათ

15 ა. შანიძე — ქართული ენის გრამატიკა. 1953 წ. გვ. 130.

16. შ. ნიუარაძე. ქართული ენის ზემოაპარული დიალექტი. 1961 წ. გვ. 21 (ნიგაზეული, ჭანგრეულა... ნიგაზევლი, ჭანგრევლა და ა. შ.).

17 ა. მსხალაძე — მაჭახლის ხეობის ტოპონიმიებისათვის. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედანსტიტუტის სტელეტოა შრომები. I. 1954 წ. გვ. 25-27.

18 ა. შანიძე — ქართული ენის გრამატიკა გვ. 138.

შეორე შემაღენელი ნაწილი<sup>19</sup>  
და დაგვრჩებოდა ბებრევთა (რო-  
გორც წყაროთა, ღართა, გზათა,  
ბაქართა, და ა. შ.).<sup>20</sup> ე. ი. დასაშვე-  
ბია მიგვეღო ბებრევთა → პებ-  
რევთი, ბებრევთიდან კი ბებრე-  
ტთი → ბებრეუთი (არის შემ-  
თვევები, როცა ვ უმარცვლო უ-ს  
(უ) უდრის. შდრ. გურ, რუა,  
ზღუა.<sup>21</sup> აჭარულშიც მოიძებნება  
ვ-ს უ (უ) -სთან გატოლების ნე-

მუშები: წავიდა → წევიდა  
(გამოთქმაში) წე უ და; თევრათი  
→ თე უ რათი; ბევრი → ბე-  
რი და ა. შ).

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ბებრე-  
უთის || ბებრევთის საწარმოებე-  
ლი ფუქ საბასეული ბებერი (მეს-  
ხურ-ჯავახური—ბებერა) უფროა,  
ვიდრე ახალ სალიტერატურო ქარ-  
თულში ცნობილი ბებერი.

მესხურ-ჯავახურის მსგავსად,  
ვფიქრობთ, ზემოაჭარულში ბებე-  
რა იხმარებოდა მოხუცებული ქა-  
ლის, ბებიას ალსანიშნავად, მაგრავ  
დროთა ვითარებაში სიტყვა ბებე-  
რა ამ გავებით დაიკარგა და მის-  
გან ნაწარმოები სიტყვა ბებრეუთი  
— ბებრევთი კი სწორედ მოხუცე-  
ბული ქალის, ბებიას საცხოვრი-  
სის, შვილიშვილისათვის — დე-  
დულეთის, რძლის, გათხოვილ  
ქალიშვილის მშობლიური კუთხის  
— სოფლის, სამშობლოს, ოჯაბას  
აღმნიშვნელად კი შემოგვრჩა.

19. ვ. თოფურია — გვოგრაფიულ სა-  
ხელთა — თა სუფიქსისათვის ქართულ-  
ში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვას  
ქართველურ ენებში, წ. I, თბ. 1956 წ.  
გვ. 288.

20. თ. ზურაბიშვილი — ტოპონიმიკას  
შესწავლისათვის. გვ. 142. ქართველურ  
ენათა სტრუქტურის საკითხები. II. თბი-  
ლისი, 1761 წ.

21 ა. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული  
ანალიზი. თბ. 1936 წ. გვ. 14.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, 3/გ. მდივნის — 33-72,

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.IV.1972 წ., საბაზო 6 სამშენებლო 5 კუბ.

შეკვეთის № 1380, ეგ 00037. ქაღალდის ზომა 60 × 90. ფირჩა 2.040.

卷一百一十一

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრჩვის ბათუმის სტამბა № 9  
(ლუქსემბურგის, 22).

ଏକାରଣୀ ଶ୍ଵରଙ୍ଗଳ-ଧାରୀତାକୁ ହାତରେ ଦିଲ୍ଲିଯାରେ ପାଇଲାମା

ଓଡ଼ିଆ 40 ପୃଷ୍ଠା.

6/1101

34136320  
2023-09-01

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

## „ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АЛЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118